არჩევნები ჩატარებულია, დაივიწყეთ... A2

მხიარული არდადეგები ცირკში A8

ჟურნალისტიკა ინგლისურად B2

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 8 ივნისი, 2002 წელი. №6

ფასი 50 თეთრი

## ვაკანსია №1

### საკრებულოს თავმჯდომარე

ეკა კვესიტაძე

*არჩევნების ოფიციალური შედეგები ისევ არ არის ცნობილი. ორშაბათს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საბოლოო მონაცემები უნდა გამოაქვეყნოს. პარტიების მოთხოვნის მიუხედავად, ალაბათობა იმისა, რომ უკვე არსებული შედეგები გაუქმდეს და არჩევნები ხელახლა დაინიშნოს, თითქმის არ არსებობს.*

სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ არ შექმნილა პრეცედენტი, რომ, გაყალბების უამრავი ფაქტის მიუხედავად, არჩევნების შედეგების ძირეული გადახედვა მომხდარიყო. ასე იყო ყველა არჩევნების წინ და ასეა ახლაც. განსხვავება არის ის, რომ დღეს პრეტენზიებით "მოქალაქეთა კავშირიდან" ოპოზიციაში გადასული პოლიტიკოსები გამოდიან, ხოლო შალვა ნათელაშვილი, რომელიც წინა საპარლამენტო არჩევნების შედეგებს სტრასბურგში ასაჩივრებდა, ამ არჩევნებით სავსებით კმაყოფილი ჩანს.

მომდევნო კვირაში, როცა ცესკო საბოლოოდ დაადასტურებს იმ პროცენტებს, რომელიც საკრებულოში გასულ პარტიებს ერგოთ, მთავარი თემა საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა გახდება.

უკვე არსებული მონაცემებით, საკრებულოში 15 ადგილს დაიკავებენ "ლეიბორისტები", 14-ს "ნაციონალური მოძრაობა", 7-ს "ახალი მემარჯვენეები", 4-ს ჟვანიას გუნდი, 4-ს

გაგრძელება A2 გვერდზე

# გიგანტები

## „24 საათის„ პირველი სტუმრები




დიმიტრი ობოლაძე

გუშინ, გაზეთ "24 საათის"ახალ საკონფერენციო დარბაზში, პირველი პრესკონფერენცია გაიმართა. მოვლენა თავისთავად მნიშვნელოვანია, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ სტუმართა ვინაობას. ერთი საათის განმავლობაში ჟურნალისტთა შეკითხვებს მსოფლიოსა და ევროპის, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და პრიზიორი კალათბურთელები პასუხობდნენ. საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ კარგი საჩუქარი გაუკეთა ქართველ მსოფლიოს ჩემპიონს, ნიკოლოზ დერიუგინს და კალათბურთის მოყვარულებს. დღეს თბილისის სპორტის სასახლეში აქტიური სპორტიდან ნიკოლოზ დერიუგინის გაცილება შედგება. პრესკონფერენცია, რომლის სტუმრებიც ვლადიმირ ტკაჩენკო, ხოსე ბირიუკოვი, ალექსანდრ ტიუბინი, ალექსანდრ ტარაკანოვი, იუბილარი დერიუგინი და ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელი ზაზა ფაჩულია იყვნენ, საინტერესოდ და თბილ ვითარებაში ჩატარდა.

გაგრძელება B4 გვერდზე

## იგებს ის, ვინც ნაკლებს ხარჯავს

თამარ მჭედლიშვილი

***თბილისის საკრებულოს არჩევნებში გამარჯვებულმა ლეიბორისტულმა (შრომის) პარტიამ არჩევნებში მხოლოდ 15 265 ლარი დახარჯა.*** *ყოველ შემთხვევაში, სწორედ ეს რიცხვი იქნება მითითებული იმ ხარჯთაღრიცხვაში, რომელსაც პარტიის საარჩევნო ფონდის ხელმძღვანელობა ცენტრალური საარჩევნო კომისიის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილებას დღეს წარუდგენს. ლეიბორისტების თქმით, ეს თანხა სულ შემოწირულობებით შეგროვდა, პარტიას სხვა ფინანსური წყარო არც უძებნია და არც გამოუყენებია.*

მომავალი ორშაბათიდან საკრებულოების არჩევნებში მონაწილე პარტიებს საკუთარი საარჩევნო ფონდების გახსნა მოუწევთ. ყველა პარტია ვალდებულია, არა უგვიანეს 10 ივნისისა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნებში დახარჯული თანხების დეტალური ხარჯთაღრიცხვა წარუდგინოს.

სხვათა შორის, ეს პირველი არჩევნებია, როდესაც "ცესკოს" მხოლოდ არჩევნების დასრულების შემდეგ უწევს პარტიების საარჩევნო-ფინანსური საქმიანობის შემოწმება. მანამდე პარტიები ცენტრალური საარჩევნო კომისიის საფინანსო განყოფილებას ფონდების გახსნისთანავე აყენებდნენ საქმის კურსში. საარჩევნო კოდექსში რამდენიმე თვის წინ მიღებული ცვლილებებით კი, ეს წესი გაუქმდა.

ჯერჯერობით "ცესკოში" მხოლოდ ერთი პარტიის ხარჯთაღრიცხვაა წარმოდგენილი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კანონით გან-

გაგრძელება A2 გვერდზე

## შოვინიზმი ყუბანურად

### კრასნოდარის მხარიდან „ძეებს", „შვილებს", „იანებს" და „ოღლებს" ერეკებიან

თინათინ მჟავანაძე

ანტიკავკასიური რიტორიკა ყუბანში, რომელმაც ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში ინტენსიური ხასიათი მიიღო, სათავეს კრასნოდარის მხარის ყოფილი გუბერნატორის, ნიკოლაი კონდრატენკოს მმართველობიდან იღებს. იგი თავის გამოსვლებში საჯაროდ უპირისპირდებოდა სომხებს, ებრაელებსა და "თურქ მესხებს". ეს გამოსვლები იმდენად მოსწონდათ ადგილობრივ კაზაკებს, რომ გუბერნატორს "ბატკა კონდრატიც" კი შეარქვეს. თუმცა მაშინ კონდრატენკოს ნაციონალიზმი მხოლოდ სახალხო გამოსვლებით შემოიფარგლა.

თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით, კრასნოდარის მხარის ახალმა მმართველმა, ალექსანდრ ტკაჩოვმა რეალური მოქმედებები დაიწყო იმ პირთა შესავიწროვებლად, რომლებსაც იგი უცხოტომელ გადამთიელებს უწოდებს.

გაგრძელება A2 გვერდზე



## ანონსი

**შაბათობით, გაზეთ "24 საათის" რედაქცია სტუმრად იწვევს კვირის ყველაზე ხმაურიანი მოვლენის გმირს. ჩვენი გაზეთის დღევანდელი სტუმარია ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ჯუმბერ ლომინაძე. ჩვენს მკითხველებს საშუალება ექნებათ დღეს, 12 საათიდან დაგვიკავშირდნენ რედაქციაში და შეკითხვები დაუსვან ბატონ ჯუმბერს.**

**ტელეფონი: 202424,**
**ელექტრონული ფოსტა:**
**spguest@24hours.ge**

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 25° |
| ქუთაისი | 26° |
| ბათუმი | 23° |
| სოხუმი | 23° |
| ფოთი | 24° |
| თელავი | 23° |
| ზუგდიდი | 25° |
| გორი | 22° |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2200 |
| ევრო | 2.0770 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.2314 |
| რუბლი | 0.0707 |

## პირველად საქართველოში

### წარმოგიდგენთ პრეს-ომბუდსმენს

**ნოდარ ლადარია:** „გაზეთებს არ ვკითხულობ. არ მაინტერესებს..."

C8



## "მშვიდობა იძულებით" - შესაძლო პერსპექტივა

რუსუდან ნიკურაძე
*საკ. კორ. მოსკოვში*

მოსკოვში მეორე დღეა, რუს კოლეგებთან შეხვედრებს მართავენ საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე და მისი მოადგილე ჯემალ გახოკიძე.

წინა დღეებში, დსთ-ს საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტის ფარგლებში, რუსეთის დედაქალაქში იმყოფებოდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია, რომელმაც ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ **"თუ საჭირო იქნება, პანკისის ხეობის პრობლემის გადაჭრაში, ამერიკელებთან ერთად, რუსებსაც დავპატიჟებთ".** ხაბურძანია რუს კოლეგებთან შეხვედრით კმაყოფილი ჩანდა.

მოსკოვში ბატონები ჯაფარიძე და გახოკიძე რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ვლადიმირ რუშაილომ მიიღო.

რუსეთის უშიშროების საბჭოს კარგად ინფორმირებულმა წყარომ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ **"მხარეებს შორის, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო მანდატის შემდგომ ტრანსფორმაციაზე, სტრატეგიული მნიშვნელობის შეთანხმებაა მიღწეული."**

ჩვენმა წყარომ ისიც განაცხადა, რომ **"კონფლიქტის დარეგულირება დღეიდან გამოვიდა რუსეთის საშუამავლო მისიის სფეროდან და უკვე მიიღო ინტერნაციონალური შეფერილობა, თანაც გაეროს უშიშროების საბჭოს დონეზე. რაც იმას ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში საბჭოს სხდომა აფხაზეთის კონფლიქტისა და საერთოდ, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის, სოხუმსა და თბილისს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის თაობაზე, მისივე დოკუმენტის შესატყვის პრინციპულ გადაწყვეტილებას მიიღებს, იმის მიუხედავად, დაეთანხმება ამას აფხაზეთის დღევანდელი ხელისუფლება თუ არა."**

ვლადიმირ რუშაილომ კი, თავის ქართველ კოლეგასთან მოლაპარაკების შემდეგ, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დღევანდელ შეხვედრაზე შეიქმნა ორი ქვეყნის უშიშროების საბჭოს ექსპერტთა ერთობლივი ჯგუფი, ხოლო ამავე შეხვედრის მონაწილე გახოკიძის კომენტარით, **"ქართული მხარისათვის ყველაზე მთავარია, ამ ჯგუფის მიერ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირება."** ქართული მხარე არ უარყოფს, რომ რუს კოლეგებთან საუბრისას წამოიჭრა პანკისის ხეობის პრობლემაც, რუსეთის სამშვიდობო მანდატის საკითხი კი ამ შეხვედრის საკვანძო საკითხი იყო.

საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ მოსკოვში ჟურნალისტებთან საუბრისას, პოზიტიურად შეაფასა ორი ქვეყნის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა. რუსი ექსპერტები კი ამტკიცებენ, რომ დღეს

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 სამართალი

B3 ფეხბურთი B4 კალათბურთი B5 კალათბურთი B6 კულტურა B7 კულტურა B8 სხვადასხვა

# ვაკანსია №1 - საკრებულოს თავმჯდომარე

პირველი გვერდიდან

"მრეწველები", 3-ს "აღორძინება", ხოლო "ერთობას" 2 ადგილი ერგება.

საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე კი ყველაზე რეალურ კანდიდატურად "ახალი მემარჯვენე" ლევან გაჩეჩილაძე რჩება.

**"ჩვენ გვინდა ავიღოთ პასუხისმგებლობა ქალაქზე. სხვა არც ერთი პარტია ამის სურვილს არ ამჟღავნებს,"** – აცხადებს "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე.

**"რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარეობას, ამასთან დაკავშირებით კონსულტაციებს ვმართავ. მაქვს ჩემი ხედვა ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით, ამიტომ წამოვედი პარლამენტიდან,"** – ამბობს თავად ლევან გაჩეჩილაძე.




გაჩეჩილაძისა და გამყრელიძის განცხადებით, ოფიციალური კონსულტაციები პარტიებთან ჯერ არ გაუმართავთ. მიუხედავად ამისა, გაჩეჩილაძის შანსები ძალიან მაღალია. ჯერ კიდევ არჩევნებამდე გაჩნდა ინფორმაცია, რომ სოციოლოგიური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, პარტიებმა წინასწარი მოლაპარაკებები დაიწყეს. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ მოლაპარაკებების შემდეგ გამოკვეთილმა სურათმა მისცა გაჩეჩილაძეს გარანტიები, რომლის გამოც ის დეპუტატის მანდატს შეელია.

მოლაპარაკების მთავარი საკითხი, ალბათ, იმის გარკვევა იყო, უნდოდათ თუ არა ლეიბორისტებს საკრებულოს თავმჯდომარის ადგილი. სხვა შემთხვევაში, ამ გარანტიებს მოლაპარაკების გარეშეც იძლეოდა ის დამოკიდებულება, რომელიც ლეიბორისტებსა და დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებს "ნაციონალური მოძრაობის" მიმართ აქვთ. ჟვანია-სააკაშვილს წინააღმდეგ ნათელაშვილის ბოლო, ძალიან აგრესიული გამოსვლებიდან აშკარად ჩანს, რომ "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი მთავარ მტრად ამ ორ პოლიტიკოსს მიიჩნევს. ნათელაშვილი ჟვანიას იმაში ადანაშაულებს, რომ წინა საპარლამენტო არჩევნებში შვიდპროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახა, ხოლო სააკაშვილი მისი ყველაზე ძლიერი კონკურენტია, რომელმაც უკვე ძალიან ბევრი ამომრჩეველი წაართვა.

თუმცა, ის ფაქტიც, რომ სააკაშვილი აღარ აგრძელებს ბრძოლას საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის, სიტუაციას გაცილებით მარტივსა და ნათელს ხდის.

რაც შეეხება ნათელაშვილს, ის საკრებულოს სიაში არ არის და შესაბამისად, ვერ ექნება პრეტენზია ამ ორგანოს თავმჯდომარის პოსტზე. თუმცა, მას არც იმის სურვილი გამოუთქვამს, რომ თავმჯდომარე უმრავლესობაში გასული "ლეიბორისტული პარტიის" წევრი გამხდარიყო.

შეიძლება ითქვას, რომ თუ ბოლო მომენტში ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა პოზიციები არ შეიცვალა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობა გაჩეჩილაძეს თითქმის გარანტირებული აქვს.

პოზიციებს კი, ნათელაშვილი, ალაბათ, არ შეიცვლის. ძველ საკრებულოში განცდილი ფიასკოს შემდეგ, მისი პრიორიტეტი პარტიის მშენებლობა და საპარლამენტო არჩევნებისთვის ბრძოლა გახდა.

სამაგიეროდ, საკრებულოს მართვას და ქალაქის ადმინისტრაციის გაკონტროლებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს "ახლებისთვის".

"მემარჯვენეებმა" ქუთაისში უკვე მიაღწიეს დომინანტი პარტიის პოზიციებს. დავით გამყრელიძე აცხადებს, რომ მათი მიზანი ქალაქის ბიუჯეტის 50-100 პროცენტით გაზრდაა, რისი მიღწევაც იმერეთის ყველაზე დიდ ქალაქში ამ პარტიას საპარლამენტო არჩევნების წინ სერიოზულ პოლიტიკურ ქულებს ჩაუწერს.

დედაქალაქის საკრებულოში პოზიციების გამაგრების შემდეგ კი მემარჯვენეებს თბილისშიც სერიოზული ბერკეტები მიეცემათ. რამდენიმე საჩვენებელი ნაბიჯი, კონკრეტული სოციალური პრობლემების მოგვარებით, უკვე სერიოზული არგუმენტი იქნება მათთვის წინასაარჩევნო დებატების დროს, რასაც ის გავლენაც დაემატება, რომელიც თბილისის ადმინისტრაციას არჩევნებზე შეუძლია იქონიოს.

ამიტომ არის ასე პრინციპული "ახლებისთვის" ვანო ზოდელავას მოშორება. სხვათა შორის, კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, მერის თანამდებობაზე ერთ-ერთ კანდიდატურად ლევან გაჩეჩილაძეც არის დასახელებული. თუმცა, სავარაუდოა, რომ კანცელარია "ახალ მემარჯვენეებთან" პოლიტიკურ კავშირს ასე აშკარად არ დააფიქსირებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ზოდელავას შემცვლელად სხვა, "ახლებთან" დაახლოებული, მაგრამ უფრო ნეიტრალური კანდიდატურის მოძებნა ძნელი არ არის.

# შოვინიზმი ყუბანურად

პირველი გვერდიდან

კრასნოდარის გუბერნატორმა ტკაჩოვმა, სამამულო მოძრაობის კონფერენციაზე გამოსვლისას, განაცხადა: **"სამხარეო ადმინისტრაციის პოზიცია ისეთივე უცვლელი დარჩება, როგორიც იყო. ყუბანი – ყუბანელებისათვის. დიახ, ყუბანი მრავალეროვანი რეგიონია, მაგრამ აქ ძირითადი ერი - რუსი ერია და მორჩა! ვინც ჩვენთან მოვიდა, ჩვენს წესს და ჩვენს ადათებს უნდა მოერგოს და დაემორჩილოს. ჩვენ გავამკაცრებთ რეგისტრაციისა და ჩაწერის რეჟიმს. ვფიქრობ, საპასპორტო სამსახურები რეგისტრაციის დროს ყურადღებას უნდა აქცევდნენ გვარების ისეთ დაბოლოებებს, როგორებიცაა: იანი, ძე, შვილი და ოღლი. ასეთი ადამიანების მიმართ ჩვენ მკაცრად უნდა ვიმოქმედოთ."**

გუბერნატორის ასეთი სიმკაცრის გამოძახილად, საკანონმდებლო ორგანომ მიიღო ახალი კანონი "კრასნოდარის მხარეში ჩასვლისა და ცხოვრების შესახებ," რომელიც ძალაში აპრილის შუა რიცხვებიდან შევიდა. ახალი კანონის ნორმებით, საგრძნობლად გამკაცრდა იმ პირთა რეგისტრაცია, რომლებიც ჩამოდიან როგორც მეზობელი ქვეყნებიდან, ასევე რუსეთის სხვა რეგიონებიდან. გამკაცრდა სანქციებიც. თუ ადრე, რეგისტრაციის არქონის შემთხვევაში, უცხოეთის მოქალაქე 50 რუბლით ჯარიმდებოდა, ახლა მას 500-დან 1000 რუბლამდე ჯარიმის გადახდა მოუწევს.

მილიცია მთელი ენერგიით შეუდგა ახალი კანონით გათვალისწინებული ნორმების შესრულებას. ზოგჯერ ამას სკანდალიც მოსდევს. მაგალითად, სოჭის №7 სკოლაში მომხდარმა ინციდენტმა არა მარტო კავკასიელების, არამედ რუსი მოსახლეობის აღშფოთებაც გამოიწვია. მილიციის თანამშრომლებმა პირდაპირ მშობელთა კრების დროს დაიწყეს საბუთების შემოწმება. ისინი, განცვიფრებული პედაგოგების თვალწინ, აჯარიმებდნენ იმ ხალხს, ვის პასპორტებშიც დროებითი რეგისტრაციის შტამპი არ იყო.

ასე დაიწყო ადგილობრივმა ხელისუფლებამ კანონის აღსრულება. გუბერნატორის ჩანაფიქრით, ამ ბრძოლის შემდგომი ეტაპი კრასნოდარში სადეპორტაციო პუნქტების მშენებლობის დაწყება უნდა გახდეს. ასევე უნდა შეიქმნას საბადრაგო ქვედანაყოფები, მიგრანტების კრასნოდარიდან გასაძევებლად.

ნაწყვეტი ალექსანდრე ტკაჩოვის გამოსვლიდან (РТР – «вести недели»): "თუ კრასნოდარში იუგოსლავიის მოვლენების გამეორება არ გვსურს, სასწრაფო ზომები უნდა მივიღოთ. უნდა მოხდეს მიგრანტების დეპორტაცია. ისინი ყუბანისა და რუსეთის საზღვრებიდან უნდა გავაძევოთ."

რუსეთის ხელისუფლება კი ყუბანის გუბერნატორის მოქმედებებზე, ჯერჯერობით, არანაირ რეაგირებას არ ახდენს.

# ახალი მოძრაობა ძველი სახეებით

ვერიკო თევზაძე

გუშინ გურამ აბსანძემ, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, საზოგადოებას ახალი პოლიტიკური გაერთიანების - "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის" დაარსება აუწყა. საპარლამენტო არჩევნებისთვის სამზადისში მყოფი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათი მიზანია საქართველოს გადარჩენა, ხოლო ხელისუფლებაში მოსვლა - ამ მიზნის მიღწევის საშუალება.

გურამ აბსანძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თანხმობა არ ნიშნავს შერიგებას, თანაც - ნებისმიერ ძალასთან: **"ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ამ ხელისუფლებას ჩამოვაშოროთ ძალაუფლება და ქვეყანა განადგურებისაგან ვიხსნათ".** აბსანძე პრინციპულად უპირისპირდება დღევანდელი ხელისუფლების მიერ ანგაჟირებულ შერიგების პრინციპს. ეს, მისი აზრით, გულისხმობს **"შეგუებას იმ უსამართლობასთან და ბოროტებასთან, რომელიც ხელისუფლებამ საქართველოს მოსახლეობის მიმართ ჩაიდინა."**


მარცხნიდან: გიორგი გაჩეჩილაძე, გურამ აბსანძე, ნემო ბურჭულაძე.

იური ლობოდინის ფოტო

გურამ აბსანძე სასიცოცხლო აუცილებლობად მიიჩნევს, ხელისუფლებაში მოვიდეს ეროვნულ პლატფორმაზე რეალურად მდგომი პოლიტიკური ძალა, რომელიც, საქართველოს დე იურე ხელისუფლების არსებობის პირობებში, აღადგენს ქართული სახელმწიფოს შეწყვეტილ კონსტიტუციურ სამართალმემკვიდრეობას. ახალი პოლიტიკური კავშირი გვპირდება, რომ მთელ ძალისხმევას მიმართავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

ქვეყნის მმართელობაში ადინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის შეცვლის გარდა, აბსანძის კავშირი წინასაარჩევნოდ ელექტორატს საკმაოდ მადის აღმძვრელ დაპირებებს სთავაზობს. სოციალური სამართლიანობის აღსადგენად ისინი აუცილებლად მიიჩნევენ მოსახლეობისათვის 1992-1994 წლებში წართმეული ანაბრების რეალური კურსით ანაზღაურებას. ასევე, მათი აზრით, მოსახლეობას უნდა დაუბრუნდეს **"შევარდნაძისა და მისი ხელისუფლების სანათესავო კლანების უკანონოდ პრივატიზებული, ე. წ. ნულოვან აუქციონზე ჩალის ფასად შესყიდული და სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო მაქინაციებით ხელში ჩაგდებული მილიარდობით ღირებულების ეროვნული სიმდიდრე".**

ახალი კავშირის პრეზენტაციაზე, ე.წ. ზვიადისტების გარდა, იმყოფებოდნენ სხვადასხვა პოზიციებზე მდგომი პოლიტიკოსები: "მემარჯვენე" ლევან გაჩეჩილაძე, ჟვანიას გუნდის წევრები - ელდარ შენგელაია და ვასილ მაღლაფერიძე, გურამ შარაძე "მრეწველებიდან" და სხვები. "24 საათთან" საუბრისას მათ დადებითი შეფასება მისცეს ახალი კავშირის დაფუძნებას. თავად გურამ აბსანძემ დამსწრე საზოგადოების სიჭრელე რბილი ირონიით შეაფასა: **"აქ გვესწრებიან გადაგდებული, გადამგდები და, ალბათ, გადასაგდები ხელისუფლების წარმომადგენლები".**

# იგებს ის, ვინც ნაკლებს ხარჯავს

პირველი გვერდიდან

საზღვრულ ვადას არ დაელოდა და საფინანსო განყოფილებას დეტალური ხარჯთაღრიცხვა წარუდგინა. დოკუმენტების თანახმად, **ეროვნულ-დემოკრატების დანახარჯი 12 736 ლარია.** ლეიბორისტების დარად, ეს თანხაც მთლიანად შემოწირულობებითაა შეგროვებული.

"სახალხო-ტრადიციონალისტები" არჩევნებში დახარჯულ თანხად, ალბათ, 7000 –7500 ლარს დაასახელებენ. "ცესკოში" ამ საარჩევნო ბლოკის რწმუნებულის პაატა კიკვაძის თქმით, ჯერ **"საბოლოო გათვლა დასრულებული არ არის, მაგრამ დახარჯულის ჯამი ამაზე მეტი არ გამოვა".**

ამ სამი პარტიის დანახარჯის ფონზე საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება ის ციფრი, რომელსაც "მრეწველები" დაასახელებენ. არჩევნების დაწყებამდე უკვე ცნობილი იყო, რომ მათი საარჩევნო ფონდი 50 000 ლარს შეადგენდა. "ცესკოში" პარტიის წარმომადგენელი ლევან ჩხეიძე ამბობს, რომ **"მრეწველებმა ეს თანხა აშკარად იკმარეს."**

**ჟვანიას გუნდმაც დაახლოებით 50 000 ათასი ლარი დახარჯა.** ეს რიცხვი გაზეთ 24 საათს რომან კუსიანმა დაუსახელა.

ორშაბათამდე დახარჯული ფულის შესახებ არაფერს ამბობენ სააკაშვილის გუნდის, "ახალი მემარჯვენეებისა" და "აღორძინების" წარმომადგენლები. "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი კობა დავითაშვილი ამბობს, რომ ჯერ ზუსტ რიცხვს ვერ დაასახელებს. თუმცა, უკვე ცხადია, რომ მისი წყალობით პარტიას 30 000 ლარზე მეტი ექნება დახარჯული. თანხის დაკონკრეტებისაგან თავს იკავებენ "ახალი მემარჯვენეებიც". პარტიის წარმომადგენელი თამაზ კაპანაძე ამბობს, რომ **"ორშაბათამდე არავინ არაფერს იტყვის".**

რაც შეეხება აღორძინებას , ისინი უკანასკნელ გათვლებს დღეს დაასრულებენ და "ცესკოს" ანგარიშს, ალბათ, დღესვე წარუდგენენ.

# ექზოტიკური ორია

გიორგი ასანიშვილი

გუშინ, პარლამენტში გამოსვლისას, გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ დეპუტატებს იმ გამოძიების მასალები გააცნო, რომელსაც მისი უწყება გასული წლის 9-10 ნოემბერს პარლამენტის სპიკერის არჩევნების შედეგების გაყალბების (ბიულეტენების დანომვრის გზით) მცდელობასთან დაკავშირებით აწარმოებდა.

გაბრიჩიძის განცხადებით, გრაფიკოს-ექსპერტებისა და სხვა სპეციალისტების მონდომების მიუხედავად, დამნაშავე პირის ზუსტად დადგენა ვერ მოხერხდა. მათი დასკვნების საფუძველზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ გაყალბების მცდელობა, შეიძლებოდა, მომხდარიყო ორიდან ერთ-ერთი პირის – პარლამენტის აპარატის უფროსის ხათუნა გოგორიშვილის ან პარლამენტის აპარატის სპეციალისტის ბადრი ორთოიძის მიერ.

ვინაიდან ქართველი სამართალდამცავების ხელთ არსებული ტექნიკური ბაზა არ იძლევა ფალსიფიკატორის ვინაობის უფრო ზუსტად დადგენის საშუალებას, გენერალურ პროკურორს გადაწყვეტილი აქვს, დასახმარებლად უცხოელ სპეციალისტებს მიმართოს.

# არჩევნები ჩატარებულია, დაივიწყეთ...

გიორგი ასანიშვილი

*შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი და გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე, გამოძიების ინტერესების მოტივირებით, ჯერ არ ასახელებენ იმ პიროვნებებსა და უწყებებს, რომლებიც 2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დროს რუსთავში, ზუგდიდში, ქუთაისში, ბოლნისში და რიგ სხვა ქალაქებში დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენაში არიან ინკრიმინირებულნი. პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას, სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები ზოგადი მსჯელობით შემოიფარგლნენ და განაცხადეს, რომ კანონის დარღვევის თითოეულ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ან ტარდება წინასაგამოძიებო მოკვლევა და დამნაშავეები სათანადოდ დაისჯებიან.*

ნარჩემაშვილის თქმით, არჩევნებიდან ჯერ მხოლოდ ხუთი დღეა გასული და დროის ასეთ მოკლე მონაკვეთში სამართალდარღვევათა სრული აღნუსხვა, გამოძიება და ანალიზი, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. **"ამას, სულ ცოტა, 20 დღე მაინც სჭირდება"**, - აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი.

ის, რაც არ თქვეს ნარჩემაშვილმა და გაბრიჩიძემ, პარლამენტარებმა გააჟღერეს. მერაბ ტყეშელაშვილის მტკიცებით, 2 ივნისს რუსთავში არჩევნების ჩაშლის კვალი ქალაქისა და ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელობისკენ მიდის, მარინა მოლოდინიც მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მომხდარ დარღვევებს რაიონებისა და მხარის პოლიციის უფროსებს აბრალებს, ხოლო დავით გამყრელიძის თქმით, ბოლნისში რაიონის გამგებელმა და პოლიციის უფროსმა დამკვირვებლები და ჟურნალისტები გამოყარეს, მასმედიის ერთ-ერთ წარმომადგენელს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და რაიონში თვითონ ჩაატარეს არჩევნები.

პარლამენტარები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ, სამართალდარღვევის უამრავი ფაქტის არსებობის მიუხედავად, დღემდე არც ერთი თანამდებობის პირი სამსახურიდან არ გაუთავისუფლებიათ, რაზეც მინისტრი და გენერალური პროკურორი პასუხობენ, რომ ეს მას შემდეგ მოხდება, როდესაც მათი ბრალეულობა სასამართლოს მიერ დადასტურდება.

გუშინდელი საპარლამენტო მოსმენის დროს აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საარჩევნო სიების საკითხმაც. ალეკო შალამბერიძის განცხადებით, სიების არასრულყოფილების გამო, მხოლოდ ცესკოზე ჯოხის გადატეხვა არასწორია, მით უმეტეს, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაამოწმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადაცემული სიები და მასში 1600-ზე მეტი "გაორებული" პიროვნება აღმოაჩინა; ხოლო ზურაბ ტყემალაძის თქმით, გადაცემულ მონაცემებში 33 ათასი ამომრჩევლის მისამართი საერთოდ არ იყო მითითებული. თავის მხრივ, კობა ნარჩემაშვილს არ სურს, სიების არასრულყოფილებისთვის მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ მის უწყებას დაეკისროს და ამტკიცებს, რომ "ცოდვის ტვირთი" იუსტიციის სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაბამისმა სტრუქტურებმაც უნდა გადაინაწილონ.

დეპუტატებს გული უწუხთ, როდესაც წარმოიდგენენ, რომ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებიც ასეთი "მახინჯი" სიებით შეიძლება ჩატარდეს. ამიტომ ისინი შინაგან საქმეთა მინისტრისგან ითხოვენ, აქედანვე დაიჭიროს სამზადისი და ამომრჩეველთა რეგისტრაციის საკითხის მოწესრიგებას დღესვე შეუდგეს. ზაქარია ქუცნაშვილი ნარჩემაშვილს სთავაზობს, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მიეთითოს მისამართი, რაც "კარუსელების" დატრიალების გზით არჩევნების შედეგების გაყალბების შესაძლებლობას საგრძნობლად შეამცირებს. ეს წინადადება მინისტრმა მიიღო და იქვე დასძინა, რომ მის უწყებაში ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია. კერძოდ, შემუშავებულია პროექტი, რომლის მიხედვითაც ახალი, "მისამართიანი" პირადობის მოწმობების საფასური პასპორტების ღირებულებაში აისახება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები კი მოქალაქეებს უფასოდ დაურიგდებათ.

არჩევნების საბოლოო შედეგების "დალაგებაში" აქამდე რა როლი ეკისრა პოლიციასა და მის პირველ პირს, ბევრ განმარტებას არ საჭიროებს. ელენე თევდორაძეს მიაჩნია, რომ ბოლო დროს ამ კუთხით ბევრი არაფერი შეცვლილა. მეტიც: მისი აზრით, სამინისტროს სათავეში ნარჩემაშვილის მისვლის შემდეგ, უწყებაში მდგომარეობა უფრო გაუარესდა. ამ მოსაზრებას არ იზიარებს ლეიბორისტი ფრიდონ ინჯია, რომელიც მიიჩნევს, რომ ის, რაც ნარჩემაშვილმა გააკეთა (არ ჩაერია 2 ივნისის არჩევნებში), მის წინამორბედსაც რომ გაეკეთებინა, ახლა მისი თანაპარტიელები პარლამენტში უმრავლესობაში იქნებოდნენ და ამდენად, დღევანდელი მინისტრი ორდენსაც კი იმსახურებს. ამასთან დაკავშირებით თავად მინისტრი ბევრს არ საუბრობს და მხოლოდ ერთს დასძენს: **"რომ არა ჩვენი ოპერატიული მოქმედება, არჩევნების პროცესში უფრო სერიოზული პროვოკაციები და ექსცესები მოხდებოდა".**

გუშინდელმა პლენარულმა სხდომამ, გარეგნული ხმაურისა და დაძაბულობის მიუხედავად, უფრო ორთქლის გამოშვების ფუნქცია შეასრულა: მრისხანე ტირადებისა და ეფექტური განცხადებების იქით საქმე აღარ წასულა ...

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, საშა შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჭოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

# აფხაზური დიასპორა სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამს

ლიკა კობალაძე

*საპარლამენტო ფრაქციის - "ახალი აფხაზეთი-ქრისტიან დემოკრატების" თავმჯდომარე ვაჟა ლორთქიფანიძე გუშინ, თბილისში კავკასიური სახლის მოწვევით მყოფ, ამერიკაში მცხოვრებ აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებს - მამაშვილ ინალ და იაჰია კაზანებს შეხვდა.*

აფხაზურ დიასპორაში ერთ-ერთ დიდ ავტორიტეტს, ინალ კაზანს მიაჩნია, რომ აფხაზებმა და ქართველებმა ერთად უნდა იცხოვრონ ერთიანი სუვერენული სახელმწიფოს შემადგენლობაში, ოღონდ ერთი პირობით: **"აფხაზებს უნდა ჰქონდეთ სუვერენიტეტის, უსაფრთხოებისა და განვითარების სრული გარანტიები."** მისი თქმით, ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული პრობლემების მოწესრიგება ამ ორი ერის პრეროგატივაა და უხეშად ჩარევის უფლება არავის აქვს, არც ამერიკას და არც რუსეთს. იგი ფიქრობს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების პროცესში აფხაზურ დიასპორას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.

ვაჟა ლორთქიფანიძის აზრით, **"პრობლემა არ არის, თუ როგორი ფორმა ექნება სახელმწიფო წარმონაქმნს ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში. ყოველთვის ვამბობდით, რომ ნებისმიერი ფორმა (ფედერალიზმი იქნება თუ სხვა), რომელიც დღემდე შეუმუშავებია კაცობრიობას, ჩვენთვის მისაღებია, თუ საერთაშორისო სამართლის სუბიექტი იქნება მთლიანი სახელმწიფო და არა მასში შემავალი ერთეული."** მან აღნიშნა, რომ ეს პრინციპი აფხაზური დიასპორისთვისაც მისაღებია.



*ინალ და იაჰია კაზანები*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ვაჟა ლორთქიფანიძე მხარს უჭერს დიასპორის ჩართვას ნებისმიერი დონის მოლაპარაკებაში და ფიქრობს, რომ ინალ კაზანს არსებული პრობლემების გადაწყვეტის სწორი ხედვა აქვს: **"მიმაჩნია, რომ დიასპორებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ და მათ ძალიან აქტიური როლი უნდა ითამაშონ, თუმცა, დღეს ეს შეიძლება ვინმეს მოსწონდეს ან არ მოსწონდეს, ეს პირობითი ცნებებია."** მისი აზრით: **"თუ არძინბა და მისი ხელისუფლება არ დაეთანხმება ამას, ეს არაფერს ნიშნავს, რადგან მე ვიცი, რომ არძინბა ხვალ-ზეგ იძულებული გახდება, ანგარიში გაუწიოს მათ და მათი აზრი გაიზიაროს. არ უნდა ჩავთვალოთ, თითქოს არძინბას რეჟიმი სამუდამო და შეურყეველი იყოს. ამ რეჟიმს სწორედ ასეთი საზოგადოებრივი აზრი და ურთიერთობები შეარყევს. მას განყენებულად ცხოვრება არ შეუძლია. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ამერიკაში, თურქეთში, გერმანიასა თუ რუსეთში მცხოვრებ დიასპორას ერთი აზრი ჰქონდეს. ამიტომ არ მიმაჩნია ასეთი პერსპექტივა არც უშედეგოდ, არც უნაყოფოდ და არც უტოპიად."**

# ჩეჩნები პანკისის ხეობას ტოვებენ

ზაზა წულაძე

ჩეჩნეთის წარმომადგენელმა საქართველოში ხიზრი ალდამოვმა "24 საათს" აცნობა, რომ პანკისის ხეობასა და ხეობის ირგვლივ მთებში გამაგრებული შეიარაღებული ჩეჩენი მებრძოლები ნელ-ნელა ტოვებენ საქართველოს ტერიტორიას და სამშობლოში ბრუნდებიან.

**"რამდენიმე ჯგუფმა კიდევ დატოვა ხეობა, ისინი ჩეჩნეთის პრეზიდენტ ასლან მასხადოვის ბრძანებას დაემორჩილნენ. მასხადოვი მოუწოდებს ჩეჩენ მებრძოლებს, რომ დატოვონ პანკისი, რათა რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებების საშუალება არ მიეცეს,"** – თქვა ალდამოვმა.

უშიშროების სამსახურის ინფორმაციით, ამჟამად პანკისის ხეობაში 700-მდე ჩეჩენი და არაბი ეროვნების ამბოხებულია განლაგებული. ამის შესახებ უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ "ბი-ბი-სი"-სთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში მაისის ბოლოს განაცხადა.

**"საქართველოს მთავრობას აქვს პრობლემა პანკისის ხეობაში, სადაც 700-მდე შეიარაღებული ამბოხებულია თავმოყრილი, მათ შორის 100-მდე არაბი. ხელისუფლება აწარმოებს მოლაპარაკებებს ამბოხებულებთან, რათა მათ, ან დაყარონ იარაღი, ანაც დატოვონ ქვეყანა,"** – თქვა მაშინ ხაბურძანიამ.

ჩეჩნეთის წარმომადგენელი საქართველოში ხიზრი ალდამოვი ამ ცნობას კატეგორიულად უარყოფს.

**"ყურანზე შემიძლია დავიფიცო, რომ პანკისში ამდენი ჩეჩენი და, მით უმეტეს, არაბი "ბოევიკი" არ არის და არც არასოდეს ყოფილა,"** – განუცხადა "24 საათს" ალდამოვმა. მისივე თქმით, ამჟამად პანკისის ხეობაში მხოლოდ 3700 ჩეჩნეთიდან ლტოლვილი, ძირითადად, მოხუცები, ქალები და ბავშვები იმყოფებიან. **"შეიარაღებული ჩეჩნების რიცხვი 100-120-ს არ აღემატება,"** – აცხადებს ალდამოვი.

ალდამოვის პოზიციას იზიარებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძეც:

**"ჩემი ინფორმაციით, პანკისში შეიარაღებულ ჩეჩენთა რიცხვი არ აღემატება 150-ს. ბოლო პერიოდში, საქართველოს მთავრობის დაჟინებული მოთხოვნით, პანკისი 60-მა მებრძოლმა დატოვა."**

# არჩევნების შემდეგ ყველაზე სიმპათიური ღონისძიება

სოფო ბუკია

**"ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების შემდეგ ყველაზე სიმპათიური ღონისძიება ალბათ ეს არის,"**- აცხადებს გიგი წერეთელი თვითმმართველობის დამოუკიდებელ ექსპერტთა ასოციაციის პრეზენტაციაზე.

ახალგაზრდა ასოციაციისთვის კეთილი სიტყვა ახლადდანიშნულმა თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემაც არ დაიშურა. "**მჯერა, რომ თქვენი დახმარებით სერიოზულ ნაბიჯებს გადავდგამთ ქვეყნის თვითმმართველობის განვითარებისთვის,"** - აცხადებს ნუგზარ ნავაძე და ირწმუნება, რომ მისი კომიტეტი მალე თავს იმით გამოიჩენს, რომ სულ რაღაც ორსამ კვირაში ოცამდე ცვლილებას შეიტანს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონში.



*უცხოელი ექსპერტი გვაიმედებს.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა **(USAID)** და ურბანული ინსტიტუტის მხარდაჭერით დაფუძნდა. ასოციაციის საქმიანობა მიმართულია საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების უფლებამოსილებათა სრულყოფისაკენ: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი რგოლების გამიჯნვა, ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო და ქონებრივი დამოუკიდებლობის მიღწევა...

**"გამოცდილი ექსპერტები არიან, ბევრი სასიკეთო ცვლილების გატარება შეუძლიათ ამ სფეროში,"**- აცხადებს გიგი წერეთელი და იმედოვნებს, რომ ახლად შექმნილი ასოციაცია სერიოზული დასაყრდენი იქნება პარლამენტისთვის.

**"არჩევნების დღეს მთელი ამ ქაოსის მიუხედავად, სერიოზული დარღვევები არ ყოფილა. ეს დიდი მიღწევაა ახალი დემოკრატიული ქვეყნისთვის,"** - ამგვარ არასტანდარტულ განცხადებას აკეთებს USAID–ის წარმომადგენელი და საკუთარი ოპტიმიზმის წყაროდ უცხოელი დამკვირვებლების ნაამბობს ასახელებს.

**"საკრებულოს წევრებს ადრინდელზე უკეთ ესმით თავიანთი ფუნქციები. თვითმმართველობის შესახებ კანონში შევა ბევრი საგულისხმო შესწორება. სამუშაო ბევრია, მაგრამ ახალი ასოციაცია ბევრ რამეს შეძლებს,"** - ღიმილით გვაიმედებს უცხოელი ექსპერტი.

# "მშვიდობა იძულებით" - შესაძლო პერსპექტივა

პირველი გვერდიდან

მოსკოვში საქართველო-რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესების კიდევ ერთი ბერკეტი შეიქმნა. მისი ეფექტური მუშაობა დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ რუსეთის პოზიციაზე, არამედ იმაზეც, თუ რამდენად მზადაა საქართველო, იმავე აფხაზეთის საკითხში მთელ რიგ კომპრომისებზე წავიდეს. არადა, კომპრომისებს ადგილი რომ ექნებათ, ცხადია, თუმცა, არა იმაზე მეტს, რაზე წასვლაც აფხაზეთის სეპარტისტულ რეჟიმს მოუწევს.

ვლადიმირ რუშაილოს თქმით, **„საუბარი იყო პანკისისა და კოდორის ხეობის პრობლემებზე, ორი ქვეყნის ტერიტორიაზე შეფარებული დამნაშავეების დაკავებისა და ერთმანეთისათვის გადაცემის თაობაზე, ეკონომიკურ პროექტებზე. "იმედი გვაქვს, რომ რუსი ექსპერტების ჯგუფი უახლოეს მომავალში საქართველოში ჩავა,"** -თქვა მან. იგი დარწმუნებულია, რომ ორი ქვეყნის უშიშროების სამსახურები კონკრეტულ წინადადებებს წამოაყენებენ და ოპერატიულ მასალას შევარდნაძე-პუტინს წარუდგენენ. რუშაილოს ასეთი ზოგადი ფრაზებიდან, რა თქმა უნდა, ჟურნალისტებმა ვერაფერი გამოიტანეს, მაგრამ მოსკოვის გააქტიურებას აფხაზეთისა და პანკისის ხეობის საკითხში თედო ჯაფარიძის კიევში გადაფრენაც ამტკიცებს - ამჯერად თავის უკრაინელ კოლეგებთან შესახვედრად, რის შემდეგაც, შაბათ დილით ბატონი თედო კვლავ მოსკოვში დაბრუნდება. მასთან შეხვედრის მსურველი რუსი და უცხოელი ჟურნალისტები საქართველოს საელჩოში პრესკონფერენციის გამართვის სურვილს გამოთქვამენ, თუკი, მოსკოვი-კიევ-მოსკოვის მოლაპარაკებები საიდუმლო გრიფის ქვეშ არ დარჩება.

რუსეთის უშიშროების საბჭოს ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ უახლოეს მომავალში აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტის მანდატის გაფართოება მოხდება, რაშიც ერთნაირად არიან დაინტერესებულნი საქართველო-რუსეთის ოფიციალური სტრუქტურები. ამას ადასტურებს ცნობაც იმის შესახებ, რომ 17-18 ივნისს მოსკოვში სამშვიდობო მანდატის გაგრძელებაზე კონსულტაციების მორიგი რაუნდი გაიმართება.

მთელი სერიოზულობით დგება საკითხი აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის გაგრძელებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს ეგიდით , რაც რუსეთის მისიაზე ბევრად მკაცრი, ბევრად სასტიკი და მილიტარისტული იქნება. რუსი სამხედრო ექსპერტები იმასაც ამტკიცებენ, რომ საქართველოს ოპოზიციამ ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ არ დაუშვას აფხაზეთში ხელისუფლების მიერ ინსპირირებული შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღება. ამის საშიშროებაზე მიანიშნებს თავად ბატონი ანთაძის განცხადებაც იმის შესახებ, რომ **„აფხაზურმა მხარემ არ გაიზიარა თბილისის სერიოზული წინადადებები კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო ადმინისტრაციის შექმნის თაობაზე."**

ორი ქვეყნის უშიშროების საბჭოთა წარმომადგენლების მოსკოვურ მოლაპარაკებებზე გაირკვა, რომ საქართველო სერიოზული ნაბიჯებისათვის ემზადება. ასეთი პოზიციის საწინააღმდეგო არაფერი აქვს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რისი თქმის უფლებასაც იძლევა ისევ მერაბ ანთაძის განცხადება**: „თუ სოხუმი ასე გააგრძელებს, ქართული მხარე სთხოვს გაეროს, აამოქმედოს მისივე წესდების მე-7 თავი, რომელიც მშვიდობის იძულებით დამყარებას ითვალისწინებს. თუ ადრე რუსი კოლეგები აფხაზეთში ამ პუნქტის ამოქმედების წინააღმდეგნი იყვნენ, ახლა ამ ვრიანტს განიხილავენ არა როგორც სასურველს, არამედ დასაშვებს,"** - აცხადებს ბატონი ანთაძე. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დარწმუნებულია, რომ აფხაზები გონს მოეგებიან და კომპრომისებზე წავლენ.

"24 საათის" კორესპონდენტს ივანოვის უწყების დიპლომატმა აუწყა, რომ ვალერი ლოშჩინინი - ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი - ძალზე უხალისოდ ერთვება ამ მოლაპარაკებებში, რადგანაც პირადად ლოშჩინინი მიიჩნევს, რომ აფხაზეთის პრობლემის სამხედრო გზით გადაწყვეტა დაუშვებელია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლოშჩინინი დიპლომატია და სხვანაირი განცხადების უფლება არ აქვს, სინამდვილეში კი, ორი ქვეყნის ძალისმიერმა სტრუქტურებმა საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეთანხმებით უკვე ყველაფერზე მოილაპარაკეს.

მთელ ამ მოლაპარაკება-კონსულტაციების პერიპეტიებში დამაფიქრებელი ის არის, რომ ამჯერად რუსეთმა დარეგულირების პრიორიტეტები გაეროს უშიშროების საბჭოს გადაულოცა, რაზედაც საქართველო-რუსეთის უშიშროების საბჭოები ყაბულს არიან.

რუსი ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში სულ უფრო იზრდება აშშ-ს როლი, რომელიც დღეს, კავკასიის რეგიონს გარდა, მთელ მსოფლიოში განსაზღვრავს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის პროგრამას.

რუსი ექსპერტები დამკვირვებლები ყურადღებას იმ ფაქტს მიაპყრობენ, რომ ჩეჩენი ბოევიკები, რუსეთის კარნახით, ხან პანკისში ამოყოფენ თავს, ხან კი აფხაზეთის კურორტებზე და ამტკიცებენ, რომ აფხაზეთის შეიარაღებული გზით საქართველოსათვის დაბრუნების სცენარი თანაბრადაა გაზიარებული კონფლიქტის დარეგულირებაში დაინტერესებული ყველა მხარის მიერ - აფხაზეთის გამოკლებით.

# რუსთავის მერობის კანდიდატი მერაბ ტყეშელაშვილი მოქალაქეთა კავშირს ტოვებს

მანანა ხიდაშელი

მოქალაქეთა კავშირის რუსთავის რეგიონული ორგანიზაციის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, პარლამენტარმა მერაბ ტყეშელაშვილმა გუშინ პარტიიდან წასვლის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. **"იმ პარტიაში, რომელსაც ლევან მამალაძე და გელა კვარაცხელია ხელმძღვანელობს, მე ვერ დავრჩები."** - განაცხადა ტყეშელაშვილმა. პარტიასთან ერთად მან საპარლამენტო ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირიც" დატოვა და რუსთავში 9 ივნისისათვის დანიშნულ არჩევნებამდე დამოუკიდებელ დეპუტატად ყოფნა გადაწყვიტა..

რაც შეეხება ქალაქ რუსთავს, შეიძლება ითქვას, რომ იგი მოქალაქეთა კავშირის რეგიონული ორგანიზაციის გარეშე დარჩა. **"ჩვენ ვტოვებთ იმ პარტიას, რომელსაც, რეალურად, ლევან მამალაძე ხელმძღვანელობს. ამ აზრს ორგანიზაციის წევრთა 90 პროცენტი იზიარებს,"** - აცხადებს მოქალაქეთა კავშირის რეგიონული ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარე ზაზა იმედაშვილი და დასძენს, რომ მათი გადაწყვეტილება პირდაპირ კავშირშია რუსთავში არჩევნების ჩაშლასთან.

მერაბ ტყეშელაშვილი და მისი მხარდამჭერები რუსთავში არჩევნების ჩაშლას ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულს ლევან მამალაძეს უკავშირებენ. არც იმას გამორიცხავენ, რომ არჩევნები 9 ივნისსაც ჩაიშალოს. **"ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ გარკვეული ჯგუფი ამ არჩევნების ჩაშლას ცდილობს. ისიც ვიცით, რომ ერთ-ერთ კაფეში შეკრებილები იყვნენ და არჩევნების ჩაშლის გეგმას ადგენდნენ. ამის შესახებ უკვე ვაცნობეთ შსს-ს."** – განაცხადა მერაბ ტყეშელაშვილმა.



*მერაბ ტყეშელაშვილი მოქალაქეთა კავშირს ტოვებს.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

პრესკონფერენციას, რომელზეც ტყეშელაშვილმა საკუთარი გადაწყვეტილება გააჟღერა, რუსთავის რეგიონული ორგანიზაციის წევრები - მამუკა აბულაძე, ნოდარ მიქაბერიძე, კობა ლომიძე და კახა ცერცვაძეც ესწრებოდნენ. ოთხივე რუსთავის საკრებულოს წევრობის კანდიდატია და საარჩევნო სიაშიც მოქალაქეთა კავშირის სახელით არის წარდგენილი. **"ჩვენი განცხადების შემდეგ საარჩევნო სიიდან, შესაძლოა, ამოგვშალონ კიდეც."** - განაცხადა კახა ცერცვაძემ.

მოქალაქეთა კავშირის რიგების შემცირებასთან დაკავშირებით, ვიტალი ხაზარაძე (ფრაქცია "მოქალაქე") აცხადებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დროებითი მარცხის გამო, არ მისცემს თავს უფლებას, დატოვოს პარტია. მისივე თქმით, იგი არის და იქნება პრეზიდენტის მხარდამჭერი. **"ყველას, ვინც ჩვენი პარტიიდან გავიდა, წარმატებულ საქმიანობას ვუსურვებ."** - აცხადებს ვიტალი ხაზარაძე და იმედი აქვს, რომ მოქალაქეთა კავშირის რიგები კვლავ შეივსება.

დღეისათვის საპარლამენტო ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირში" 16 დეპუტატი დარჩა.

# მამუკა გიორგაძე სასამართლოდან სასამართლოში დადის

სოფიკო ოხანაშვილი

საოლქო სასამართლომ არ მიიღო "სახალხო პარტიის" მიერ 6 ივნისს შეტანილი სარჩელი. პარტიის ლიდერის მამუკა გიორგაძის თქმით, ამის მიზეზი არის ის, რომ, სარჩელის განხილვის შემთხვევაში, მათი სიმართლე დამტკიცდებოდა.

საოლქო სასამართლოს უარის მიუხედავად, მამუკა გიორგაძე პოზიციებს არ თმობს და უახლოეს დღეებში საოლქო სასამართლოში კერძო საჩივარს შეიტანს. უარის შემთხვევაში "სახალხო პარტიის" ლიდერი სამართლიანობისთვის ბრძოლის გაგრძელებას აპირებს და სარჩელით უზენაეს სასამართლოს მიმართავს.

იმ შემთხვევაში, თუ უზენაესმა სასამართლომაც არ მიიღო "სახალხო პარტიის" სარჩელი, მამუკა გიორგაძე არ გამორიცხავს ქუჩის აქციებს, რომლებიც, მისი თქმით, **"საკმაოდ მწვავე და რადიკალური"** იქნება. **"თუ უზენაესმაც უარი გვითხრა, რჩება ერთადერთი გზა: ან ამ კლანებს დავუთმოთ ჩვენი ქვეყანა საჯიჯგნად, რასაც ჩვენ არ ვაპირებთ, ან შესაბამისი პოლიტიკური ქმედებებით ვაიძულოთ ხალისუფლება, სამართლიანობა აღდგეს. ვეცდებით, ბოლომდე ვიბრძოლოთ".**

წამოწყებულ ბრძოლაში მამუკა გიორგაძეს ბევრი იმ პოლიტიკური ძალის მხარდაჭერის იმედი აქვს, ვინც ასევე აპროტესტებს 2 ივნისის არჩევნებს.

# დაკვეთა დამკვეთის გარეშე

## კონტროლის პალატის კრიტიკას ფინანსთა სამინისტროში საკადრო წმენდა მოყვა

გიორგი კალანდაძე

*კონტროლის პალატა მირიან გოგიაშვილის მემკვიდრეობის შეფასებას ამთავრებს. საგადასახადო შემოსავლების, აწ უკვე გაუქმებული სამინისტროს, საქმიანობის შესწავლის შემდეგ, რევიზორები გაერთიანებამდელ ფინანსთა უწყებას მიადგნენ. თუ პალატის თავმჯდომარეს, სულხან მოლაშვილს დავესესხებით, ამ შემოწმების მასალებიც ფრიად სკანდალურ ცნობებს შეიცავს. მოლაშვილი აპირებს, ზურაბ ნოღაიდელისეული ფინანსური წესრიგის არსებობა ეჭვქვეშ დააყენოს. პალატის შეფასებებს ფინანსთა გაერთიანებული სამინისტროს ახალი ხელმძღვანელები 100 პროცენტით ეთანხმებიან.*

"ბოლო სამი წლის განმავლობაში საგადასახადო სფეროში მნიშვნელოვანი დარღვევები იყო. იმედია, ამიერიდან ყველაფერი გამოსწორდება", - განაცხადა "24 საათის" კორესპონდენტთან საუბარში კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ ბიჭიკაშვილმა. ქვეყნის მთავარმა მაკონტროლებელმა სამსახურმა ფინანსთა და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროების საქმიანობა შეამოწმა. ორი დღის წინ პალატის პრეზიდიუმმა საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში შემავალი უწყებების შედეგები დაიწუნა. მომავალ კვირას ზურაბ ნოღაიდელის ყოფილი სამინისტროს ჯერიც დადგება. ჯერ არ დასრულებულა საბაჟო დეპარტამენტის საქმიანობის შემოწმება, რომელსაც ფინანსთა ახალმა მინისტრმა ხელმძღვანელი უკვე შეუცვალა.

ბოლო დროს კონტროლის პალატას, ფაქტობრივად, მოხსნილი ან გადამდგარი ჩინოვნიკების კრიტიკა უხდება – მიხეილ მაჭავარიანი, ზურაბ ნოღაიდელი, მიხეილ სააკაშვილი... შედეგად, ძველის გაკიცხვა ახალი კადრების სასტარტო პოზიციების გაუმჯობესებას უფრო ემსახურება. შეიძლება შემთხვევითობაა, მაგრამ საკადრო ცვლილებების გატარება ფინანსთა სამინისტროში და კონტროლის პალატის მიერ მირიან გოგიაშვილის უწყებაში შემავალი სამსახურების საქმიანობის შემოწმება ერთმანეთს დაემთხვა. მკაცრია სულხან მოლაშვილის რევიზორთა შეფასებები, რომლის საფუძველზეც გოგიაშვილს აშკარად უადვილდება მიხეილ მაჭავარიანისა და ლევან ძნელაძის "მემკვიდრეობისაგან" საკუთარი უწყების გათავისუფლება. ყოფილ საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში თითქმის ყველა ხელმძღვანელმა დატოვა პოსტი. გოგიაშვილის რისხვას მხოლოდ ლევან ჩრდილელი გადაურჩა, რომელმაც საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარეობა ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილეობაში გაცვალა.

თამარ ბიჭიკაშვილი ასე აფასებს საგადასახადო შემოსავლების ყოფილი სამინისტროს საქმიანობას: "დარღვევები კომპლექსურ ხასიათს ატარებს. ისინი იმითაცაა გამოწვეული, რომ არასრულყოფილია საგადასახადო კანონმდებლობა. გარდა ამისა, საგადასახადო შემოსავლების სამინისტრომ ვერ შეძლო ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფდა ცენტრსა და რეგიონებში მაქსიმალური შემოსავლების მიღებას". კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე ასევე აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში საგადასახადო შემოსავლების დაგეგმვა ისე მიმდინარეობდა, რომ გათვალისწინებული არ იყო რეალური საგადასახადო ბაზა. პალატის შემოწმების აქტში გაცილებით მეტი დარღვევაა ჩამოთვლილი.

"გეთანხმებით, რომ 2000 წელს იყო ბევრი დარღვევა, მაგრამ სწორედ ამის გამო დაიწყო რეფორმა", - აცხადებს საგადასახადო შემოსავლების ყოფილი მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი, - "მას შემდეგ ბევრი პრობლემა მოგვარდა. ამის არდანახვა ბინძურ პროვოკაციულ დაკვეთად მიმაჩნია. თანაც, შეიძლება, დამკვეთი არც კი არსებობდეს".

# პავლიაშვილის „შავი სიები"

## ქონების მართვის სამინისტრო „უპირო" ინვესტორებს სასამართლოთი ემუქრება





*სოლომონ პავლიაშვილი*

მარიკა ამურველაშვილის ფოტოები

სოფო კვინტრაძე

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ახალი პოლიტიკის გატარებას იწყებენ, რაც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების მასიურ პრივატიზებას გულისხმობს. სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის სოლომონ პავლიაშვილის განცხადებით, საწარმოთა გაყიდვის პროცესი, რაც შეიძლება, სწრაფად წარიმართება.

**"ჩვენ ყოველდღიურად 20-25 საწარმო გადაგვაქვს საპრივატიზაციო ნუსხაში. ამ მხრივ პროცედურაც გაიოლდა, რადგან ამა თუ იმ ობიექტის გაყიდვისთვის უკვე აღარ არის საჭირო დარგობრივ სამინისტროებთან შეთანხმება. ამგვარი რადიკალური ზომების მიღება იმიტომ დაგვჭირდა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების 70-75 პროცენტი წამგებიანია. მარტო 2001 წელს ზარალმა 80 მილიონი ლარი შეადგინა,"** – განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა პრესკონფერენციაზე.

მინისტრის ინფორმაციით, საპრივატიზაციო ნუსხაში უკვე შეტანილია ქუთაისის ავტომშენებელი ქარხანა, რომელზეც უახლოეს დღეებში გამოცხადდება ტენდერი. ამჟამად ტენდერი გამოცხადებულია სააქციო საზოგადოება "ჰიდროსპეცგვირაბმშენისა" და "ელექტროშემკეთებელი ქარხნის" პრივატიზებაზეც.

სოლომონ პავლიაშვილმა ისაუბრა ქონების მართვის სამინისტროში ახლადშექმნილი სახელშეკრულებო ვალდებულებათა ანალიზისა და კონტროლის დეპარტამენტის საქმიანობის შედეგებზეც.

**"დეპარტამენტმა სამთვიანი მუშაობის შედეგად დაადგინა, რომ 1995 წლიდან დღემდე გაფორმებულია 1072 ხელშეკრულება, მათ შორის, 990 სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან, 82 ქონების იჯარით და უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გაცემასთან დაკავშირებით. დეპარტამენტმა განხორციელა მონიტორინგი 25 საწარმოზე და გამოავლინა ის ინვესტორები, რომლებიც სახელშეკრულებო ვალდებულებებს არღვევენ,"** - განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

სახელშეკრულებო ვალდებულებათა ანალიზისა და კონტროლის დეპარტამენტის "შავ სიაში" შემდეგი საწარმოები მოხვდნენ: სს "ფოთის გემთსაშენი", სს "რუსთავცემენტი", "აგრომრეწვბანკი", შპს "კოლხეთი", სს "თავთუხი" (ყოფილი მეორე პურის ქარხანა), სს "პური ჩვენი არსობისა"(ყოფილი მეექვსე პურის ქარხანა), შპს "ჯორჯია" და სხვ. მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი დარღვევები ძირითადად საიჯარო გადასახადის გადაუხდელობა და საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობა გახლავთ. სოლომონ პავლიაშვილის განცხადებით, ყველა ამ საწარმოს წინააღმდეგ აღიძვრება სარჩელი ხელშეკრულების სასამართლო წესით მოშლის თაობაზე.

# მთავრობა „იტერასა" და „ტაჰალთან" ურთიერთობებს არკვევს

გვანცა კვინიკაძე

საქართველოს მთავრობას ყველაზე მწვავე ენერგეტიკული პრობლემის მოგვარების ვადები ეწურება. სახელმწიფო მინისტრთან შეკრებილმა მისმა მოადგილეებმა და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა "იტერას"-თვის თბილისის მიერ მაისში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის, "იტერა"-სადმი წლების განმავლობაში დაგროვილი მრავალმილიონიანი დავალიანების დაფარვის სქემის შედგენისა და "თბილგაზში" ისრაელის კომპანია "ტაჰალის" შესვლასთან დაკავშირებული საკითხების სასწრაფოდ მოგვარების შესაძლებლობებზე ითათბირეს. როგორც ჩანს, ამ თათბირს სასიკეთო და რეალური შედეგები არ მოჰყოლია, რადგან სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა შეგნებულად აარიდა თავი პრესასთან შეხვედრას.

ერთადერთი, ვინც ერთსაათიანი თათბირის შემდეგ პრესასთან გასაუბრება ისურვა, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე იყო. მისი თქმით, ხელისუფლება ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხზე მუშაობს, თუმცა, ჯერ არც საერთო გადაწყვეტილებებია მიღებული და არც "იტერა"-ს მიმართ დავალიანების დაფარვისთვის აუცილებელი თანხებია მოძიებული. აქედან გამომდინარე, თბილისისთვის გაზის შეწყვეტის საშიშროება, სამწუხაროდ, კვლავაც რეალურია. რამდენიმე დღის წინ ქართულმა მხარემ "იტერა"-ს მაისში მოხმარებული გაზის საფასურის ნაწილი, ერთი მილიონი ლარი ეროვნული ბანკისგან აღებული სესხის წყალობით გადაუხადა. რუსული კომპანია ამით არ დაკმაყოფილდა და თანხის სრულად დაფარვას, ანუ დარჩენილი 7 მილიონის გასტუმრებასაც ითხოვს.

"იტერა"-სთან დაკავშირებული მეორე "თავის ტკივილი" მის მიმართ საქართველოს მიერ დაგროვილი ვალებია. მნიშვნელოვანია, რომ ამ ვალების მოცულობაზე "იტერა"-სა და ქართულ მხარეს განსხვავებული მონაცემები აქვთ. "იტერა" 90, ხოლო საქართველოს ხელისუფლება 50 მილიონ დოლარს ასახელებს. ამჟამად ამ ვალების დაფარვის რამდენიმე ალტერნატიული სქემა განიხილება და ამ პროცესში ფინანსთა სამინისტროც აქტიურად არის ჩართული. ისაკაძის თქმით, "იტერა" საქართველოს ხელისუფლებისგან შეთანხმებული პოზიციის მოსმენას ელის და რაც უფრო მალე მიიღწევა ეს შეთანხმება, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის.

"იტერა"-ს გარდა, ხელისუფლება ებრაულ კომპანია "ტაჰალთანაც" არკვევს ურთიერთობებს. "ტაჰალი", ფაქტობრივად, უკვე მიიჩნევა ოფიციალურ ინვესტორად და, "თბილგაზში" მისი შესვლის პროცესის უპრობლემოდ წარმართვისთვის, ქონების მართვის სამინისტრო ფორსირებულ რეჟიმში მუშაობს. ნაკისრი ვალდებულების თანახმად, "ტაჰალი" პირველი ხუთი წლის განმავლობაში "თბილგაზის" რეაბილიტაციისთვის 75 მილიონ დოლარს დააბანდებს. ქონების მართვის მინისტრის განცხადებით, ებრაული კომპანია მნიშვნელოვან საგადასახადო შეღავათებს და, ამავე დროს, გაზზე ტარიფის ეტაპობრივად გაზრდის უფლებასაც მიიღებს. გარდა ამისა, ხელისუფლება ინვესტორს "თბილგაზის" 71 მილიონი ლარის ოდენობის დავალიანების გასტუმრებისგანაც ათავისუფლებს და ამ მძიმე ფუნქციას საკუთარ თავზე იღებს.

# ლეშეკ ბალცეროვიჩი პრესინგის ქვეშ მოექცა

პოლონეთის ნაციონალური ბანკის ხელმძღვანელი ლეშეკ ბალცეროვიჩი დაცვის გარეშე დატოვეს. ამ ფაქტმა კიდევ უფრო დაძაბა კამათი ბალცეროვიჩის საქმიანობის შესახებ. მისი ოპონენტების მტკიცებით, ბანკის ხელმძღვანელი პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფება. მთავრობა ბალცეროვიჩს პოლონეთში მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო აკრიტიკებს. ხელისუფლების წარმომადგენლების მტკიცებით, ბალცეროვიჩის ბრალია ისიც, რომ მილიონობით პოლონელი უმუშევარი დარჩა – ეს შედეგად მის ეკონომიკურ რეფორმებს მოჰყვა.

თუმცა, ნაციონალური ბანკის ხელმძღვანელის უფლებებს ლიბერალები და მემარჯვენე ოპოზიცია იცავს. ისინი დაცვის ჩამორთმევის ფაქტს სასტიკად აპროტესტებენ. "ეს სკანდალია, რომელიც დაწყებით კლასებს მაგონებს. თუმცა, ყველაფერი ისე ვითარდება, რომ, საბოლოოდ, ბალცეროვიჩის სიცოცხლეს ექმნება საფრთხე", - აცხადებს ბოგდან ვიზნიკიევიჩი, საბაზრო ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტრის ხელმძღვანელი.

ეს დაპირისპირება მალე პარლამენტში გადაინაცვლებს. პოლონური ოჯახების ლიგა მალე გამოვა ბალცეროვიჩის გადაყენების ინიციატივით. მმართველი მემარცხენე დემოკრატიული ალიანსიც აშკარად მიანიშნებს, რომ ბანკის ახლანდელ მმართველზე უკეთ მის მოვალეობებს სხვა შეასრულებს. რეზოლუცია რომც მიიღონ, პოლონური კანონმდებლობის მიხედვით, ბალცეროვიჩს ვადის გასვლამდე, ანუ 2006 წლამდე ვერ გადააყენებენ. თუმცა, თუ მისი ოპოზიციის ხმებს მემარჯვენე პარტიების ნებაც მიემატება, მაშინ ბალცეროვიჩი დიდი ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდება. ამ ეტაპზე კი ბანკის მმართველს თავისი პოზიცია ჯერ არ დაუფიქსირებია. (BBC)

# ოპტიმისტურ-პესიმისტური ვარიაციები მობილურ ტელეფონებზე

მობილური კავშირების კომპანიებს კრიზისის დადგომის ეშინიათ. ახალი კლიენტების მოპოვება მათ სულ უფრო უჭირთ. ამის გამო კომპანიებს ურჩევნიათ, ძველ და ერთგულ მომხმარებლებს ახალ-ახალი სამსახური შესთავაზონ და ბიუჯეტი ამ ხერხით შეივსონ. ერთ-ერთი კარგად ნაცადი სქემაა ძველი ტელეფონების გაცვლა ახლებზე, რომლებიც კლიენტებს უფრო მრავალფეროვან ფუნქციებს სთავაზობს.

თუმცა, ამ "ჭკვიანი" ტელეფონების მომავალზე ექსპერტების აზრი იყოფა.

საიმონ ისტი, პორტატული ტელეფონებისათვის პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალისტი, მიიჩნევს, რომ კომპიუტერიზებულ ტელეფონებზე დიდი მოთხოვნა არ იქნება. "მასობრივი მომხარებლისათვის ამ ტელეფონების შესაძლებლობებში გარკვევა ძალზე რთულია", - განმარტავს ის.

პორტატული კომპიუტერების "ჰანდსფრინგის" მწარმოებელი როი ბედლოვი კი უფრო იმედიანად არის განწყობილი. მისი აზრით, ერთადერთი, რამაც კლიენტი შეიძლება დააფრთხოს, ტელეფონების მაღალი ფასებია.

მართლაც, როცა პოლიტონალური, ფერადეკრანიანი ტელეფონები შემოვა გაყიდვაში, მათი ღირებულება დაახლოებით 290 დოლარი იქნება. ამგვარი აპარატებისადმი ინტერესი, შესაძლოა, მხოლოდ საქმიანმა ადამიანებმა გამოხატონ, დანარჩენებს კი მარტივი მენიუს მქონე ტელეფონები ურჩევნიათ, - ასკვნის ისტი.

ბუნებრივია, "ჭკვიანი" და "წინწასული" ტელეფონების ბედს მომავალი გაარკვევს. ერთი კი ფაქტია, მობილური კავშირების ოპერატორებს აღარ სურთ WAP სერვისის წარუმატებელი გამოცდილება გაიზიარონ. (BBC)

# „ვოკმენი" - ყველას სიტყვაა

პერსონალური პლეერების მწარმოებელ კომპანიებთან ერთად, ასე ფიქრობს ავსტრიის სასამართლოც. ოფიციალური დადგენილებით, კომპანია "სონის" უკვე აღარ აქვს სიტყვა "უოლქმენის" ექსკლუზიურად გამოყენების უფლება. იურისტების განმარტებით, ამ სიტყვამ საერთაშორისო ლექსიკონში დაიმკვიდრა ადგილი და ზოგადად ყველა პერსონალური პლეერის სინონიმად იქცა. აქედან გამომდინარე, ის ერთი კომპანიის საკუთრება ველარ იქნება. მით უფრო, რომ ერთ-ერთ გერმანულ ლექსიკონში "უოლქმენი" ისეა განმარტებული, რომ იქ "სონის" ხსენებაც არ არის.

როგორც გახსოვთ, თავის დროზე იგივე ბედი ეწია სიტყვებს: "ქსეროქსი" და "თანამგზავრი".

საერთოდ, "უოლქმენის" თემა მას შემდეგ აგორდა, რაც "სონის" წარმომადგენლებმა კორპორაცია "თაიმ თრონს" უჩივლეს. "სონის" უკმაყოფილება იმან გამოიწვია, რომ "თაიმ თრონის" კატალოგში უოქმენით მოიხსენიებოდა ყველა პერსონალური პლეერი, განურჩევლად მწარმოებელი ფირმისა.

სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, "სონი" უკან დახევას არ აპირებს. კომპანიის იურისტები მზად არიან, სასამართლოს გზით "უოლქმენის" დასაბრუნებლად ბრძოლა განაგრძონ. "ეს სიტყვა ჩვენი საკუთრებაა და სასამართლოს გადაწყვეტილება არ გვაწყობს", - აცხადებს კომპანიის წარმომადგენელი.

ასე რომ, ჯერჯერობით, "სონი" და "უოლქმენი" ერთმანეთს მხოლოდ ავსტრიაში დააშორეს. მსგავსი სანქციის სხვა ქვეყნებში ამოქმედებას კომპანია არ დაუშვებს.

ისე კი, ფაქტია, რომ გლობალიზაციის ფონზე, ტრანსნაციონალურ კომპანიებს საკუთარი სამარკო ნიშნებს დაცვა სულ უფრო უჭირთ. ეს განსაკუთრებით რთულია აღმოსავლეთ აზიასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც საავტორო უფლებების დამცველი კანონები თითქმის არ მოქმედებს. (BBC)

# სუფსის საზღვაო ნავსადგური ყოველწლიურად მილიონი დოლარს კარგავს

სუფსის საზღვაო ნავსადგური ყოველწლიურად 1 მილიონი დოლარის შემოსავლებს კარგავს, — განუცხადა „მედია-ნიუსს" ნავსადგურის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ქერქაძემ.

ეს ის თანხაა, რომელიც უნდა გადაეხადათ გემის მფლობელებს სუფსის ნავსადგურის აკვატორიაში შესვლისას. დღემდე არც ერთი გემის მფლობელს არ გადაუხდია ეს თანხა, რომელიც წელიწადში დაახლოებით მილიონამდე დოლარს შეადგენს. ამ გემებით ხდება ბაქო-სუფსის ნავთობსადენით ტრანსპორტირებული ნავთობის ექსპორტი, — თქვა ქერქაძემ.

მისივე თქმით, სუფსის ადმინისტრაცია გადასახადის გადახდას, მოქმედი ტარიფების მიხედვით, არა ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ინვესტორს, არამედ გემის მფლობელს აკისრებს. იუსტიციის სამინისტრო უახლოეს ხანში გაარკვევს, ეკისრებათ თუ არა ამ თანხის გადახდა გემის მფლობელებს.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 2-8 ივნისის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | euro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6843 | 0.6462 | 0.0055 |
| US$ | 1.4613 | | 0.9442 | 0.008 |
| euro | 1.5474 | 1.0591 | | 0.0085 |
| ¥en | 181.86 | 124.44 | 117.56 | |

2002 წლის 8 ივნისიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1028 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.2454 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4277 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2200 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.5268 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1787 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0707 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4566 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3815 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1659 ლარი |

# ბუში საშინაო უსაფრთხოების სააგენტოს შექმნას მოითხოვს

გუშინ თავის სატელევიზიო გამოსვლაში პრეზიდენტმა ბუშმა წამოაყენა წინადადება საშინაო უსაფრთხოების სააგენტოს (Homeland Security Agency) შექმნისა და მისი ხელმძღვანელის კაბინეტის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ.

ახალი სააგენტოს შექმნა, რომელსაც 169 ათასი თანამშრომელი ეყოლება, 37,4 მილიარდი დოლარი დაჯდება. იგი გააერთიანებს სანაპირო დაცვას, საიდუმლო სამსახურს, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს, იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურს, აეროპორტებისა და ტრანსპორტის უსაფრთხოების სამსახურებს და სხვ. სააგენტოს ძირითადი დანიშნულება იქნება ქვეყნის დაცვა 11 სექტემბრის მსგავსი ტერაქტებისაგან. პრეზიდენტის განცხადებით, ქვეყანაში 100-მდე სტრუქტურაა, რომელთაც უსაფრთხოების ცალკეულ ელემენტებზე ზრუნვა ევალებათ, ახალი სააგენტო მათ კოორდინირებას და ინფორმაციის ურთიერთგაცვლას უზრუნველყოფს. მოსალოდნელია, რომ ახალ სტრუქტურას სათავეში საშინაო უსაფრთხოების ოფისის დირექტორი და პენსილვანიის ყოფილი გუბერნატორი ტომ რიჯი ჩაუდგება.

სააგენტოს შემადგენლობაში არ შევიდა ორი უმთავრესი სტრუქტურა, რომელთაც ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვა ეკისრებათ - გამოძიების ფედერალური ბიურო და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო, მაგრამ ამ ორ მეტოქე სტრუქტურას, რომელთაც ინფორმაციის გაცვლა მაინცადამაინც არ ეხალისებათ, ევალება, ახალ სააგენტოს ინფორმაცია მიაწოდოს.

მართალია, ბუში ამას უარყოფს, მაგრამ მიმომხილველთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ საშინაო უსაფრთხოების სააგენტოს დაჩქარებული შექმნა წარმოადგენს პასუხს იმ ბრალდებებზე, რომლებიც ცსს-სა და გფბ-ს, ისევე, როგორც მთელი ადმინისტრაციის მიმართ, ბოლო ერთი თვეა გაისმის: ადმინისტრაციამ წაუყრუა აშკარა მტკიცებულებებს, რომლებიც ტერაქტების მზადებაზე მიანიშნებდა. თავად გფბ-ს აგენტები, რომლებმაც აღნიშნული მტკიცებულებები შეაგროვეს, ბრალს სდებენ თავიანთ უფროსობას დაუდევრობასა და გულგრილობაში.

11 სექტმებრის შემდეგ, როდესაც თითქმის მთელი მსოფლიო სვამდა კითხვას, რას აკეთებდნენ აშშ-ს სახელგანთქმული სპეცსამსახურები და სუპერაგენტები, თავად ამერიკელებმა ყველა გააოცეს თავიანთი საოცარი ერთიანობითა და ყოველგვარი ურთიერთბრალდების წაყენებაზე უარის თქმით. ბუშმა განაცხადა კიდეც, რომ 11 სექტემბრის ტერაქტების თავიდან აცილება შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ, დროთა განმავლობაში, ესეც პოლიტიკურ საკითხად გადაიქცა და დემოკრატებმა სულ უფრო დაჟინებით მოითხოვეს გამოძიების ჩატარება უშიშროების სამსახურების შესაძლო პასუხისმგებლობის თაობაზე.

ბევრი გამოთქვამს ეჭვს იმის თაობაზე, რამდენად ეფექტურად შეძლებს ახალი სააგენტო თავისი ფუნქციების შესრულებას. ერთ-ერთმა



REUTERS

დემოკრატმა კონგრესმენმა მის შექმნას "ტიტანიკზე" სკამების გადაადგილებაც კი უწოდა, მაგრამ 11 სექტემბრის ფონზე,ვერავინ ბედავს, უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებითი სტრუქტურის შექმნასა და დაფინანსებას წინააღმდეგობა გაუწიოს.

# ავღანური დემოკრატია: უხუცესთა საბჭო

10-16 ივნისს ავღანეთში ლოია ჯირგა, ანუ უხუცესთა კრება უნდა გაიმართოს. კრებაზე მიწვული ავღანეთის სხვადასხვა ტომის 1501 წარმომადგენელი ქვეყნის მეთაურსა და მთავრობას აირჩევს, რომელიც დროებითი ადმინისტრაციის მეთაურს, ჰამიდ კარზაის შეცვლის. ახალი მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობა ახალი კონსტიტუციის შემუშავება იქნება, რომელიც შემდგომ ჯირგას წარედგინება. კონსტიტუციამ ომის შემდეგ დარღვეული პოლიტიკური ბალანსი უნდა აღადგინოს. დღეს ავღანეთში ძალაუფლება უმეტესად ტაჯიკების ხელშია კონცენტრირებული, მაშინ, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა პუშტუნია.

ახალი მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ეკონომიკის აღდგენა იქნება. დღეს ქვეყანაში სამუშაოს მიმცემნი მხოლოდ გასამხედროებული რაზმების მეთაურები და ნარკოკარტელები არიან. ჟურნალ "ეკონომისტის" ცნობით, ავღანელი ფერმერები, რომელთაც თალიბანმა ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანა აუკრძალა, იძულებულნი არიან, ძველ საქმიანობას დაუბრუნდნენ. შემოსავლის კიდევ ერთი წყარო ოჯახიდან ქალიშვილის გაყიდვაა, რაც საშუალოდ 1000 დოლარს იძლევა.

საერთაშორისო ორგანიზაციები და დონორი ქვეყნები პირობას იძლევიან, რომ ავღანეთს 4,5 მილიარდი დოლარით დაეხმარებიან. ეს ძალზე შთამბეჭდავი თანხაა, მაგრამ რამდენად საკმარისი იქნება ის თითქმის მთლიანად დანგრეული ქვეყნის ხელახლა ასაშენებლად, ძნელი სათქმელია.

უხუცესთა საბჭოს შემდეგი კრება 18 თვის შემდეგ უნდა გაიმართოს. ამის შემდეგ კი უკვე არჩევნების დანიშვნაა ნავარაუდევი. ჯერჯერობით, ანტიტერორისტული კოალიციის წევრმა სახელმწიფოებმა ავღანეთში არჩევნების ჩატარება შეუძლებლად მიიჩნიეს. ხოლო როდესაც ქვეყანას არჩევნების ჩატარება არ შეუძლია, იგი ტომის ბელადების საბჭოთი უნდა დაკმაყოფილდეს.



REUTERS

# ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი: როგორც იქნა, იწყება

საინფორმაციო სააგენტო ბლუმბერგის ცნობით, საბოლოო გადაწყვეტლებას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყების შესახებ ნავთობკომპანიები ივნისის ბოლოს მიიღებენ. მხარეებმა უკვე დაასრულეს მილსადენის მშენებლობის შესახებ ხელშეკრულების ტექსტზე მუშაობა. 2,9 მილიარდი დოლარიდან, რომელიც მშენებლობის საერთო ღირებულებას შეადგენს, 70 პროცენტი მსოფლიო ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტით დაფინანსდება. პოლიტიკური რისკის დაზღვევის თანხას, 300 მილიონ დოლარს, აშშ-ს მთავრობა დაფარავს. როგორც უკვე ვწერდით, სულ მალე დაიწყება ნავთობსადენის თურქული ნაწილის მშენებლობა, რომელსაც თურქული სახელმწიფო კომპანია "ბოტაში" განახორციელებს.

რაც შეეხება საქართველოს, მშენებლობის პროცესში ქვეყანაში განხორციელდება 400 მილიონი დოლარის ინვესტიცია, ქართული კომპანიები მიიღებენ დაახლოებით 130 მილიონის შეკვეთებს. პრეზიდენტ შევარდნაძის განცხადებით, შეიქმნება, დაახლოებით, 70 ათასი სამუშაო ადგილი. ერთი ბარელი ნავთობის გატარებისთვის საქართველო 12 ცენტს მიიღებს, რაც წლიურად, დაახლოებით, 52 მილიონ დოლარს შეადგენს. დოლარების ეს წვიმა უკვე 2004 წელს უნდა წამოვიდეს, როდესაც მშენებლობა დასრულდება.

ბაქო-ჯეიჰანის გამტარუნარიანობა 10-ჯერ აღემატება ბაქო-სუფსისას და დღეში 1 მილიონ ბარელს, ანუ 159 ათას ტონას შეადგენს.

# შიმშილობა აფრიკაში

აფრიკის სამხეთ ნაწილში 13 მილიონი ადამიანი შიმშილის ზღვარზე იმყოფება, – აცხადებენ მსოფლიო სასურსათო პროგრამისა და გაერო-ს წარმომადგენლები. ზამბიაში, ზიმბაბვეში, ანგოლასა და მოზამბიკში გვალვამ, წყალდიდობამ და პოლიტიკურმა უთაობამ მოსავლის დიდი ნაწილი გაანადგურა. უთაობა ძირითადად ზიმბაბვეს შეეხება, სადაც პრეზიდენტ მუგაბეს თეთრებისათვის ფერმების ჩამორთმევის პოლიტიკამ, ქვეყანა, რომელიც სამხრეთ აფრიკის ბეღელს წარმოადგენდა, შიმშილის პირამდე მიიყვანა.

საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების ცნობით, 13 მილიონ ადამიანს რამდენიმე თვეში გამოელევა სურსათის მარაგი და საერთაშორისო დახმარების გარეშე შიმშილით სიკვდილის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. რეგიონს 4 მილიონი ტონა სურსათი სჭირდება, აქედან 1,2 მილიონი ტონა – სასწრაფოდ.

როგორც დონორები აცხადებენ, სურსათის შეძენა რომც მოხერხდეს, მისი მოშიმშილე რეგიონებამდე მიტანა სერიოზული პრობლემა იქნება.



REUTERS

# რას ფიქრობენ ებრაელები და პალესტინელები?

ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, პალესტინელები და ებრაელები საუდის არაბეთის მიერ შეთავაზებულ სამშვიდობო გეგმას ეწინააღმდეგებიან. ამ გეგმის თანახმად, ისრაელმა 1967 წლის ომის დროს დაპყრობილი ტერიტორიები უნდა დატოვოს, თუ არაბულ სამყაროსთან მშვიდობიანი ურთიერთობების აღდგენა სურს. ეს გეგმა საუდის არაბეთმა 27-28 მარტს ბეირუთში გამართულ არაბული ქვეყნების ლიგის სამიტზე წარადგინა.

ებრაელების გამოკითხვა სმითის ინსტიტუტმა ჩაატარა. გამოკითხულ ებრაელთა 22% მომხრეა, ხოლო 73% კი წინალმდეგია საუდის არაბეთის სამშვიდობო გეგმისა, თუ ისრაელი დაკავებულ ტერიტორიებს შეინარჩუნებს. იმ შემთხვევაში, თუ მშვიდობის დამყარების პირობად პალესტინელ ლტოლვილთა ისრაელში დაბრუნება იქნება წაყენებული, სამშვიდობო გეგმის მომხრედ მხოლოდ 9%, ხოლო წინააღმდეგი კი 87% გამოდის. გარდა ამისა, გამოკითხულ ებრაელთა 55% პალესტინური სახელმწიფოს შექმნას უჭერს მხარს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს გარდაუვალია. 19% წინააღმდეგია, მაგრამ მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ადრე თუ გვიან მაინც შეიქმნება.

რაც შეეხება პალესტინელებს, საზოგადოებრივი აზრის პალესტინური ცენტრის გამოკითხვის თანახმად, საუდის არაბეთის სამშვიდობო გეგმას პალესტინელათა 62 % უჭერს მხარს, ხოლო 24% კი წინააღმდეგია. პალესტინელები მოითხოვენ, რომ მათი სახელმწიფო (დედაქალაქი აღმოსავლეთ იერუსალიმი) ღაზის სექტორის და დასავლეთ სანაპიროს მთელ ტერიტორიას მოიცავდეს. პალესტინელები მოითხოვენ პალესტინურ ტერიტორიებზე ყველა ებრაული დასახლების მოშლას.

ორივე გამოკითხვის ორგანიზატორი ამერიკის სიონისტური ორგანიზაცია და ერთ-ერთი კერძო საინფომაციო სამსახურია.

კიდევ ერთი გამოკითხვა ჩაატარა "მარივ დეილიმ" დასავლეთ სანაპიროს ისრაელისგან შემოღობვის საკითხზე. გამოკითხულებს ორი არჩევანი შესთავაზეს – ღობის აღმართვა ღაზის სექტორიდან და დასავლეთ სანაპიროდან ებრაელების ევაკუაციის შემთხვევაში ან ევაკუაციის გარეშე. გამოკითხულთა 52% მხარს უჭერს შემოღობვის იმ გეგმას, რომელიც ევაკუაციას ითვალისწინებს, ხოლო 32% კი მეორე გეგმის მომხრეა.

ამ კვირაში არიელ შარონმა უკვე დაამტკიცა შემოღობვის გეგმა, რომელიც ებრაელების დასახლებების მოშლას არ გულისხმობს.

ABC News

## საერთაშორისო ამბები

# აშშ-მ რუსეთი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანად აღიარა

აშშ რუსეთს საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოდ აღიარებს. ამ ფაქტს აშშ-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგები ექნება.

აშშ-ს ეს გადაწყვეტილება ევროკავშირის ანალოგიურ გადაწყვეტილებას მოჰყვა და რუსეთის ტრადიციულ ჩივილს ეხმაურება, რომ, დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით, იგი, კომუნისტური წარსულის გამო, სავაჭრო ურთიერთობებში არათანაბარ მდგომარეობაშია ჩაყენებული. რუსეთის ტელევიზიით გაკეთებულ ინტერვიუში რუსეთის ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრმა გერმან გრეფმა განაცხადა, რომ რუსეთის ყოფილი კომუნისტური სტატუსის გამო, რუსეთის ვაჭრობაზე დაწესებული შეზღუდვების წყალობით, რუსული ფირმები ყოველწლიურად 1,5 მლრდ. დოლარის შემოსავალს კარგავდნენ.

გუშინდლამდე ამერიკული ანტიდემპინგური კანონებით, რომლებიც ადგილობრივი საწარმოების იაფი უცხოური პროდუქციისგან დაცვას ისახავდა მიზნად, რუსეთს საბაზრო ეკონომიკის არმქონე ქვეყნის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული. რუსული კომპანია "სევერსტალის" გენერალურმა დირექტორმა ალექსეი მორდაშევმა აშშ-ს ამ გადაწყვეტილებას "აშშ-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობებში დაძაბულობის მოხსნის რეალური მაგალითი" უწოდა. საბაზრო ეკონომიკის სტატუსი არის ერთ-ერთი ეკონომიკური ჯილდო, რომელსაც რუსეთი აშშ-გან მას შემდეგ ელოდა, რაც 11 სექტემბრის შემდეგ ავღანეთში აშშ-ს ანტიტერორისტულ კამპანიას დაუჭირა მხარი.

თუმცა, ახალ სტატუსს ნეგატიური მხარეებიც აქვს. მაგალითად, საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნად აღიარების შედეგად, რუსეთში სუბსიდირების პოლიტიკის ამერიკული კომპანიების მიერ კონტროლირება მოხდება. შემდგომი ნაბიჯი, რომლესაც რუსეთი აშშ-სგან ელის, არის 1974 წლის ჯექსონ-ვენიკის შესწორების გაუქმება, რომლის არსებობა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მიღებას აყოვნებს.

International Herald Tribune

# ევროკავშირის გაფართოება

ოპტიმისტების მტკიცებით, ევროკავშირი დეკემბერში დაგეგმილ კოპენჰაგენის სამიტზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს. ჩეხეთი, პოლონეთი და კომპანია, შესაძლოა, მსოფლიოს (ალბათ) ყველაზე ელიტარული კლუბის – ევროკავშირის წევრები უკვე 2004 წელს გახდნენ. ყოფილი "რკინის ფარდის" ორივე მხარეს მდებარე ქვეყნები ერთხმად აცხადებენ, რომ აღმოსავლეთელების დაბრუნება დედა ევროპაში ისტორიული სამართლიანობის აღდგენა იქნება, თუმცა რეინტეგრაციის გრძელი გზის ბოლოს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს კვლავაც მნიშვნელოვანი დაბრკოლებების გადალახვა მოუხდებათ.

დასავლეთ ევროპაში ანტი-იმიგრაციული ტალღის აგორება და საერთოდ, მემარჯვენეების პოზიციების განმტკიცება იმას მოწმობს, რომ მდიდარი ევროპელები დიდი ენთუზიაზმით არ შეხვდებიან აღმოსავლეთის შედარებით ღარიბი ქვეყნების მიერთებასა და, განსაკუთრებით, სამუშაოს მაძიებელთა დიდი ტალღის თავიანთ შრომის ბაზარზე თავისუფალ დაშვებას.

მეორე პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჩამორჩენილ რეგიონებსა და ფერმერებს ისეთივე უფლება აქვთ, მიიღონ სუბსიდიები, როგორც დასავლეთ ევროპელებს. თუმცა, ეს სუბსიდიები ამჟამად ევროკავშირის ბიუჯეტის 80%-ს შთანთქავს, და მათი კიდევ უფრო გაზრდა ევროკავშირის ფინანსურ რესურსებს ემუქრება. ამიტომ, ევროკავშირი აღმოსავლეთ ევროპის ფერმერებსა და შედარებით ჩამორჩენილ რაიონებს სუბსიდიების მხოლოდ ნაწილს სთავაზობს.

საყურადღებოა, რომ, რაკი ევროკავშირის კონსტიტუცია ყველა ქვეყანას აძლევს ვეტოს უფლებას, პოლონეთისა და ჩეხეთის გაწევრიანებას ეჭვქვეშ აყენებს ირლანდიელი ამომრჩეველი, რომელმაც ჩააგდო ნიცის ხელშეკრულების რატიფიკაცია. რაკი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები კავშირში სრულუფლებიანი წევრის სტატუსით ერთიანდებიან, ორგანიზაციის მართვაში მათაც უნდა მიიღონ მონაწილეობა. სწორედ ამ საკითხებს განსაზღვრავდა ნიცის ხელშეკრულება. ახლა, სანამ ირლანდიელები არ ინებებენ, ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია მეორედ გაიტანონ რეფერენდუმზე და მხარი დაუჭირონ მას, პოლონელები და ჩეხები უნდა ისხდნენ და ელოდონ.

# კალიფორნია ბიოტერორიზმის წინააღმდეგ

აშშ-ს მთავრობამ კალიფორნიის შტატის ხელმძღვანელობა გააფრთხილა, ბიოლოგიური ტერორისტული აქტების განხორციელების შემთხვევაში, მზად იყოს მოსახლეობის ვაქცინაციისთვის. მთავრობის ბრძანებულების თანახმად, შტატის საავადმყოფოებმა საჭიროების შემთხვევაში ერთდროულად 500 დაზარალებულს უნდა აღმოუჩინონ დახმარება. კალიფორნიის ხელისუფლება მუშაობს კონკრეტულ პროგრამაზე, რომელიც ძალაში ოქტომბრიდან შევა. აშშ-ს მთავრობამ ეს პროგრამა დაამტკიცა და მის გასახორციელებლად 56 მლნ. დოლარი გამოყო.

"რია ნოვოსტი"

# აშშ ერაყის წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების გატარებას მოითხოვს

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ გააკეთა განცხადება, რომ ერაყს მასობრივი განადგურების იარაღით მუქარის საშუალება არ უნდა მიეცეს. მისი აზრით, ერაყისა და მსგავსი ქვეყნებისგან მომდინარე საფრთხე ამერიკელებისა და მისი მოკავშირეებისგან გადამწყვეტი საპასუხო ზომების გატარებას საჭიროებს. ჩეინის გამოსვლა აშშ-ს მოსალოდნელ ტერორისტულ აქტებზე ადეკვატური ზომების გატარებისთვის მზადყოფნის შესახებ, ამერიკული ადმინისტრაციის მაღალჩინოსანი წარმომადგენლების მიერ გაკეთებულ განცხადებათა მთელ რიგს მოყვა. აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა განაცხადა, რომ ნატო-ს ძალები მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში უნდა იყვნენ და მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ინფორმაციის საბოლოო დადასტურებას არ უნდა ელოდებოდნენ. BBC

# ეუთო-ბელარუსის დაპირისპირება გრძელდება

ბელარუსი ეუთო-ს საკონსულტაციო-სადამკვირვებლო ჯგუფის მანდატის გადასინჯვას მოითხოვს, - განაცახადა ბელარუსის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-მდივანმა პაველ ლატუშკომ, ეუთო-ს მიმდინარე თავმჯდომარის, პორტუგალიის მიერ გაკეთებული განცხადების საპასუხოდ, ბელარუსის ხელისუფლების მიერ საკონსულტაციო-სადამკვირვებლო ჯგუფის ხელმძღვანელისთვის, ენდრიუ კარპენტერისთვის ვიზის გაგრძელებაზე უართან დაკავშირებით. ბელარუსი თავისი ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით, 1998 წლიდან ეუთო-ს ჯგუფის მოღვაწეობის შედეგების გადახედვას მოითხოვს. გარდა ამისა, მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ბელარუსში ეუთო-ს მისიის ამოცანები, მიზნები და მანდატი, რადგან მხარეებს ამ საკითხებზე განსხვავებული მიდგომა აქვთ. უფრო მეტიც, ლატუშკოს აზრით, ლოგიკური იქნებოდა ეუთო-ს უნიფიცირებული დოკუმენტის მომზადება, სადაც ყველა ქვეყანაში ეუთო-ს საველე მისიების მოღვაწეობის საერთო მიდგომა იქნებოდა განსაზღვრული. მისი აზრით, დღესდღეობით ამ მიდგომას თითოეული მისიის ხელმძღვანელი განსაზღვრავს და ამით ორგანიზაციის მოღვაწეობის კოორდინირება ვერ ხერხდება. ლატუშკოს განცხადებით, ორგანიზაცია თოთოეული თავისი წევრის ინტერესებს უნდა ითვალისწინებდეს.

"რია ნოვოსტი"

# გამოცდები გაყალბებას გადაურჩა

## სკოლები საარჩევნო უბნებს, სამინისტრო ცესკოს დაემსგავსა



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ირმა კახურაშვილი

თბილისის 58-ე სკოლა დღეს საარჩევნო უბანს ჰგავდა. ბევრი მოსწავლე, მშობელი და მასწავლებელი მე-9 კლასელების ქართულის გამოცდის ჩაშლით იმუქრებოდა. განათლების სამინისტროს გამწესებულ დამკვირვებლებს "მაშველი რაზმები" გაუგზავნეს. ნამდვილი მიზეზი კი ტესტების "ჩრდილოვანი ბიზნესი" გახლდათ. "**"ცხელი ხაზი" დროული ჩანაფიქრი რომ იყო, გამოცდებამდე დავრწმუნდით. ოთხი სკოლიდან ერთდროულად დაგვირეკეს დირექტორებმა და გვაცნობეს, რომ მოსწავლეებს შორის ტესტებისა და შეფასების სქემების ასლები გავრცელდა. წინასწარი მონაცემებით, ინფორმაციამ სტამბიდან გაჟონა. ამ საკითხზე მოკვლევა დღესაც მიმდინარეობს",** - აღშფოთებას ვერ მალავდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კოორდინატორი კახა ჯამბურია. . იმავე ცენტრის თანამშრომლების აზრით, არსებობს სამი ვერსია, როგორ მოხდა ეს: 1) განათლების სისტემის რომელიმე თანამშრომლის "ზრუნვა" ახლობელ მოსწავლეზე; 2) ტესტების "მარცხნივ გაშვება" სტამბიდან და 3) განათლების რეფორმის ავისმჩხრეკელთა "საგულდაგულოდ მომზადებული ე.წ. დივერსია".

თბილისში მე-9 კლასელებისთვის ახალი, შეცვლილი 15 ათასი ტესტის დაბეჭდვა და სკოლებში დაგზავნა ორ დღეში მოხერხდა

პირველ დღეს დაფიქსირდა, რომ ერთ-ერთი სკოლის მასწავლებლის მიერ მოპოვებული ტესტი მშობლებში გავრცელდა. ცოტა იყო საგამოცდო წესების დარღვევის ფაქტები. ნებისმიერი კონკრეტული შემთხვევისას დგება ოქმი, რომელზეც ცენტრის მიერ გაგზავნილი დამკვირვებელი აწერს ხელს. ყველაზე ხშირად უსაქციელობაში საგნობრივი მასწავლებლები არიან შემჩნეულები, რომლებიც, აკრძალვის მიუხედავად, გამოცდებს მაინც ესწრებოდნენ.

# როგორ იცავენ ჩვენში მგზავრთა უსაფრთხოებას

ნანა ქადაგიშვილი

თბილისში მოსიარულე სამარშრუტო ტაქსების სერტიფიცირებამდე შესაბამისი უწყებები აცხადებდნენ, რომ მათი 80 პროცენტი გაუმართავია. თუმცა, 4 800 "მარშრუტკიდან" მხოლოდ 200 დარჩა სერტიფიკატის გარეშე. ტრანსპორტის სერტიფიცირების სამსახური აცხადებს, რომ სამარშრუტო ტაქსების 20 პროცენტს სერტიფიკატი არ ეკუთვნოდა, მაგრამ მძღოლების ოჯახური მდგომარეობა გავითვალისწინეთ და ქალაქში მოძრაობა მხოლოდ განსაკუთრებით გაუმართავ ტრანსპორტს ავუკრძალეთო. "მარშრუტკების" მორიგი სერტიფიცირება სექტემბრისთვის არის დაგეგმილი. ამავე სამსახურის მესვეურები აცხადებენ, რომ მომდევნო სერტიფიცირება სამარშრუტო ტაქსების მდგომარეობას უკეთესად მოაწესრიგებს. თუმცა, მძღოლები ყველანაირ შემოწმებას მხოლოდ მათი გაყვლეფის საშუალებად მიიჩნევენ. "შემოწმების წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ ჩვენზე უკეთ ვინ იცის, რომ ეს ყველაფერი ფორმალობა და ფულის კეთების საშუალებაა," – აცხადებენ ისინი.

შარშანდელი სერტიფიცირება, ოფიციალურად, 46 ლარი ღირდა. თუმცა, როგორც მძღოლები ირწმუნებიან, უმეტესობას 70 ლარი დაუჯდა. "46 ლარი უნდა გადამეხადა, მაგრამ მძღოლებმა მითხრეს, შარი რომ არ მოგიდონ, 30 ლარი დაუმატეო. მეც თავი დავიზღვიე და 70 ლარი გადავიხადე," – გვითხრა ერთ-ერთმა მათგანმა (ბუნებრივია, ვინაობისა და "მარშრუტკის" ნომრის დასახელება არ ინდომა). ტრანსპორტის სერტიფიცირების სამსახური, რა თქმა უნდა, ასეთ ფაქტებს კატეგორიულად უარყოფს, მაგრამ ფაქტია, რომ მოფახფახებული "მარშრუტკები" ქალაქში ჯერ კიდევ ბლომად დადის. თუმცა, შეიძლება, ეს ის 20 პროცენტია, სერტიფიცირების სამსახურმა რომ შეიწყალა. "მართალია, სამარშრუტო ტაქსების 20 პროცენტს სერტიფიკატი არ ეკუთვნოდა, მაგრამ მანქანების შეკეთება მოვთხოვეთ და სერტიფიკატი მხოლოდ მას შემდეგ გავეცით. ერთადერთი, რაც ვერ მოვაგვარეთ, მანქანებში სკამების რაოდენობის დარეგულირებაა. ეს რაოდენობა შესაბამისი ნორმებით არის განსაზღვრული. სერტიფიცირებისას თითქმის ყველა მანქანა წესრიგში იყო, მაგრამ აქედან გავიდნენ თუ არა, მანქანებში სკამები მაშინვე ჩაამატეს," – თავს იმართლებს ტრანსპორტის სერტიფიცირების სამსახური.

ქალაქში მოსიარულე სამარშრუტო ტაქსებს ყოველდღიური ტექდათვალიერებაც უტარდება, მაგრამ როგორც მძღოლები ირწმუნებიან, ფულით ამ საქმესაც იოლად აგვარებენ. "მთავარია, ფული გადავიხადოთ და ჩვენს ჯანმრთელობასა და მანქანის გაუმართაობას ვინ უყურებს. მძღოლების სამედიცინო შემოწმება და ტრანსპორტის ტექდათვალიერება 60-60 თეთრი ღირს. როცა ყოველდღიურ საგზაო ბარათს ვიღებთ, ბარათის საფასურს, 5 ლარს ორსაც ვამატებთ და სამედიცინო თუ ტექდათვალიერების სამსახურის ბეჭედს შეუმოწმებლად გვირტყამენ," – გვითხრეს მძღოლებმა.

სერტიფიცირების სამსახურის ხელმძღვანელის ზაზა ლოლაძის ცნობით, მორიგი სერტიფიცირების ფასი მნიშვნელოვნად შემცირდება. თუმცა, მძღოლები დიდ შეღავათს არ ელოდებიან. ოფიციალური საფასური რაც ნაკლები იქნება, არაოფიციალურად მით მეტს გამოგვართმევენო, ვარაუდობენ ისინი. ასე რომ, თუკი მძღოლებს დავუჯერებთ, უკეთეს შედეგებს არც სასექტემბროდ დაგეგმილი შემოწმებიდან უნდა ველოდოთ.

# ფეხის ქირა ოპერატიულობისთვის

თამარ მაისურაძე

საქართველოში, ხშირად, პასპორტის აღების მსურველი საზღვარგარეთ წამსვლელთან იგივდება, იქ წამსვლელს კი თანხის გადახდის საშუალებაც ექნებაო, - ასეთია საზოგადოების ერთი ნაწილის ლოგიკა. რაკი პოლიციის თანამშრომლებიც ჩვენი საზოგადოების წევრები არიან, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მოხდა ასეთი შემთხვევა: საპასპორტო განყოფილებაში მოქალაქეს, საბუთებთან ერთად, 5 ლარის გადახდაც მოსთხოვეს, როგორც აუხსნეს - ინფორმაციის გადასამოწმებლად და პასპორტის წასაღებად ერთ თვეში დაიბარეს. შეგახსენებთ, რომ პასპორტის ასაღებად, ოფიციალურად, 35ლარია დაწესებული - ეს შსს-ს ქალაქის საპასპორტო სამსახურის უფროსმა, თემურ დარახველიძემაც დაგვიდასტურა, თუმცა, 5 ლართან დაკავშირებით მეტად საინტერესო ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა:

**"კანონით, პასპორტი ორი კვირიდან ერთ თვემდე ვადაში უნდა აიღო. ხანდახან მოდის მოქალაქე, რომელსაც პასპორტის აღება ძალიან ეჩქარება. პიროვნების შესახებ ინფორმაცია საინფორმაციო ცენტრში ორი კვირის განმავლობაში მოწმდება. ის 5 ლარი საპასპორტოს იმ თანამშრომლის "ფეხის ქირაა", რომელიც პირადად მიდის საინფორმაციო ცენტრში, რომ მსურველს პასპორტი ვადაზე ადრე რომ მოუმზადოს,"** - აცხადებს თემურ დარახველიძე.

# „03„ გაიაფდა

თამარ მაისურაძე

ამუშავდა სახელმწიფო სამედიცინო დახმარება "03"-ს ახალი პროგრამა. მისი ხელმძღვანელის, დავით გველესიანის განცხადებით, 1 ივნისიდან "03"-ს გამოძახება 15 ლარის მაგივრად 6 ლარი ღირს. ახალი პროგრამის თანახმად, უფასო სასწრაფო დახმარება გაეწევათ: კატასტროფაში მოყოლილებს, ქუჩაში ცუდად გამხდართ, თუკი ისინი სასწრაფო სამედიცინო დახმარებას საჭიროებენ და შოკში ან კომაში მყოფ ავადმყოფებს, 15 წლამდე ასაკის ბავშვებს, 90 წელს გადაცილებულ მოხუცებს, სამამულო ომის ინვალიდებს, მათთან გათანაბრებულ პირებს და მათ, ვინც მუნიციპალური ღონისძიებების სამედიცინო დახმარებას საჭიროებს. დავით გველესიანის თქმით, ამ შეღავათების დაწესება "03"-ს ბიუჯეტის გაორმაგების შედეგად გახდა შესაძლებელი. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ახალ პროგრამას ქალაქის მერია 800 ათას ლარით დააფინანსებს.

# დალიე რა, კაცო



*ამდენი ყურძნის პატრონი წამალს დავლევ?!*

ეთერ მამულაშვილი

იმისთვის, რომ კახეთში მალარიის გავრცელება შეიზღუდოს, რისკის ზონაში მცხოვრებ ხალხს სახელმწიფო წამლებს უფასოდ ურიგებს და ეხვეწება, დალიეთო, მაგრამ კახელებს, თურმე, აბების მიღება ან ავიწყდებათ, ან ეზარებათ.

აი, რა გვითხრა ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მუდარით დაღლილმა დირექტორმა პაატა იმნაძემ: "მიუხედავად იმისა, რომ მალარია მკურნალობას ადვილად ემორჩილება და, თანაც, ამას სახელმწიფო აფინანსებს, მოსახლეობის დიდი ნაწილი ავადმყოფობას არასერიოზულად ეკიდება. ამ მხრივ განსაკუთრებით კახელები გამოირჩევიან. ორი აბის დალევის შემდეგ ისინი თავს კარგად გრძნობენ და წყვეტენ მკურნალობას, არადა, საბოლოო გამოჯანმრთელებისთვის საჭიროა მკურნალობის რამდენიმეკვირიანი კურსის ჩატარება."

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ცნობით, 2002 წლის აპრილის ჩათვლით, მალარიის 30 შემთხვევაა რეგისტრირებული. პაატა იმნაძის განცხადებით, წლის ბოლომდე ეს ციფრი 700-მდე გაიზრდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი სწორედ მოსახლეობის დაუდევრობა ყოფილა.




## ორი სიტყვით

საქართველოს კონტროლის პალატა თბილისის სანიტარიული სამსახურის მუშაობით უკმაყოფილოა - ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას სრულყოფილად ვერ ახერხებს, ლაბორატორიულ კვლევებს იშვიათად ატარებს, ობიექტების 45,3 პროცენტი მისი ნებართვის გარეშე მუშაობს.

* * *

როგორც ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროში აცხადებენ, ქართველმა სპეციალისტებმა თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის მართვის სისტემა შეიმუშავეს. ქალაქის აღდგენისა და რეაბილიტაციის კონკრეტული პროგრამები და პროექტები მის საფუძველზე შეიქმნება.

* * *

გაეროს ექსპერტების წინასწარი შეფასებით, მიწისძვრამ თბილისის სკოლებს 6, ბაგა-ბაღებს - 2,5, უმაღლეს და სპეციალიზებულ სასწავლებლებს - 1,1, ადმინისტრაციულ შენობებს - 9, საცხოვრებელ სახლებს კი 62 მილიონი დოლარის ზარალი მიაყენა.

* * *

თბილისში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულ 60 ოჯახს უახლოეს დღეებში ბინებით უზრუნველყოფას ჰპირდებიან. შესყიდული იქნება ერთ, ორ და სამოთახიანი ბინები, რომელთა მაქსიმალური ფასი 10 ათას ლარს არ აღემატება. მას, ვისაც დანგრეული შენობის ადგილზე აშენებულ ახალ სახლში დაბრუნება სურს, შესყიდულ ბინებს დროებითი თავშესაფრის სტატუსით გაუფორმებენ.

* * *

დედაქალაქის ნაძალადევის რაიონის მიწისძვრით დაზარალებულმა 350 ოჯახმა გუშინ ს/ს „აზოტის“ დამხმარე მეურნეობაში გამოზრდილი ფრინველის ნახევარი ტონა ხორცი მიიღო. „აზოტის“ ხელმძღვანელთა განცხადებით, თბილისის ყველაზე მეტად დაზიანებულ სახლებს საწარმოს სამშენებლო-სარემონტო სამმართველო საკუთარი მუშახელით აღადგენს.

# პოლიცია დანაშაულებრივი სამყაროს გამოწვევას იღებს

## პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ცემით მოკლეს

სოფიკო ჩხაიძე

*გუშინწინ ღამით სოფელ ჭიქაჭყარში ზუგდიდის რაიონის დაცვის პოლიციის უფროსი მოკლეს.*

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ჯემალ ნარმანია საკუთარ სახლში ტელევიზორს უყურებდა. შინ მასთან ერთად მეუღლე და ავადმყოფი და იმყოფებოდნენ. სახლის კარი ღია იყო. დაახლოებით ღამის პირველ საათზე სახლში, სამხედრო ფორმაში ჩაცმული, ოთხი შეიარაღებული ნიღბოსანი შეიჭრა. მასპინძელს ისინი ორი საათის მანძილზე სცემდნენ, სანამ არ შემოაკვდათ. ყაჩაღებმა 90 ლარი და სამი ოქროს ბეჭედი გაიტაცეს და მიიმალნენ.

როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის უფროსმა ელგუჯა ჯამბურიამ გვითხრა, ბოროტმოქმედებმა სახლში შესვლისთანავე ფული მოითხოვეს. პასუხმა -- "ფული არ მაქვს" — ისინი არ დააკმაყოფილა და ოჯახის უფროსი ცემით მოკლეს. ნაცემია ჯემალ ნარმანიას მეუღლეც. ჯამბურიას თქმით, მკვლელებს რამდენიმე ათეული ლარისა და სამიოდე ბეჭდის გარდა, სხვა ძვირფასი ნივთები არ წაუღიათ. მათ მხოლოდ ფული აინტერესებდათ. დანაშაულის სავარაუდო მოტივებს შორის, ცხადია, ძირითადი ყაჩაღობაა. თუმცა, გამოძიება კიდევ რამდენიმე ვერსიას განიხილავს. მიმდინარეობს დამნაშავეების ძებნა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა 52 წლის ვიცე-პოლიკოვნიკის მკვლელობის საქმის გამოძიება განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანა.



**"დანაშაულებრივი სამყაროსგან პოლიციელთა მიმართ ჩადენილი მსგავსი ცინიკური, თავხედური დანაშაული პირველი არ არის. ეს გამოწვევის ტოლფასია და ჩვენც მივიღეთ გამოწვევა. ჯემალ ნარმანიას უსასტიკესი მკვლელობის გამოძიება და დამნაშავეების დაპატიმრება - ჩვენთვის მუნდირის ღირსების დაცვის საქმეა. ჩვენს ღირსებას დავიცავთ კიდევაც, დამნაშავეები მკაცრად დაისჯებიან,"** - - ამბობს შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი.

როგორც შს სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ გვაცნობა, წელს იანვრიდან დაღუპულია პოლიციის რვა თანამშრომელი. აქედან ორი — სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას. დანარჩენები კი უბედური შემთხვევის, ავტოავარიის ან ძალადობის მსხვერპლი გახდნენ.

# სამართლებრივი სტატისტიკა

ნიკოლოზ რურუა

როგორც ცნობილია, დანაშაული სოციალურ ბოროტებად მიჩნეული ქმედებაა, რომელსაც კანონი დასჯადს ხდის. ასევე, ეს იმ სამართლებრივი ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს, რომლის აღსრულებასაც მოქალაქეს კანონი აკისრებს.

დანაშაულის არსებობა საზოგადოებაში იმდენსავე წელს ითვლის, რამდენსაც თვით საზოგადოებად ორგანიზებული ადამიანთა ერთობლიობა. ნებისმიერი საზოგადოება შეძლებისაგვარად ცდილობს, იძულებითი თუ დარწმუნებითი მეთოდებით, მისი თითოეული წევრი ზოგადად აღიარებული და კანონიზებული ნორმების ფარგლებში მოაქციოს.

დანაშაულთან საბრძოლველად ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორი დანაშაულის რაოდენობის, სახეობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ ზუსტი ინფორმაციის არსებობაა, რომელზე დაყრდნობითაც სახელმწიფოს მათზე შესაბამისი რეაგირებისა და დანაშაულთან საბრძოლველად სტრატეგიული დამეგობრების შემუშავების უნარი ენიჭება. ამ მიზანს ემსახურება სამართლებრივი სტატისტიკა.

სამი კავკასიური ქვეყნის – სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სტატისტიკურმა სამსახურებმა ევროკავშირის პროგრამის "ტექნიკური დახმარება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისთვის" (TACIS) დახმარებით, წელს მოამზადეს არც თუ ისე დეტალური, მაგრამ საკმაოდ ზუსტი სტატისტიკური მონაცემები ამ სამ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ დანაშაულთა, მათ სახეობათა, დამნაშავეთა ასაკობრივი თუ გენდერული მონაცემების და სასჯელთა ტიპების შესახებ.

როდესაც ამ მონაცემებს ვეცნობით, ეჭვის ქვეშ დგება ხელისუფლების მხრიდან საკუთარ ქმედებათა რაციონალიზაციისათვის ხშირად მოშველიებული ტერმინი "სტაბილურობა", იმდენად, რამდენადაც, ხსენებულ სამ ქვეყანას შორის, საქართველო 2000 წლისათვის ლიდერობდა, როგორც მთლიან რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვით, ისევე განსაკუთრებულად საშიშ დანაშაულთა (წინასწარი განზრახვით მკვლელობა, წინასწარი განზრახვით მკვლელობის მცდელობა, ( რაოდენობით.

საქართველოში დაფიქსირებულ ამ დანაშაულთა რიცხვი სამასი პროცენტით აღემატება სომხეთში და ასი პროცენტით აზერბაიჯანში რეგისტრირებულ ანალოგიურ დანაშაულს. საქართველო ასევე პირველობს ყაჩაღობის, ძარცვისა და ქურდობის მონაცემებშიც (ჩვენში ექვსჯერ მეტი ყაჩაღობის შემთხვევაა, ვიდრე სომხეთში და სამჯერ მეტი, ვიდრე აზერბაიჯანში).

ასევე საინტერესო თანაფარდობაა ფიქსირებული დანაშაულის რაოდენობასა და მათ ჩამდენ პიროვნებათა რიცხვს შორის. მართალია, საქართველოში ჩადენილ დანაშაულთა მთლიანი რაოდენობა აღემატება აზერბაიჯანში ჩადენილ დანაშაულთა რიცხვს, მაგრამ საქართველოში დანაშაულის ჩამდენ პირთა ფიქსირებული რაოდენობა ნაკლებია აზერბაიჯანში რეგისტრირებულ დამნაშავეთა რიცხვზე.

აქ მკითხველს შემდეგი ორი დასკვნის გაკეთება შეუძლია: ა) ან საქართველოში რიცხობრივად მცირე რაოდენობის მოქალაქენი ჩადიან რაოდენობრივად მრავალ დანაშაულს (მოქმედებენ ინდივიდუალურად), აზერბაიჯანსა და სომხეთში კი, პირიქით, რიცხვობრივად მეტი დამნაშავე არღვევს კანონს, მაგრამ ამასთანავე ჩადის რაოდენობრივად ნაკლებ დანაშაულს (ანუ, მოქმედებენ ჯგუფურად), ან: ბ) საქართველოში დაფიქსირებული დანაშაულის რაოდენობისთვის პასუხისგებაში მიცემულია დამნაშავეთა მხოლოდ ერთი, მცირე ნაწილი, და შესაბამისად, გასამართლებულთა რიცხვი ადეკვატურად არ ასახავს რეალურ სამართალდამრღვევთა რაოდენობას.

დღევანდელი სამართალდაცვის კორუმპირებული მექანიზმისა და მისთვის დამახასიათებელ სისტემურ მანკიერებათა ცოდნა გვაიძულებს, რომ რაციონალური არჩევანი ზემოთ მოყვანილ მეორე ვერსიაზე შევაჩეროთ – ანუ დავასკვნათ, რომ კანონიერ სასჯელს ჩვენში მხოლოდ ის დამნაშავენი იხდიან, რომელთაც სასჯელისაგან თავდასაღწევად აუცილებელი მატერიალური პოტენციალი არ გააჩნიათ.

აქ დანაშაულის ფენომენისათვის ზოგადად დამახასიათებელ სოციოეკონომიკურ მოტივებს პოლიტიკური კაზუსიც ემატება.

ქრონიკა

## ნაპოვნია გვამი ძალადობის ნიშნებით

თბილისში, თემქის დასახლებაში მდებარე ბაგა-ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე გვამი აღმოაჩინეს. უკვე დადგენილია დაღუპულის ვინაობა: თემქის დასახლებაშივე მცხოვრები მე-2 ჯგუფის ინვალიდის ოთარ კვაჭაძის სხეულზე მრავალი დაზიანება და ძალადობის კვალი შეინიშნება. აქედან გამომდინარე, სამართალდამცველები ეჭვობენ, რომ საქმე მკვლელობასთან აქვთ.

## მკვლელობა ბენზინგასამართ სადგურზე

წყალტუბოში, ბენზინგასამართ სადგურზე დაწყებული ჩხუბი მკვლელობით დასრულდა. დაუდგენელმა პირმა ჩხუბისას ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა წყალტუბოელ გოჩა დანგაძეს, მუცელში დაჭრა ის და მიიმალა. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. დანგაძე საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

## დააკავეს

ხუთშაბათს პოლიციამ რამდენიმე სხვადასხვა დანაშაულში ეჭვმიტანილი დააპატიმრა. თბილისში დაკავებულია ქურდობისათვის ძებნილი გოგიტა შალამბერიძე, ქარელში - - დეზერტირობისთვის ძებნილი თამაზ შოშიაშვილი.

ბოლნისის პოლიციამ დააპატიმრა სოფელ თალავერში მცხოვრები შახინ ოსმანოვი, რომელმაც ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დანით დაჭრა ორი თანასოფლელი -- კარიბ იმანოვი და ტელმან ალესკეროვი. ასევე დაკავებულია მარტვილელი ზაზა დანელია, რომელმაც ქუთაისში მაღაზია გაქურდა. ქუთაისშივე ჩადენილი ყაჩაღობისთვის დააკავეს ზუგდიდელი ნიკოლოზ თოლორაია და გალელი ლაშა ხარჩილავა. ისინი შეიარაღებულები დაესხნენ თავს სტომატოლოგ თემურ ძიძუაშვილს, გაიტაცეს მისი ტყავის ქურთუკი და ავტომანქანა "BMW". პოლიციამ შემთხვევის ადგილზევე დააკავა ახალდაბაში მცხოვრები ნოდარ ფალიევი. მან თანასოფლელი მამუკა პაპიძე დაჭრა.

## ანგარიშსწორება პანკისში

ხათუნა ჯანგირაშვილი

გუშინწინ პანკისის ხეობაში მომხდარი მკვლელობის ჩამდენი ახმეტის რაიონის პროკურორისთვის, სავარაუდოდ, უკვე ცნობილია. გამოძიების მტკიცებით, 32 წლის მამუკა ქავთარაშვილის მკვლელი ჩეჩნეთიდან გადმოსული ყოფილი ბოევიკი, ამაჟამად კი პანკისის ხეობის ერთ-ერთი ბანდიტური დაჯგუფების წევრია.

ჯერჯერობით გამოძიებამ ვერც მისი დაკავება შეძლო და ვერც ზუსტი სახელისა და გვარის დადგენა, თუმცა, უკვე გარკვეულია, რომ დაახლოებით სამი თვის წინ მამუკა ქავთარაშვილსა და მის ახლობლებს უცნობ ჩეჩენთან და მის დაჯგუფებასთან სერიოზული უთანხმოება ჰქონდათ.

"მომხდარი მკვლელობა ადრე დაწყებული კონფლიქტის ფინალი აღმოჩნდა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მოკლულსა და მკვლელს ცოტა ხნის წინ ხელჩართული ჩხუბი ჰქონდათ, დამუქრებიან კიდეც ერთმანეთს," - გვითხრა ახმეტის რაიონის პროკურორმა, თუმცა ორ დაჯგუფებას შორის კონფლიქტის მიზეზი, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაგვიკონკრეტა, მამუკა ქავთარაშვილის მკვლელობის მიზეზად კი ანგარიშსწორება დაასახელა.

პროკურორისვე განცხადებით, ჩხუბში რამდენიმე კაცი მონაწილეობდა. მამუკა ქავთარაშვილს ავტომატიდან მაშინ ესროლეს, როცა ის მანქანაში ჯდებოდა. მასთან ერთად დაიჭრა მისი ჩეჩენი მეგობარი ყაზბეგ ისრაილოვი.

" სოფელ დუისის ცენტრში მომხდარი ჩხუბის, გაწევ-გამოწევისა და მკვლელობის თვითმხილველები დუმილს ამჯობინებენ და ჩვენებებს არ გვაძლევენ. საქმე ჯერჯერობით გაუხსნელად ითვლება," – გვითხრა პროკურორმა ზურაბ ზურაბაშვილმა.

## საქართველოს საზღვრის გადმოლახვას ცდილობდა

ვლადიკავკაზის რაზმის მესაზღვრეებმა რუსეთ-საქართველოს საზღვრის საკონტროლო-გამშვებ პუნქტ "ქვედა ზარამაგში" დააკავეს ჩრდილოეთ ოსეთის შს სამინისტროს თანამშრომელი.

დაკავებულის კუთვნილ ავტომანქანაში მესაზღვრეებმა საბრძოლო ხელყუმბარა და 8 ვაზნა აღმოაჩინეს. შესაბამისი ორგანოები იძიებენ, რა მიზნით მოდიოდა მილიციის თანამშრომელი საქართველოში. მესაზღვრეებმა მომხდარის შესახებ ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკის შს სამინისტროს აცნობეს.

# პრესინგი - კომერცია თუ კორუფცია

ინგა ალავიძე

*უკვე თითქმის ათი წელია, რაც საქართველოში ანტიკორუფციული სპექტაკლი მიმდინარეობს. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ხელისუფლებამ ოფიციალურად პირველად 1995 წელს გამოაცხადა. ხელისუფლების მიერ მანამდე შესრულებული მხედრიონიადა კორუფციადით შეიცვალა და დაიწყო დეკლარირებულ-კამპანიური ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ.*

თუმცა, ვერ გაიხსენებთ ერთ საქმესაც კი, რომელსაც ატეხილი ხმაურის შემდეგ ლოგიკური დასასრული მოჰყოლოდეს. სამართალდამცველთა სამუშაო სეიფები გავსებულია მტვერდადებული კორუფციული საქმეებით. მათი წამოწევა პოლიტიკური სიტუაციის ცვლილებების შესაბამისად თუ ხდება ხოლმე. არადა, თითქმის არ დარჩენილა სფერო, რომლის კორუფციულ საქმიანობაზეც დიდი ანტიკორუფციული ხმაური არ ამტყდარიყოს.

გამონაკლისი არც თავდაცვის სამინისტრო გახლდათ. ამ სისტემაში არსებული კორუფციის თაობაზე ხმამაღალი საუბრები ჯერ კიდევ რუსეთის გენერლის ვარდიკო ნადიბაიძის მინისტრობისას დაიწყო და დავით თევზაძის მინისტრობის პერიოდშიც არ შეწყვეტილა. საკმარისია გავიხსენოთ ჩეხური იარაღის, უცხოური "ჯიპების", ჯარისკაცთა გამქრალი კომბოსტოებისა და კამუფლიაჟის, ჯარის ასალორძინებლად შექმნილი შპს "თანადგომისა" და სხვათა სკანდალური საქმეები. თავის დროზე თითოეულ მათგანზე სამხედრო პროკურატურაში მრავალტომიანი საქმეები შეიქმნა, მაგრამ არც ერთ მათგანს სასამართლომდე არ მიუღწევია, საქმეთა ძიება სხვადასხვა მოტივებით შეწყდა.

საქმე, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგითხრობთ, თავდაცვის სამინისტროს გახმაურებულ საქმეთაგან ერთ-ერთია. მისით ფოთის სამხედრო პროკურატურა მცირე ხნით დაინტერესდა.



1999 წლის 29 დეკემბრს თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის N202 ბრძანებულებით, საზღვაო თავდაცვის ძალების ფოთის პირველი დივიზიონის ტერიტორიაზე შეიქმნა ნავსადგურის ადმინისტრაცია. მინისტრის N202 ბრძანების გამოცემის, ანუ ნავსადგურის ადმინისტრაციის შექმნის მიზეზი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თავდაცვის სამინისტროს არასაკმარისი დაფინანსება გახდა. მიზანი კი, დამატებითი თანხების მოსაზიდად რეზერვების ამოქმედება. სამხედრო ნავსადგურის ტერიტორია გადაიტიხრა, შეიძინეს ამწე და ძალიან მალე იგი ჩამბარებელ პუნქტს დაემსგავსა: ჯართისა და ხე-ტყის გადაზიდვაზე დაიწყო მუშაობა.

2001 წლის აპრილამდე ნავსადგურის ადმინისტრაცია არ მუშაობდა. ჩვენი ინფორმაციით, ამის მიზეზი გახდა რამდენიმე კერძო ფირმას შორის დაწყებული ბრძოლა ტვირთის გატანის უფლების მოსაპოვებლად. 2001 წლის 19 აპრილს ტერიტორია იჯარით გადაეცა შპს "სოტექსს", რომელმაც დღემდე 55 ათას ტონამდე ჯართი და 750 ტონა ხე-ტყე გაიტანა - ძირითადად, თურქეთში, ნაწილობრივ კი - საბერძნეთში.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ერთ ტონა გასატან ჯართზე არაოფიციალური გადასახადი 6-7 დოლარია, იმის მიხედვით, თუ ვის ეკუთვნის ტვირთი. ამბობენ, რომ ამ გადასახადიდან თითო დოლარი რჩებათ უშიშროების სამსახურს, საგადასახადო ლეგიონს, საგადასახადო ინსპექციას, ტრანსპორტის პროკურატურას, ტრანსპორტის პოლიციასა და საბაჟოს. ამ შემთხვევაში ოფიციალური 0,5 დოლარის ზემოთ, არაოფიციალური ერთი დოლარი, თავდაცვის სამინისტროს შავ ბიუჯეტშიც შედის.

სამხედრო ნავსადგურის კომერციული საქმიანობის მოკვლევა ფოთის სამხედრო პროკურატურაში დაიწყო, მაგრამ დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო მალევე შეწყდა. არადა, საქმის შეწყვეტის შესახებ ჩვენ სხვა ინფორმაცია მოგვეპოვება -- პროკურატურის მიერ ანგარებით საქმის შეჩერების თაობაზე. ჩვენს ხელთ არსებული კიდევ ერთი ინფორმაციით, სამხედრო ნავსადგურში სერიოზულ უკანონო ბიზნესს აწარმოებენ, ხე-ტყისა და ჯართის გადაზიდვა კი, უბრალოდ, შირმადაა გამოყენებული და ამ ბიზნესს საქართველოში ყველაზე გავლენიანი გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი მფარველობს. სხვათა შორის, მასალების მოკვლევისას სერიოზული გაფრთხილებაც მივიღეთ - "ამ ბნელი და ძალიან ჩახლართული საქმიანობის სიღრმეებში არავინ ჩაგახედებთ და ჯობს, თავი დაანებოთო".

სამხედრო ნავსადგურში წარმოებული ბიზნესის თაობაზე პასუხგაუცემელი შეკითხვა უამრავია, ნავსადგურის ადმინისტრაცია კი კვლავ აგრძელებს ჯართისა და ხე-ტყის გადაზიდვას. სხვათა შორის, მინისტრის N202 ბრძანების თანახმად, ეს "წვრთნისგან თავისუფალ დროს და მშვიდობიან პერიოდში" უნდა ხდებოდეს. 2000 წლის ოქტომბრის შემდეგ საზღვაო თავდაცვის ძალებმა არაერთ წვრთნაში მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის, ნატოს წვრთნებშიც, მაგრამ სამხედრო ნავსადგურის იჯარით გაცემული ნავმისადგომები ჯართისგან არ გათავისუფლებულა.

# მხიარული არდადეგები გუშინ, დღეს, ხვალ







გუშინ ცირკში არდადეგები მართლა მხიარულად დაიწყო. ზუკა ხუციშვილის პოვნა გაგვიჭირდა, ის კი არხეინად მოკალათებული თურმე ჩვენ გვათვალიერებდა. თიკა ჯამბურია ისეთი ინტერესით უჭვრიტინებდა "მეჯიქ შოუ ბალეტის" მოცეკვავეებს, რომ ალბათ თვითონაც არ იტყოდა უარს "კანკანზე", მარიამ როინიშვილი და კატო ჯაფარიძე კულისებში განუყრელად ერთად დადიოდნენ. მოცეკვავე ბიჭები ავტოგრაფისთვის მარიკა თხელიძეს დაეძებდნენ, ის კი "24 საათის " ფოტოაპარატმა ფოიეში აღმოაჩინა. აი, დუტა კი, მანეჟსა და "ავტოგრაფებს" შორის დარბოდა.

კულისების ჟრიამული მანეჟზე ულამაზეს სანახაობად გადაიქცა.



მარიკა ამურველაშვილის ფოტოები



www.24hours.ge 24 B

# ფრანგებს ჭორები ღუპავს

დერეკ ფოლი
იაპონია კორეიდან
სპეციალურად "24 საათისათვის"

დავუჯეროთ თვალებს? მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი ნაკრები გაგდების საფრთხის წინაშე დგას.

თუმცა, ფაქტი ჯიუტია. ასე რომ, მათ უკანასკნელი შანსი დარჩათ – დანიასთან მოგება. დანიელები მათ არა უბრალოდ უნდა დაამარცხონ, არამედ უნდა გაანადგურონ კიდეც – მეტოქის კარში სამი გოლის გატანა ფრანგებს მერვედფინალის გზას უხსნის.

არადა, გაიხსენეთ, ასეთ კრიზისულ მდგომარეობაშია ის ნაკრები, რომელიც იტალიასთან და არგენტინასთან ერთად, მსოფლიო ჩემპიონობის კანდიდატად იგულისხმებოდა. რა მოხდა? რატომ აქვს ნაკრებს ექვსი ქულიდან მხოლოდ ერთი? ეს საინტერესო და მწვავე დებატების საგანია. სიტუაციას კიდევ უფრო დამძაბულს ხდის ის ფაქტი, რომ ამ დებატების საფუძველი ისევ ფრანგების ბანაკშია.

მაგალითისთვის, სენეგალთან მატჩის შემდგომ კომენტარებს მოუსმინეთ;

**ფაბიენ ბარტეზი** (მეკარე): "შეცდომა ფრანკ ლებეფმა დაუშვა, ჩვენც ამ შეცდომისთვის დავისაჯეთ".

**ფრანკ ლებეფი** (მცველი): "იური ჯორკაეფმა მოედნის შუაგულში ისეთი რამ გააკეთა, რომ არ უნდა გაეკეთებინა. ამ ფაქტის გამო თავი უფრო მეტი ზეწოლის ქვეშ ვიგრძენით და გოლიც გაგვიტანეს".

**დევიდ ტრეზეგე** (თავდამსხმელი): "ძალიან ულიმღამოდ ვითამაშეთ, დაცვა და ნახევარდაცვა აბსოლუტურად გათიშული იყო, ამიტომ ზუსტად თამაში ვერ შევძელით".

**როჟე ლემერი** (მწვრთნელი): "ჩვენს თავდასხმას შანსები რომ გამოეყენებინა, არ წავაგებდით. საგოლე მომენტები შევქმენით, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ".

აი, თურმე, რა ყოფილა ფრანგების მარცხის მიზეზი – ნაკრების წევრებმა, ფაქტობრივად, ერთმანეთი გაჭორეს, ერთ გუნდად შეკვრა ვერ შეძლეს. როგორც გაირკვა, ყველაფერი სხვისი ბრალი ყოფილა! უკაცრავად, აი, კიდევ ერთი დამნაშავე – მსაჯი. კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის კომენტარი მოვისმინოთ, ამჯერად ურუგვაის მატჩის შემდეგ.

ისევ **დევიდ ტრეზეგე**: "მსაჯით უკმაყოფილო ვარ. ურუგვაის წინააღმდეგ თამაშში მექსიკელი არ უნდა შეერჩიათ. ის შეზღუდული უნარის კაცი აღმოჩნდა".

**ტიერი ანრი**: "რა თქმა უნდა, მოედნიდან გაძევება ძალიან განვიცადე. ვფიქრობ, მსაჯმა მცდარი გადაწყვეტილება მიიღო".

დარწმუნებული ვარ, ამ ციტატების საშუალებით, უკვე სრული წარმოდგენა შეგექმნათ, თუ როგორ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფება 2002 წლის ჩემპიონატზე მსოფლიო თასის მფლობელი ნაკრები.

თუმცა, გავიხსენოთ ერთი ძველი პოლონური ანდაზა – ლუდის კათხა ნახევრად დაცლილი კი არა, ნახევრად სავსეა. ანუ, ამ იდეის მიხედვით, ფრანგებს შანსი კიდევ აქვთ.

თუმცა, ისიც მართალია, რომ ეს შანსი ფრანგებს პირველივე თამაშში ჰქონდათ. აქამდე ორი გოლი რომ ჰქონდეთ გატანილი, მათ მომავალზე ამდენს აღარ ვიფიქრებდით. სამი გოლის შემთხვევაში კი დავრწმუნდებოდით, რომ ფრანგები ძველებურ ფორმაში არიან და ჩემპიონატზე მეტოქე გუნდებს შიშის ზარს დასცემენ.

ისე, ნურც ფრანგებს გაამტყუნებთ, თუ ფიქრობენ, რომ ბედისწერა მათ წინააღმდეგ მოქმედებდა – წარმოიდგინეთ, ზინედინ ზიდანის არყოფნა, პირველი ნახევრის დასაწყისშივე დაშავებული ფრანკ ლებეფი და შემდეგ ტიერი ანრი.

ამასობაში კი, უკვე თანდათან იკვეთება აზრი – საფრანგეთის ნაკრები, შესაძლოა, აღმოჩნდეს ის ფავორიტი და საუკეთესო გუნდი ჩვენს თანამედროვე ისტორიაში, რომელიც მსოფლიოს თასისათვის ბრძოლას პირველივე რაუნდში გამოეთიშა. თანამედროვე ისტორია კი იმიტომ, რომ 1966 წელს მსგავსი პრეცედენტი ბრაზილიამ დააფიქსირა.

ასე რომ, ყველაფერს დანიასთან მატჩი გადაწყვეტს. სხვათაშორის, თავისი ღირსეული სიტყვა უნდა თქვას როჟე ლემერმაც. მით უფრო, რომ ბოლო დროს მას ხშირად აკრიტიკებენ. ექსპერტთა მოსაზრებით, ლემერის ტაქტიკის გამოცნობა უადვილესი საქმეა. ის მოსაწყენი მწვრთნელია და თავგადასავლებს, ცვლილებებს არასდროს ეძებს. ერთი სიტყვით, საფრანგეთის ნაკრებს მწვრთნელს საკუთარი ფანტაზიის უნარის გამოჩენა დანიასთან თამაშში მოუხდება. თუმცა, ამჯერად მისი ტაქტიკა ძალზე მარტივად უნდა აიგოს.

პირველი: საფრანგეთმა უნდა მოიგოს;

მეორე: მინიმუმ ორი გოლის გატანა უნდა შეძლონ;

ასე რომ, ლემერმა სიტყვა სიფრთხილე უნდა დაივიწყოს და გუნდის ტაქტიკა ასე უნდა ააგოს: შეტევა, შეტევა და კიდევ ერთხელ შეტევა.




REUTERS

# შეიძლება, შვედეთი „სიკვდილს` გადაურჩეს




## ნიგერია 1–2 შვედეთი




**გოლები:** *0:1 აგაჰოვა (27`), 1:1 ლარსონი (35`), 2:1 ლარსონი (63`)*
**მსაჯი:** *რენე ორტუბე (ბოლივია)*
**სტადიონი:** *კობ ვინგი*
*36194 მაყურებელი*

"სიკვდილის ჯგუფიდან", შესაძლოა, შვედეთის ნაკრებმა გააღწიოს და მერვედფინალში არგენტინის, ან სულაც, ინგლისის ადგილი დაიკავოს. ნიგერიის წინააღმდეგ შვედებმა კვლავ გაიბრწყინეს და დაამტკიცეს, რომ ინგლისის წინააღმდეგ კარგი თამაში შემთხვევითობა არ იყო. ყველაფერი უკანასკნელ ტურში გადაწყდება. №1 ფავორიტად მიჩნეული არგენტინა ფრთხილად უნდა იყოს: შვედებს ძლიერი გუნდი და, რაც მთავარია, ჰენრიკ ლარსონი ჰყავთ.

***ლარს ლაგერბეკი*** *(შვედეთის ნაკრების მწვრთნელი): "ეს იყო ღია თამაში. ორივე კართან უამრავი საგოლე მომენტი შეიქმნა. შედეგით კმაყოფილი ვარ. ამისთვის ბევრი ვიმუშავეთ. ვფიქრობ, გამარჯვება დავიმსახურეთ. ასე რომ, არგენტინასთან მატჩს მოუთმენლად ველით."*

***ადეგბოი ონიგბინდე*** *(ნიგერიის ნაკრების მწვრთნელი): "ასეთია ფეხბურთი. ორივე მატჩში კარგად ვითამაშეთ, მიუხედავად ამისა, 0 ქულა გვაქვს. ფორტუნამ ზურგი შეგვაქცია. ჩვენ ფინალში გასვლას ვგეგმავდით, მაგრამ არ გამოვიდა."*


REUTERS

# ესპანეთი მერვედფინალს ინაღდებს




## პარაგვაი 1:3 ესპანეთი




**გოლები:** *0:1 პიოლი - ავტოგოლი (10`), 1:1 მორიენტესი (53`), 2:1 მორიენტესი (69`), 3:1 იერო პენ. (83`)*
**მსაჯი:** *განდურ გამალი (ეგვიპტე)*
**სტადიონი:** *ჩონჯუ*
*24000 მაყურებელი*

ესპანეთის ნაკრები, რომელიც არც გუშინდელ შეხვედრაში ბრწყინავდა, პირველი გუნდია, რომელმაც მერვედფინალის საგზური გაინაღდა. ისევე, როგორც წინა შეხვედრაში, პარაგვაის წინააღმდეგ მატჩში ესპანელებმა კვლავ 3:1 გაიმარჯვეს. ფერნანდო მორიენტესმა ჯერ წონასწორობა აღადგინა, შემდეგ წინ გაიყვანა თავისი გუნდი. მესამე ბურთი კი კაპიტანმა იერომ შეაგდო თერთმეტმეტრიანი დარტყმით.

**ხოსე ანტონიო კამაჩო** *(ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი): "მატჩის პირველი ტაიმი თანაბარი იყო. პარაგვაის ბედმა გაუღიმა და ანგარიში გახსნა. მეორე ნახევარში ჩვენ უკეთესად ვითამაშეთ. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ამ ძლიერი გუნდის კარში 3 გოლი გავიტანეთ. შესვენებისას ტაქტიკა შევცვალე. მორიენტესის გამოსვლა იღბლიანი გამოდგა. მომდევნო მატჩს იმისთვის გამოვიყენებ, რომ სხვა ფეხბურთელებსაც მივცე თამაშის საშუალება."*

**ჩეზარე მალდინი** *(პარაგვაის ნაკრების მწვრთნელი): "მე ვიცოდი ესპანელთა სიძლიერის შესახებ - მათ ხომ მორიენტესისა და რაულის სახით ჩემპიონთა ლიგის 2 გამარჯვებული ჰყავთ. ესპანეთს შეუძლია, შორს წავიდეს. ჩვენ კი, რა გვეთქმის. თავის მართლებას აზრი არა აქვს. ძალიან იმედგაცრუებულები ვართ."*

**ფერნანდო მორიენტესი** *(ესპანეთის ნაკრების წევრი): "ორივე გოლში ბედმა გამიღიმა - ძალიან კარგი პასები იყო. გამომიშვებს თუ არა კამაჩო შემდეგ მატჩში თავიდანვე, მხოლოდ მისი გადასაწყვეტია."*


REUTERS

# შურისძიება ინგლისურად




## არგენტინა 0–1 ინგლისი




**გოლი:** 1:0 დევიდ ბექჰემი (44` პენ.)
**სტადიონი:** "საპორო დომი"
**მსაჯი:** პიერ-ლუიჯი კოლინა
35927 მაყურებელი

ინგლისისა და არგენტინის გუნდების დაპირისპირება, მნიშვნელობა არა აქვს, რა სტატუსს ატარებს მატჩი, განსაკუთრებულ მოვლენად იქცა მთელი საფეხბურთო სამყაროსთვის. მით უმეტეს, თუკი ეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ხდება. ფეხბურთის სამშობლოს წარმომადგენლებს ძველი ანგარიში ჰქონდათ არგენტინელებთან. ფოლკლენდისა და მალვილის კუნძულებს რომ თავი დავანებოთ, გასული საუკუნის მიწურულის მსოფლიო ჩემპიონატების პლეი-ოფებში არგენტინა ორჯერ იქცა ინგლისელთათვის გადაულახავ ბარიერად. პირველად - 1986 წელს მექსიკაში, როდესაც მარადონამ ორიდან ერთი გოლი ხელით გაიტანა ინგლისის კარში, ხოლო მეორედ – ამ ოთხი წლის წინათ, როდესაც, ბექჰემის გაძევების შემდეგ, ინგლისის ნაკლულმა გუნდმა საქმე პენალტებამდე მიიყვანა და იქ დამარცხდა.

ახლა ინგლისის ნაკრების ჯერი დადგა. მართალია, ეს გამარჯვება პლეი-ოფში არ არის მოპოვებული, მაგრამ შეიძლება სწორედ ეს დაკარგული სამი ქულა აღმოჩნდეს არგენტინელთათვის საბედისწერო მერვედფინალის საგზურისთვის ბრძოლაში.

**მარსელო ბიელსა** *(არგენტინის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი):* "დიდი მცდელობის მიუხედავად, გოლი ვერ გავიტანეთ. მატჩი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ტაიმებისგან შედგებოდა. მეორე ტაიმში საგრძნობი უპირატესობაც გვქონდა, მაგრამ ეს შედეგში ვერ ავსახეთ. ჩვენ მაინც გვაქვს მერვედფინალში გასვლის შანსი. ეს დამარცხება ძალიან მალე უნდა დავივიწყოთ, რადგან წინ გადამწყვეტი მატჩი გველის".

**სვენ-გორან ერიქსონი** *(ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):* "უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. ბოლოს უმძიმესი 15 წუთი გადავიტანეთ. ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ჩვენი ფეხბურთელები თანდათან ფორმაში შედიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალ მატჩებში უკეთესად ვითამაშებთ."


REUTERS

ექსპერტი

### გოჩა ჭამარაული: ვარსკვლავების თამაშმა იმედი გამიცრუა

ის ფეხბურთელები, ვისგანაც მაყურებელი, სასწაულებს თუ არა, მაღალი დონის თამაშს ელოდა, ჯერჯერობით ჩრდილში არიან. პირველ რიგში სწორედ ამის ბრალია "მეორე ეშელონის" გუნდების წარმატება. ფიგუ, ბექჰემი, ოუენი, რივალდო და სხვა ცნობილი ფეხბურთელები ჩემპიონატის საწყის ფაზაში არცთუ ისე კარგად გამოიყურებიან. არ უთამაშია ზიდანს. ამ შემთხვევაში ლემერმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო - ტრავმირებული ფეხბურთელის კარიერა სასწორზე არ შეაგდო. ეს შეიძლება ფრანგებს ძვირად დაუჯდეთ, მაგრამ მწვრთნელის გადაწყვეტილება სწორია. ყველა დამეთანხმება, რომ პორტუგალიის ნაკრებს, ამერიკელებთან შედარებით, მეტი უკეთესი ფეხბურთელი ჰყავს. ევროპელებმა წააგეს. მეტოქემ, როგორც იტყვიან, "გადაურბინა" ფიგუსა და მის მეგობრებს.

პირველი ეტაპის მოულოდნელობად შეიძლება ჩაითვალოს მიროსლავ კლოზე - მან ორ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა. მისი წარმატება სულ ადვილი ასახსნელია: კლოზე ახალგაზრდაა, იდეალურ ფორმაშია და უდიდესი მოტივაცია აქვს. მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთელთა დიდი აუქციონი და ტრამპლინია. კლოზეს აქვს შანსი, ძლიერმა გუნდმა იყიდოს და ელიტის წევრი გახდეს.

მე ველი ზიდანის დაბრუნებას. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ნაკრები უმძიმეს მდგომარეობაშია, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს მერვედფინალში გასვლის სავსებით რეალური შანსი აქვთ – არანაკლები, ვიდრე მათ მეტოქეებს. ბევრი საუბრობს იმის შესახებ, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს ერთი ფეხბურთელის დაკარგვა პრობლემებს არ უნდა უქმნიდეს. რეალური სურათი კი სხვაგვარია. ზიდანი მსოფლიოს უპირველესი ფეხბურთელია. შესაბამისად, იგი უძლიერესია თავის გუნდში და მისი დაკარგვა სერიოზულ პრობლემად ექცა საფრანგეთს. მიკუმ და ჯორკაეფმა, რა თქმა უნდა, ვერ შეცვალეს ზიდანი. დაირღვა ტაქტიკური სქემა. სწორედ ეს არის ფრანგების წარუმატებლობის მიზეზი.

მთლიანობაში კი ჩემპიონატი საინტერესო და, რაც მთავარია, დიდი ინტრიგის შემცველია.

### მიხეილ ყაველაშვილი: საფეხბურთო და არასაფეხბურთო ქვეყნები აღარ არსებობს

მსოფლიო ჩემპიონატი ამართლებს ჩვენს მოლოდინს. უკანასკნელმა მატჩებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ზღვარი თანდათან იშლება. ვინ იფიქრებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი პორტუგალიის ნაკრებს მოუგებდა. რამდენიმე წლის წინათ ამერიკაში ხომ ფეხბურთს თითქმის არავინ თამაშობდა. სენეგალის გუნდმა კი დაადასტურა, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებთან შემთხვევით არ მოუგია. ადრე საფეხბურთო ქვეყნებად ითვლებოდნენ გერმანია, იტალია, ინგლისი, საფრანგეთი, ბრაზილია, არგენტინა... დღეს აშკარად იგრძნობა აფრიკული და აზიური ფეხბურთის შემოტევა. მინდა, შევეხო მსაჯობას, რომელიც ჯერჯერობით, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ მაღალი დონისაა. ტიერი ანრიმ უხეშად ითამაშა, მაგრამ მსაჯს მეტი გამჭრიახობა უნდა გამოეჩინა. მე მხედველობაში მაქვს ზოგადად მატჩის მსვლელობა. მსაჯმა არათუ აღმოფხვრა უხეშობა, პირიქით, სტიმული მისცა ფეხბურთელებს. მეორე ტაიმში ანრიზე უფრო სახიფათოდ და უხეშად ითამაშა დარიო სილვამ, მაგრამ გაფრთხილებაც კი არ მიუღია. ბოლოს ურუგვაელთა მწვრთნელი მიხვდა და სილვა მოედნიდან გაიყვანა. ეს ერთ-ერთი ეპიზოდია. რაკი საფრანგეთს შევეხეთ, ჩემს მოსაზრებას გამოვთქვამ: საფრანგეთის გუნდი მერვედფინალში ითამაშებს. სხვაგვარად არ შეიძლება მოხდეს. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის გარეშე ტურნირი მოსაწყენი გახდება. ჩემი აზრით, ყველა ფავორიტი იტყვის თავის სიტყვას და მომდევნო ეტაპზე ითამაშებს. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ზღვარი იშლება და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. სხვათა შორის, მე პირადად ვიცნობ რამდენიმე სენეგალელ ფეხბურთელს. ტიტი კამარა და მსოფლიო ჩემპიონატის პირველი გოლის ავტორი, დიოპი შვეიცარიაში თამაშობდნენ. მე მათი წარმატება ნამდვილად არ გამკვირვებია. დიოპი "გრასჰოპერსის" ლიდერი იყო და დღითიდღე წინ მიიწევდა. დღეს იგი, ისე როგორც სენეგალის სხვა ფეხბურთელები, საფრანგეთის საკმაოდ მაღალი დონის ჩემპიონატში თამაშობს. ასე რომ, ამ ნაკრების წარმატება უფრო კანონზომიერია, ვიდრე მოულოდნელობა. დღეს მხოლოდ ამა თუ იმ გუნდის წარსული დიდებით ვერ ვიმსჯელებთ. პატარა ქვეყნის ნაკრებები დიდ პრობლემებს უქმნიან ტრადიციულ საფეხბურთო გუნდებს. გრანდებს სერიოზული გამოცდების ჩაბარება მოუწევთ.

# მემფისში გაირკვევა, დააჭრის თუ არა ტაისონი ყურებზე ხახვს ლუისს

ამ ბრძოლას თითქმის მთელი მსოფლიო ელის. კვირას, 9 ივნისს, ჩვენი დროით დილის 4 საათზე, მემფისის რინგზე მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის ვინაობა გაირკვევა. მსოფლიოს ყველაზე სკანდალური მოკრივე, მაიკ ტაისონი, თანამედროვე კრივის ყველაზე ელეგანტურ მოკრივეს, ინგლისელ ლენოქს ლუისს შეხვდება. თავის კარიერაში პირველად, ტაისონი ფავორიტად არ ითვლება. ლუისმა ბოლო წლებში რამდენიმე შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა და ჩემპიონის ტიტულიც მისი საკუთრებაა.

დაბნეულობაა კრივის გულშემატკივართა შორის. უმეტესობა აცხადებს, რომ ტაისონი იოლად გაიმარჯვებს, მასზე ფულს კი ძალიან ცოტა დებს. ინტრიგას აძლიერებს ისიც, რომ ლუისი და ტაისონი ერთმანეთს ვერ იტანენ. ტაისონი, მისივე სიტყვებით, ლუისის შვილების შეჭმას აპირებდა. ინგლისელი შედარებით თავშეკავებულია, მაგრამ მეტოქე არც მას ეხატება გულზე.

მემფისის დარბაზში და ტელეეკრანებთან შეკრებილ მაყურებელს საინტერესო სანახაობა ელის. ლუისი სწრაფი, ტექნიკური მოკრივეა, ტაისონი კი - ძალისმიერი და აგრესიული. შეიძლება გავიხსენოთ ლუისისა და სამოელი მოკრივის, ტუას დუელი. ლუისმა სწორად წარმართა ბრძოლა, რომელიც 12 რაუნდი გაგრძელდა. ეს კი ლუისის ნება-სურვილით მოხდა. ტუა მთელი ბრძოლის განმავლობაში ელოდა თავის შანსს. ეს იცოდა მისმა მოწინააღმდეგემაც, რომელმაც რინგზე ცეკვაში გაატარა მთელი ბრძოლა და არც ერთი დარტყმა არ მიუღია. ანალოგიურ ბრძოლას უნდა ველოდოთ მემფისშიც. ტაისონი და ტუა აღნაგობით და სტილით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

მთელი მსოფლიო პროგნოზის გაკეთებას ცდილობს. თუმცა, უშედეგოდ. იქ, სადაც ტაისონი ჩხუბობს, ნებისმიერ მოულოდნელობას უნდა ელოდო. 2000 წლის 24 ივნისს, ტაისონსა და ლუ სავარეზეს შორის გამართული ორთაბრძოლის შემდეგ მაყურებელი სტვენითა და უკმაყოფილო შეძახილებით ტოვებდა დარბაზს. ტაისონმა რამდენიმე წამში გათიშა მეტოქე. ძნელი სავარაუდოა, რომ იგივე მოხდეს ლუისთანაც. ტაისონის "პირველი შეტევის" შესახებ ლუისმა და მისმა მწვრთნელმა, ემანუელ სტიუარდმა, ჩვენზე უკეთ იციან. ამასთან, ლუისი ბუნებით ძალიან ფრთხილია. 1988 წელს მაიკ ტაისონმა, ასევე პირველ რაუნდში, ნოკაუტით დაამარცხა მაიკლ სფინქსი. ამ გამარჯვებას ტაისონმა აქტიური და სტიქიური შეტევით მიაღწია. ტაისონს ბოლომდეც შეუძლია ბრძოლა, თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ "რკინის მაიკი" არც ისე მონოლითურია, როგორიც ადრე იყო - მეექვსე რაუნდის შემდეგ ილევა.

პირველ ორ რაუნდში აქტიური კრივის ჩვენება ლუისსაც შეუძლია. ის ასე იქცეოდა მაშინ, როდესაც სჭირდებოდა. 2000 წლის 29 აპრილს ინგლისელმა მაიკლ გრანტს მოუგო. მოხდა იშვიათი რამ - პირველი რაუნდის განმავლობაში ლუისმა სამჯერ ჩააგდო მეტოქე ნოკდაუნში, მეორეში კი ნოკაუტით გაიმარჯვა. 1992 წელს ლუისი დონოვან რადოკს შეხვდა. ლუისმა შესანიშნავად იბრძოლა და ისევ გაიმარჯვა. რადოკი უძლიერესი დარტყმით არის ცნობილი და გამარჯვების შანსიც უფრო დიდი ჰქონდა. ლუისმა კი ყველა გააოცა. მან თავიდანვე სწრაფად შეუტია და უკვე მეორე რაუნდში ორჯერ დააგდო მეტოქე.

ლუისი, მოკრივეების აზრით, ალღოიანი სპორტსმენია. იგი საოცრად გრძნობს მეტოქის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მდგომარეობას. ეს კი მას საშუალებას აძლევს, ბრძოლის დროს შეცვალის ტაქტიკა. ამ მხრივ საინტერესოა 2001 წლის ბრძოლა ჰასიმ რაჰმანის წინააღმდეგ. ლუისმა პირველ სამ რაუნდში "იცეკვა", მეოთხეში კი ყველაფერი ერთი დარტყმით დაასრულა.

მემფისი და მთელი მსოფლიო მოლოდინშია: ზოგი - დიდი კრივის, ზოგიც - მორიგი სკანდალის. ტაისონმა ლუისს პრესკონფერენციაზე უკბინა, რინგზე კი შეიძლება შეჭმა დაუპიროს.

# დებიუტანტი გაჩემპიონდა

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ სპორტკომპლექს "ქარიშხალას" დარბაზში დასრულდა საქართველოს მე-8 ჩემპიონატი მინიფეხბურთში, რომელშიც ჩვენი ქვეყნის 8 უძლიერესი გუნდი მონაწილეობდა. ტურნირი სამ წრედ ჩატარდა, რამაც პლეი-ოფის მონაწილე ოთხი გუნდი გამოავლინა. ნახევარფინალურ პლეი-ოფში ტურნირის დებიუტანტმა - კონტროლის პალატის გუნდმა ორჯერ დაამარცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ფინალში გავიდა. მეორე ფინალისტი თბილისის "ბაასისა" და ბათუმის "მარდის" დაპირისპირებაში გამოვლინდა. უფრო გამოცდილმა და ტიტულოვანმა "ბაასმა" სერია ანგარიშით 2:1 მოიგო.

ფინალში გამარჯვებულიც პლეი-ოფის ორ მოგებამდე სერიას უნდა გაერკვია. სასტარტო მატჩში გაიმარჯვა "ბაასმა" 3:2. მეორე თამაშში უკვე კონტროლის პალატა ფლობდა მცირე უპირატესობას და მანაც ერთბურთიანი უპირატესობით – 6:5 გაიმარჯვა.

გადამწყვეტი შეხვედრა გუშინ გაიმართა და ისიც ისეთივე უკომპრომისო იყო, როგორც ფინალური სერიის პირველი ორი მატჩი. ანგარიში "ბაასის" ფეხბურთელებმა გახსნეს, მაგრამ შემდეგ ინიციატივა ხელიდან გაუშვეს და მხოლოდ მდევრის როლს დასჯერდნენ. 2:1, 3:2, 6:3 - ასეთი იყო ანგარიშის ზრდის დინამიკა კონტროლისპალატელთა სასარგებლოდ. თითქოს გამარჯვებულიც გამოვლინდა, მაგრამ მატჩის ბოლო წუთებში მაკონტროლებლებმა თამაშზე კონტროლი მოადუნეს და დაისაჯნენ: შეხვედრის დასრულებამდე 2 წუთით ადრე "ბაასმა" ანგარიში გაათანაბრა. თუმცა, დარჩენილი დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ კონტროლის პალატას გადამწყვეტი გოლი გაეტანა. გუნდთან ერთად გამარჯვების სიხარული გაიზიარა პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმაც, რომელიც თავგამოდებით ქომაგობდა თავისიანებს.



საქართველოს ჩემპიონი

გოგოტა ბუხაიძის ფოტო


"ბაასის" შეტევა

გოგოტა ბუხაიძის ფოტო

ROLAN GARO

# კაზანოვა მეოთხე წრეში გავიდა

საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. ერთეულთა თანრიგი. მეოთხედფინალი. ვაჟები: კორეჩა (ესპანეთი, 18) – პაველი (რუმინეთი, 22) 7:6 (7:5), 7:5, 7:5. ფერერო (ესპანეთი, 11) – აგასი (აშშ,4) 6:3, 5:7, 7:5, 6:3. საფინი (რუსეთი, 2) – გროსჟანი (საფრანგეთი, 10) 6:3, 6:2, 6:2.

წყვილთა თანრიგი. ნახევარფინალი: ნოულსი/ნესტორი (ბაჰამის კუნძულები-კანადა, 2) – ციბულეკი/პაესი (ჩეხეთი-ინდოეთი, 14) 7:6 (7:5), 7:5. კაფელნიკოვი/ჰაარჰუსი (რუსეთი-ჰოლანდია) – ბხუპატი/მირნი (ინდოეთი-ბელარუსი, 3) 6:7 (1:7), 7:5, 6:2.

ქალები: ერთეულთა თანრიგი. ნახევარფინალი: სერენა უილიამსი (აშშ, 3) – კაპრიატი (აშშ, 1) 3:6, 7:6 (7:2), 6:2. ვინუს უილიამსი (აშშ, 3) – ფერნანდესი (არგენტინა) 6:1, 6:3.

წყვილთა თანრიგი: მეოთხედფინალი: ფუჯივარა/სუგიამა (იაპონია, 15) – მანდულა/ვარტუში (უნგრეთი-ავსტრია) 6:0, 2:6, 6:4. რეიმონდი/სტაბზი (აშშ-ავსტრალია, 1) – ასაგოე/მასგრეივი (იაპონია-ავსტრალია) 6:0, 6:2. არენდტი/ლ. ჰუბერი (აშშ-სარ, 9) – გრანდე/შნაიდერი (იტალია-შვეიცარია) 6:4, 7:6 (8:6). რუანო-პასკუალი/სუარესი (ესპანეთი-არგენტინა, 2) – ტესტიუ/ვინჩი (საფრანგეთი-იტალია, 6) 6:4, 6:3.

შერეული წყვილები: მეოთხედფინალი: კ. ბლეკი/უ. ბლეკი (ზიმბაბვე, 5) – ლლიხოვცევა/ბხუპატი (რუსეთი-ინდოეთი, 3) 5:7, 6:3, 6:4. სრებოტნიკი/ბ. ბრაიანი (სლოვენია-აშშ) – კ. ვისი/ჰილი (ჰოლანდია-ავსტრალია) 6:2, 6:3.

იუნიორი ქალები: ერთეულთა თანრიგი. მესამე წრე: დუშევინა (რუსეთი) – ჯეკსონი (აშშ) 6:3, 6:3. მ. კაზანოვა (შვეიცარია, 7) – შარაპოვა (რუსეთი, 12) 6:1, 7:5. კუზნეცოვა (რუსეთი, 2) – სანჩეს ალაეტო (ესპანეთი) 6:4, 6:1.

წყვილთა თანრიგი: მ. კაზანოვა/ე. კლისტერსი (შვეიცარია-ბელგია) – კირილენკო/ვოსკობოევა (რუსეთი) 6:3, 7:5. კუზნეცოვა/სუ ვეი ხსი (რუსეთი-ტაივანი) – კოენი/ტანაკა (აშშ-იაპონია) 6:2, 6:3.

წვიმიანი ოთხშაბათის შემდეგ ამინდმა, როგორც იქნა, მოწყალება მოიღო და საფრანგეთის ღია ჩემპიონატი განახლდა. ჩოგბურთელებმა ოპერატიულად დაიკავეს ფილიპ შატრიეს სახელობის ცენტრალური კორტი და მეოთხედფინალური შეხვედრები, რომელთაგანაც წვიმის გამო ორი გადაიდო, განახლდა.

ალექს კორეჩამ, რომელიც ჯერ კიდევ სამშაბათს დაწინაურდა, რუმინელ პაველს ზედიზედ სამი გეიმი მოუგო – 7:6, 7:5, 7:5. რუმინელს მეტოქისთვის წინააღმდეგობა არც გაუწევია. იძულებითი დასვენების დღეებში პაველი გერმანიაში გაემგზავრა - მას ვაჟი შეეძინა. პარიზში კი თამაშის დღეს, დილით დაბრუნდა. ჩოგბურთელს მხოლოდ სამი საათი ეძინა. კორეჩა გუშინ, გვიან, თავის თანამემამულეს, ალბერტო კოსტას შეხვდებოდა.

შემდეგ უძლიერეს ოთხეულში გავიდა მესამე ესპანელი ხუან კარლოს ფერერო, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ, იუნიორთა შორის, უიმბლდონის ფინალში ჩვენი თანამემამულე ირაკლი ლაბაძე დაამარცხა. ფერერომ ამერიკელ ანდრე აგასის დაძაბული ოთხსეტიანი მატჩი მოუგო. ამ თამაშს "თაობათა ბრძოლა" უწოდეს. 32 წლის აგასი ფერეროზე ათი წლით უფროსია.

"აქაური პირობები ახალგაზრდებს უფრო აძლევს ხელს, რომლებიც ჩვენზე, "ხანდაზმულებზე" სწრაფები არიან, – თქვა ანდრე აგასიმ, – მე, რა თქმა უნდა, წაგებას ძალიან განვიცდი, მაგრამ ახლა უიმბლდონისთვის მომზადების საშუალება მაქვს".

აგასისგან განსხვავებით, რუსი მარატ საფინი საფრანგეთის ჩემპიონობისთვის ბრძოლას განაგრძობს. საფინმა იოლად, სამ სეტში დაამარცხა ფრანგების უკანასკნელი იმედი სებასტიან გროსჟანი. მატჩი სულ რაღაც 1 საათსა და 43 წუთს გაგრძელდა. რუსს 36 უნებლიე შეცდომა მოუვიდა, ფრანგს - 65.

აღსანიშნავია, რომ საფინმა განიმტკიცა ლიდერის პოზიციები. გროსჟანის დამარცხების შემდეგ მის აქტივში 390 ქულაა, როცა ფერეროს ან ალბერტო კოსტას rolan garo-ს მოგების შემთხვევაშიც კი მხოლოდ 340 ქულა მოუგროვდება. ასე რომ, საფინი საფრანგეთის ღია ჩემპიონატის დამთავრების შემდეგაც დარჩება პროფესიონალ ჩოგბურთელთა მსოფლიო კლასიფიკაციის პირველ ნომრად.

დაიჯესტი

### რიგობერგ სონგი: „აღვდგები!„

კამერუნის ნაკრებს უაღრესად მნიშვნელოვანი მატჩი აქვს ჩასატარებელი გერმანელებთან. ამ თამაშზე ბევრად არის დამოკიდებული მერვედფინალის საგზურის ბედი. აფრიკელებს შეიძლება გუნდის კაპიტანი რიგობერგ სონგი გამოაკლდეთ. სონგმა საუდის არაბეთის ნაკრებთან შეხვედრაში ფეხი იტკინა.

"აღდგენისთვის ოთხი-ხუთი დღე დამჭირდება, მაგრამ, რადაც უნდა დამიჯდეს, გერმანიის წინააღმდეგ უნდა ვითამაშო. ეს მატჩი ჩვენთვის გადამწყვეტია და მინდორზე კაპიტნის ყოფნა ისე საჭიროა, როგორც არასდროს", – ამბობს სონგი.

### მორტენ ოლსენი: „კარგია, რომ არ წავაგეთ„

დანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა განაცხადა, რომ ბედნიერია იმ ანგარიშით, რომელსაც მისმა გუნდმა სენეგალთან მატჩში მიაღწია. "ბედნიერებაა, რომ არ წავაგეთ. აუტანელი სიცხის გამო მეორე ტაიმში ჩვენი ფეხბურთი ვერ ვითამაშეთ. სენეგალის ნაკრები კი აშკარად უკეთ გამოიყურებოდა", – თქვა მორტენ ოლსენმა.

### აშშ სტიუარტის გარეშე

ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა სამხრეთ კორეის გუნდის წინააღმდეგ შეიძლება თავისი წამყვანი ნახევარმცველის ერნი სტიუარტის გარეშე ითამაშოს. სტიუარტმა პორტუგალიის ნაკრებთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო. "ჯერჯერობით ადრეა იმის თქმა, ჩავდგები თუ არა მწყობრში მომდევნო თამაშისთვის", – ამბობს ერნი სტიუარტი.

### ილხანმა ტრავმა მიიღო

გუშინ, დილის ვარჯიშზე, ტრავმა მიიღო თურქეთის ნაკრების თავდამსხმელმა ილხანმა. თუმცა, ექიმების ვარაუდით, სერიოზული არაფერია და ტრავმამ ფორვარდს ხელი არ უნდა შეუშალოს კოსტა-რიკის წინააღმდეგ თამაშში, რომელიც კვირას გაიმართება. გასარკვევი მხოლოდ ის არის, ითამაშებს თუ არა ილხანი ძირითად შემადგენლობაში.

### როჟე ლემერი: „ყველაფერი შესაძლებელია„

საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე მორიგი უგოლო შეხვედრა ჩაატარა. ამჯერად ურუგვაელებს დაუზავდნენ - 0:0. თამაშის დამთავრების შემდეგ სამფეროვნების დამრიგებელმა განაცხადა: "ძალიან სამწუხაროა, რომ გოლი ვერ გავიტანეთ. ახლა ჩვენი ბედი მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული, თუმცა, ყველაფერი შესაძლებელია. დღეს მთელმა მსოფლიომ ნახა, რომ საფრანგეთის ნაკრებმა ათი კაცის შემადგენლობით ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. ჩვენ კიდევ გვაქვს მერვედფინალში გასვლის შანსი", – განაცხადა როჟე ლემერმა.

### იაპონელებმა ამხანაგური მატჩი მოიგეს

იაპონიის ნაკრებმა რუსებთან მატჩის წინ ამხანაგური შეხვედრა გამართა. მისი მეტოქე სიძუოკის უნივერსიტეტის გუნდი იყო. ტრუსიეს შეგირდებმა 2:0 მოიგეს. გოლები აკინორი ნიშიზავამ და ვეტერანმა მასაში ნაკაიამამ გაიტანეს. "დროა, ქულები დავაგროვოთ. ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ", – ამბობს ბრაზილიური წარმოშობის იაპონიის ნაკრების ფეხბურთელი ალექსი, რომელიც ბელგიის ნაკრებთან, მეორე ტაიმში გამოვიდა. "კმაყოფილი ვარ ბელგიის ნაკრებთან თამაშით, მაგრამ იმედი მაქვს, რომ რუსებთან უკეთესად ვითამაშებ", – დაამატა ალექსმა.

შეგახსენებთ, რომ იაპონიის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატებზე თამაში არ მოუგია.

# „სპორტის სასახლეში




ნიკოლოზ დერიუგინი






ინტერვიუ ექსტრემალურ პირობებში

# საათი უკუღმა ბრუნავდა„

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ვარსკვლავი 80-იან წლებში ბრწყინავდა. კალათბურთის მოყვარულებს არასოდეს დაავიწყდებათ გიგანტი ტკაჩენკოსა და ნიკოლოზ დერიუგინის ორთაბრძოლები. მიუხედავად იმისა, რომ ტკაჩენკო დერიუგინზე გაცილებით მაღალია, მას ძალიან უჭირდა. ”ეს სიმართლეა. ძალიან ეშმაკი და საზრიანი კალათბურთელი იყო. მასთან გამკლავება, განსაკუთრებით თბილისში ურთულესი საქმე გახლდათ და საერთოდ, “დინამო” თბილისის სპორტის სასახლეში თითქმის ყველა თამაშს იგებდა`,- დიპლომატიური ნიჭი გამოიჩინა ტკაჩენკომ.ტარაკანოვმა კი პირდაპირ ისაუბრა იმაზე, თუ რატომ აგებდა მოსკოვის არმიელთა გუნდი თბილისში; “ეს განსაკუთრებული თემაა. პირველ რიგში ჩვენ ძლიერ კალათბურთელებთან ვმარცხდებოდით. ლევან მოსეშვილი კი ევროპის საუკეთესო მწვრთნელთა რიცხვს განეკუთვნება. დიდ როლს თამაშობდა მაყურებელიც-10 ათასი ადამიანი თბილისელებს ქომაგობდა. თუმცა იყო სხვა,არასათამაშო მომენტებიც. რა დასამალია და, დინამოელებს მსაჯებიც ეხმარებოდნენ. განსაკუთრებით კარგად მახსოვს ერთი ეპიზოდი.მე სათადარიგოთა სკამზე ვიმყოფებოდი.მატჩის დასრულებამდე 20 წამით ადრე ჩვენ ერთი ქულით ვიგებდით.უნებლიედ წამზომს ავხედე და თვალებს არ დავუჯერე. წამზომი უკან ტრიალებდა. “დინამომ” ჩააგდო და დროც დასრულდა,” გაიხსენა ტკაჩენკომ. ანდრეი ტიუბინი ჩვენთვის განსაკუთრებული სტუმარია. სანკტ-პეტერბურგში დაბადებული კალათბურთელი თბილისის “დინამოში” თამაშობდა. დღეს იგი მოსკოვში ცხოვრობს და რუსეთის პრეზიდენტის აპარატში მუშაობს. ”საქართველოში და თბილისში გატარებულ პერიოდს სიამოვნებით ვიხსენებ.მახსოვს გადაჭედილი ტრიბუნები და ხალხის ემოციური გულშემატკივრობა. სამწუხაროდ, დღევანდელი ქართული კალათბურთის შესახებ ბევრი არაფერი ვიცი. თუმცა, დღევანდელი დღით თუ ვიმსჯელებთ, ფედერაცია ნამდვილად მუშაობს. მაშინდელ დინამოში ბევრი რუსი კალათბურთელი თამაშობდა. მიუხედავად ამისა ჩვენ ქართულ, ემოციურ და აქტიურ კალათბურთს ვთამაშობდით.ბევრი თამაში ერთი ქულის სხვაობით,ქართული ხასიათის წყალობით მოვიგეთ. მოკლედ, არაფერს არ ვნანობ.მაღალი დონის კალათბურთიც ვითამაშე და ბევრი მეგობარიც შევიძინე,მათ შორის, დღევანდელი იუბილარიც,-თქვა მან.

ჟურნალისტებმა უამრავი შეკითხვა დაუსვეს სტუმრებს.საუბარი შეეხო რამდენიმე წლის წინათ აკრძალულ თემას-უშიშროების ჩარევას საბჭოთა კავშირის ნაკრების საქმეებში. სტუმრებმა ერთხმად აღიარეს ეს ფაქტი. ტარაკანოვმა გაიხსენა, რომ უცხოეთში ყოველი მგზავრობის წინ ნაკრების წევრებს სერიოზულ ინსტრუქტაჟს უტარებდნენ; ”უშიშროების წარმომადგენელი დეტალურად გვიხსნიდა, რისი უფლება გვქონდა და რისი არა. ჩვენ ხელს ვაწერდით. შემდეგ ეს უშიშროების ოფიცერი ჩვენთან ერთად მოფრინავდა და თავად ყველა აკრძალვის იგნირირებას ახდენდა.”


ანდრეი ტიუბინი

განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში დერიუგინის მუდმივი მეტოქე,გოლიათი ტკაჩენკო აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, სხვა ვეტერანებისაგან განსხვავებით, ამ კალთბურთელს ყველაზე უფრო რთული ცხოვრება აქვს. სახელოვანი კალათბურთელი, მსოფლიოს ჩემპიონი, უამრავი ტიტულისა და ჯილდოს მფლობელი ტკაჩენკო, დღეს მოსკოვში ცხოვრობს და ერთ-ერთი კომერციული ბანკის უბრალო ინკასატორად მუშაობს. ამ თემაზე ტკაჩენკოს ბევრი არ უსაუბრია. საწყენია, რომ იგი ხვალ მოედანზე ვერ გამოვა.როგორც გაირკვა, 13 წელიწადია ბურთისაკენ არც კი გაუხედავს.

დღეს, საღამოს 18 საათზე, თბილისის სპორტის სასახლე საკალათბურთო ზეიმს მასპინძლობს. ადრე, აქ ტაბლოს საათი დინამოელთა სასარგებლოდ, თანაც უკან ბრუნავდა. დღეს კი ყველაფერი სხვაგვარად იქნება.





სერგეი ტარაკანოვი და ვლადიმირ ტკაჩენკო


ვლადიმირ ტკაჩენკო

ბასა ჯანიკაშვილის სვეტი

# კარტოფილი

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ კარტოფილი. უსუსური, ჭუჭყიანი, ზარმაცი არსება, რომელსაც ყველაფერი კიდია და მიწაზეა გართხმული მრავალტანჯული მრავალძარღვას ფოთლებივით. თუ ამ ყველაფერს მიუმატებთ, რომ ხართ მრავალშვილიანი ოჯახიდან და თქვენი უახლესი სანათესაო თქვენთან ერთად იზიარებს ცხოვრების მზაკვრულ ჩანაფიქრს და იმასაც წარმოიდგენთ, რომ სამომავლოდ ან მიწაში დალპებით ან შეიჭმებით, სრულად გაამართლებთ თქვენს პოზიციას იმის შესახებ, რომ ყველაფერი გკიდიათ და ბრძოლას აზრი არა აქვს. გაქვთ მხოლოდ ერთი გამოსავალი: არ უნდა წარმოიდგინოთ, რომ თქვენ ხართ კარტოფილი.

თუმცა კი დაბადებისას, უფრო სწორად შობისას, გექნობოდათ ილუზია, რომ თქვენი კარტოფილური ცხოვრება შესაძლოა სხვაგვარად წარმართულიყო: ნუ, რა უნდა იფიქრო ახალგაზრდა ჯან-ღონით სავსე კარტოფილმა საკუთარ მომავალზე? რა უნდა ილონო ისეთი, რომ თავი დააღწიო მომაბეზრებელ ერთფეროვნებას, რომელსაც ბედისწერა ქვია? შეიძლება იფიქრო, იფიქრო და მოიფიქრო, რომ მოგკრიფონ მაშინ, როდესაც დამწიფდები, გაგრეცხონ, გაგალამაზონ, ფერად, ერთჯერად ცელულოიდში გაგახვიონ და გვერდით დიდმკერდა, განიერთეძოება კარტოფილი ქალი მოგისკუპონ, რომელსაც უკეთეს შემთხვევაში ლურჯი თვალები ექნება და, რა თქმა უნდა, შეუყვარდები. შეუყვარდები კარტოფილს, ვისზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდი. რა კარგია, როდესაც უყვარხარ შენი ოცნების კარტოფილს... ბედნიერებაა..!

შემდეგ შექმნი მრავალშვილიან ოჯახს და იმედი მაინც გექნება, რომ შენი შვილები არ იფიქრებენ ზუსტად ისე, როგორც შენ ფიქრობდი... სანამ ოცნებას დაიწყებდი. ..

...იმედი დაგრჩება მხოლოდ და სუსხიან ზამთარში წვრილ-შვილთან ერთად გაყინულ მიწაზე წამოგორებული დაწყევლი იმ დროს, როდესაც ოცნება აიხდინე და შედეგად შექმენი ოჯახი, რომლის თითოეულ წევრს ყველა გზა მოუჭერი, ოცნებისკენაც კი. იმიტომ, რომ ყველაზე კარგი, რაც შეიძლება მოხდეს –შეგჭამენ ან დალპები.

კარგით, დავიწყოთ თავიდან. უკვე წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ ახალგაზრდა, ჯან ღონით სავსე კარტოფილი. თქვენ არ მოგწონთ მომავალი, რომელიც "შემოქმედმა" მოგისაჯათ, მაგრამ მაინც ვერ გაექცევით საკუთარ თავს და გინდათ, რომ გაგრეცხონ, გაგალამაზონ, მოგისვან გვერდით ოცნების კარტოფილი ქალი და აი, აქ შესაძლოა დაფიქრდეთ – შექმნათ თუ არა ოჯახი, გააშენოთ თუ არა წვრილ-შვილი. კარგით, გადადეთ მომავლისთვის ოჯახის შექმნა და რას ვაკეთებთ? ვაბარებთ კარტოფილების უმაღლეს სასწავლებელში და გამოვდივართ პროფესორი კარტოფილი. კარტოფილი, ვისაც ყველა იცნობს, პატივს ცემს, უჯერებს და მომავალი კარტოფილების თაობას ზრდის. ამასობაში თქვენი ოცნების კარტოფილი ბერდება და მოდი და არ იოცნებო ახალგაზრდა სტუდენტ კარტოფილზე, რომელიც ლექციებზე გაფრცქვნილი დადის და თითქმის ყველაფერი უჩანს. როგორი ამაღელვებელია და მადის მომგვრელი გაფრცქვნილი კარტოფილი, არა?! როგორ გინდა ლექციების შემდეგ დაიტოვო და ბოლომდე შემოათალო მთელი კანი.

და საოცრება, ახალგაზრდა კარტოფილი თანხმდება დამატებით მეცადინეობაზე და ფრცქვნი შენს უკანასკნელ იმედს, იმედს, რომელიც გაგიჩენს უამრავ შვილს და შეიძულებ შენს მართლა კარტოფილ თავს. ნუთუ ამხელა პროფესორმა კარტოფილმა ის ვერ გაითვალისწინე, რომ საკუთარი მომავლისთვის არ მიგესაჯა ყოფილიყო კარტოფილი. თუნდ პროფესორი კარტოფილის შვილი, მაგრამ მაინც კარტოფილი!



ლევან ხერხეულიძის ფოტო

მაგრამ უკვე გვიანია. შენი ფესვები ახალ-ახალი კარტოფილებით ფერადდება და ბებერი პროფესორი კარტოფილი თავს ინუგეშებ იმით, რომ იქნებ ერთი კარტოფილი მაინც გამოგადგეს და არ გაიმეოროს შენი შეცდომა: არ შეირთოს კარტოფილი ცოლი, არამედ გააშენოს ოჯახი, მაგალითად მწვანე ლობიოსთან, ან თუნდაც ყურძენთან, ან ბანანთან ან ვაშლთან, იმიტომ, რომ მწვანე ლობიო თავმომწონეა, იმიტომ, რომ ყურძენი ამაყია, იმიტომ, რომ ბანანი ყვითელია და ვაშლი მორცხვი, იმიტომ, რომ არც ერთი სხვა პროდუქტი არ არის ისეთი ბედკრული, როგორც კარტოფილი.

კვდები პროფესორი კარტოფილი და გადიხარ თეთრ გვირაბს, რომლის ბოლოს გელოდება კარტოფილების საუფლოს გამგებელი და ცოდვებს მოგკითხავს, კარტოფილურ ცოდვებს. და ებოდიშები, ეხვეწები და ემუდარები, რომ სასუფეველში მანც იყო ბედნიერი და თავს იმცირებ ამდენი თხოვნით და მაინც უარზეა ეს დამპალი! უარზეა და გაგზავნის კარტოფილების ჯოჯოხეთში! და იხარშები ცხელ ზეთში სხვა კარტოფილებთან ერთად და გცნობენ სახეზე და უხარიათ, რომ მათ გვერდით იწვება პროფესორი კარტოფილი, რომელმაც ამდენი იშრომა, ღვაწლი გაიღო და ზვარაკად შეეწირა თავის სამშობლოს. ერთი კი უკვირთ, რატომ არ დაგაფასეს და მაინც გწვავენ.

მართალია დიდი ხნის მკვდარი ხარ, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოეგები გონს იქ, სადაც არასდროს გინდა, რომ მოხვდე – თეფშზე! და ხედავ, როგორ გასხამენ თავზე შენს ნაცნობ პომიდორს, ვისთან ერთად გაატარე მთელი ბავშვობა საერთო ბაღჩაში. და გესობა ჩანგალი და ბოლოს, რასაც ფიქრობ მკვდარი კარტოფილი, ეს არის უკანონო შვილ კარტოფილებზე, რომელიც ოხრად გყავს და მაინც ოცნებობ, იქნებ ვინმეს მაინც გაუმართლოს.

ასე რომ, ილუზია, რომელიც შესაძლოა გაგიჩნდათ დაბადებისას, თქვენი კარტოფილური ცხოვრების სხვაგვარად წარმართვის შესახებ, ილუზიად რჩება და უმჯობესია იყოთ უსუსური, ზარმაცი, ჭუჭყიანი არსება, იყოთ ის, რაც ხართ და დაიკიდოთ ყველაფერი საკუთარი თავის ჩათვლით... გაქვთ მხოლოდ ერთი გამოსავალი: არ უნდა წარმოიდგინოთ, რომ თქვენ ხართ კარტოფილი.



ილია ჭრელაშვილის ნახატი

# ქართული სუფრა ბერძნულ გარემოში

## კინომსახიობთა თეატრში დღეს მიხაილ მარმარინოსის სპექტაკლის პრემიერაა

თამარ სუხიშვილი

"ეროვნული ჰიმნი" - ეს იმ სპექტაკლის სახელია, რომელიც გუშინ კინომსახიობთა თეატრში ბერძენმა რეჟისორმა მიხაილ მარმარინოსმა და თეატრალურმა კომპანია "დიპლუს ეროსმა" წარმოადგინა. იდეის ავტორი და რეჟისორი მიხაილ მარმარინოსია, მუსიკალური გაფორმება დიმიტრის კამაროტოსს ეკუთვნის, ქორეოგრაფია - მარიელა ნესტერას. სპექტაკლში ცხრა მსახიობია დაკავებული.

მიხაილ მარმარინოსის შემოქმედებას ქართველი მაყურებელი უკვე კარგად იცნობს. რამდენიმე წლის წინ თბილისში მისმა გასტროლებმა ხომ ქართული თეატრალური საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. თუმცა ეს კიდევ რბილად არის ნათქვამი.

მარმარინოსი დღეს საბერძნეთში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რეჟისორია. რამდენადაც ავანგარდულია მისი შემოქმედება, იმდენად უცნაურობით გამოირჩევა იგი ცხოვრებაშიც. ამავე დროს, ის ძალიან მკაცრი და მომთხოვნია მუშაობის დროს. სპექტაკლის წინ მისი დაჭერა შეუძლებელია. სპექტაკლის მსვლელობის დროსაც საგანგებოდ ზრუნავს, რომ დარბაზში სრული სიჩუმე და წესრიგი სუფევდეს. მარმარინოსის სახელი ევროპის თეატრალურ სამყაროშიც კარგადაა ცნობილი.

ბერძენი რეჟისორი სხვას არასოდეს ანდობს საკუთარი სპექტაკლის კონცეფციის ჩამოყალიბებას, ის ყოველთვის თვითონაა სპექტაკლის იდეის ავტორი. ამჯერად, როგორც გაირკვა, მარმარინოსის სპექტაკლის იდეის წყაროს ქართული სინამდვილე და ტრადიციები წარმოადგენს (თუმცა იდეის განხორციელება ბერძნულ გარემოში ხდება, ანუ "ეროვნული ჰიმნი" საბერძნეთის ჰიმნია). ამ ტრადიციებს უცხოელის კვალობაზე ის უკვე კარგად იცნობს, მარმარინოსს ხომ ქართველი მეუღლე ჰყავს. იგი სულ რაღაც ერთი წელია, რაც დაქორწინდა.

ერთხელ, საქართველოში სტუმრობის დროს, მარმარინოსმა გურამ წიბახაშვილის ფოტოები დაათვალიერა და მზერა ხუთ ფოტოზე შეაჩერა, რომლებზეც ადამიანების ჯგუფია გადაღებული მთაში - ისინი ტაძრისკენ მიდიან. სურათებით მიღებულ შთაბეჭდილებებს ქართული სუფრის შთაბეჭდილებებიც დაემატა და მარმარინოსის ახალი სპექტაკლიც დაიბადა. სპექტაკლის ფორმა ქართული სუფრაა. ავანგარდისტი რეჟისორი ამ სპექტაკლით ცდილობს, თავისი სათქმელი უთხრას ევროპელებს, რომელთაც სრულიად დაუკარგავს ბევრი კარგი ტრადიცია, მაგალითად, სუფრაზე მტერთან შერიგების წესი.

დანარჩენს კი თავად რეჟისორი იტყვის: "ყველაფერი ხდება უზარმაზარი მაგიდის გარშემო ტრაპეზის დროს. მაყურებელი მსახიობებთან ერთად მიირთმევს საჭმელს... მსახიობები ყვებიან თავიანთ ამბებს, მღერიან, უკრავენ, თამაშობენ... ეს არის ქორო. მაგრამ, ამავე დროს, ქორო ყოველი წევრი პიროვნებაა... მსახიობები თქვენი მეგზურნი იქნებიან ამ მოგზაურობის დროს და თქვენთან ერთად დაანგრევენ თეატრალურ მოცემულობას..."

თეატრალური მოცემულობა კინომსახიობთა თეატრში დღესაც დაინგრევა. ბერძნული დასი თავის სპექტაკლს საღამოს 6 საათზე წარმოგვიდგენს.

"ეროვნული ჰიმნით" უკვე დაინტერესდნენ იტალიის, საფრანგეთის, შვეიცარიისა და გერმანიის თეატრალური საზოგადოებები. ამ ქვეყნებმა რეჟისორს სპექტაკლი შეუკვეთეს. როგორც მარმარინოსი ამბობს, პირველი ნაწილი უცვლელი დარჩება, მეორე ნაწილი კი უნდა მიესადაგოს კონკრეტულ ქვეყანასა და ამ ქვეყნის ჰიმნს. როგორც რეჟისორმა ქეთი დოლიძემ გაგვიმხილა, ქართველებს დიდი სურვილი აქვთ, რომ მიხაილ მარმარინოსის სპექტაკლი ქართული სპეციფიკით ჩვენთანაც იხილონ.



სცენა სპექტაკლიდან

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

# თბილისი ჯაზის ტრადიციებს უბრუნდება

## გუშინ კომპანია „ისთერნ პრომოუშენმა„ მას-მედიას ფესტივალის დეტალები გაუმხილა

ვერა ნეფარიძე

თბილისის ტრადიციულ ჯაზფესტივალს წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მუსიკალურ სამყაროში სერიოზული ფიგურების მონაწილეობამ ყოველწლიურ ფესტივალს, წონასთან ერთად პასუხისმგებლობაც შემატა. ასეთი მნიშვნელობის ღონისძიება კი, გვერდს ვერ აუვლის პოლიტიკურ კონიუქტურასაც: ჯაზ-ფესტივალს ოფიციალურად მიესალმებიან საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები.

პირველი, რაც წლევანდელ ჯაზფესტივალს სხვა დანარჩენისგან განასხვავებს, ეს განსაკუთრებული მზადებაა, რაშიც საზოგადოებაც აღმოჩნდა უნებურად ჩართული. პირველ რიგში ეს ეხება მსმენელის ინფორმაციულ უზრუნველყოფას, რაც ალბათ, ნებისმიერი საგასტროლო კონცერტის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს. წელს ინფორმაციულ მხარდაჭერას რადიოსადგური "ფორტუნა" საკუთარ თავზე აიღებს. უკვე შედგენილია ფესტივალისადმი მიძღვნილი რადიოს საეთერო ბადე, რის მიხედვითაც რადიოტალღაზე უხვად იქნება ფესტივალის სტუმრების მუსიკა, ზოგადი თუ ცხელ-ცხელი ინფორმაციები ამ მუსიკოსების შესახებ. ამას გარდა, მსმენელს საშუალება ექნება პირდაპირ ეთერში შეხვდეს ყველა შემსრულებელს (20 ივნისს); რადიოსადგური პირდაპირ ჩართვებს გეგმავს ფესტივალის მიმდინარეობისასაც.

"გვიხარია, რომ ფესტივალი არ ჩავაგდეთ, რითაც ის თავის ტრადიციულ სტატუსს კიდევ ერთხელ გაამართლებს", – გუშინ კომპანია "ისთერნ პრომოუშენმა" მას-მედიას ფესტივალის გამართვა ახარა და ღონისძიების დეტალები გაუმხილა. კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, ისევე როგორც სხვა დროს, ამჯერადაც ფესტივალს სერიოზული ხელისშემშლელი მიზეზები გამოუჩნდა: ორგანიზატორები სერიოზული არჩევანის წინაშე დადგნენ: ფესტივალი ან უნდა ჩაშლილიყო და ტრადიცია დარღვეულიყო, ან ძვირადღირებული სიამოვნება შეეთავაზებინა მსმენელისთვის. "ამერიკამ ჯაზით მსოფლიოს ბედნიერება აჩუქა, ისევე, როგორც კალათბურთით. ვფიქრობ, ჩვენმა ფესტივალებმაც ამ კულტურის პროპაგანდით, საზოგადოების გემოვნებაზე გარკვეულად იმოქმედა. ჩვენ თავიდანვე უარი ვთქვით კომერციულ გზაზე და ასე იქნება ყოველთვის", – ასეთი გარანტია საზოგადოებას "ისთერნ პრომოუშენის" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, მარჯანიშვილის თეატრის დირექტორმა, გაიოზ კანდელაკმა მისცა. საბოლოოდ, ფესტივალის გადარჩენა იმ სახით, როგორც ეს ორგანიზატორებს სურდათ, შესაძლებელი გახდა მონტროს ჯაზ-ფესტივალის გამოცდილების გაზიარებით.

თბილისის საერთაშორისო ჯაზფესტივალს წელს არ ყავს ერთი გენერალური სპონსორი და ყოველ კონცერტს სხვადასხვა კომპანია წარადგენს. თანამშრომლობის ეს ფორმა უფრო მისაღები და იოლი აღმოჩნდა როგორც ორგანიზატორებისთვის, ასევე სპონსორებისთვის. სწორედ ამ გამოცდილების გაზიარების წყალობით, თბილისი კიდევ ერთხელ შეხვდება ჯაზური სამყაროს თანავარსკვლავედს. 1995 წლის შემდეგ მეორედ ჩამოვა თბილისში ტანია მარია, რომელიც ამჯერად ერთ-ერთი სიმღერისთვის საქართველოში კლიპსაც გადაიღებს (რეჟისორი, ზაზა ორაშვილი); "ისთერნ პრომოუშენის" ყველაზე დიდი მიღწევაა ელ ჯეროს მოწვევა. აღსანიშნავია, რომ თბილისის კონცერტები მუსიკოსის მსოფლიო ტურნეს დაემთხვა (2 ივლისს ელ ჯერო კრემლში კონცერტს გამართავს), რამაც მისი საქართველოში ჩამოსვლა გააიოლა; ბობ მინცერისა (მის შესახებ ჩვენს ერთ-ერთ წინა ნომერში შემოგთავაზეთ მასალა) და მისი ბენდის წევრების გარდა, თბილისის სცენაზე, ღამის კლუბ "ჯოიში" გამოვლენ: ცნობილი ტრომბონისტი და ვოკალი, დენის როლინსი და საქსოფონისტი, ალფრედ "პი ვი" ელისი.

ჯაზ-ფესტივალის ერთ-ერთ კონცერტზე ორგანიზატორები, ამერიკელი ინსტრუქტორებისა და ქართველი სამხედროების მოწვევას გეგმავენ. "ამ კონცერტით შევეცდებით ამერიკელ ინსტრუქტორებს საკუთარი თავი სამშობლოში ვაგრძნობინოთ", – ორგანიზატორების ნათქვამმა დაადასტურა, რომ ფესტივალი პოლიტიკურ კონიუნქტურას დაემორჩილა.

30 ივნისი (21.00) - ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი
"მაგთი-GSM" წარმოგიდგენთ:
21.00 სთ - "მწვანე ოთახი" (საქართველო)
21.40 სთ - ტანია მარია და "ვივა ბრაზილ კვარტეტი" (ბრაზილია)

2 ივლისი (21.00) - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი
"GMT-ჯგუფი" წარმოგიდგენთ:
ბობ მინცერი და თბილისის ბიგ-ბენდი (აშშ-საქართველო)
აშშ-ის საელჩოსა და გადამხდელთა კავშირის მხარდაჭერით

3 ივლისი (21.00) - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი
"ლუკოილი" წარმოგიდგენთ
ელ ჯერო და ბენდი (აშშ)

3 ივლისი (21.00) კლუბი "ჯოი"
"რუსთავცემენტი" წარმოგიდგენთ
ჭაბუკა ამირანაშვილის ბენდი (აშშ)
ბობ მინცერის კვარტეტი (აშშ)

4 ივლისი (21.00) კლუბი "ჯოი"
"ნესკაფე" წარმოგიდგენთ
იგორ ბრილი და მაია ბარათაშვილი (რუსეთი, საქართველო)
22.00 დენის როლინზის "ბედბოუნ ენდ კომპანი" (დიდ ბრიტანეთი)

5 ივლისი (21.00) - კლუბი "ჯოი"
"კენტი" წარმოგიდგენთ
ჯაზ-კვარტეტი (სომხეთი) ჭაბუკა ამირანაშვილის ბენდი (საქართველო)
ალფრედ "პი ვი" ელისის ანსამბლი (აშშ)



თბილისის მე-6 საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალის პროგრამა

# თერაპია ვარსიმაშვილის მეთოდით

## ანუ „პროვოკაციის" სოციალურ-ეროტიკულ ხიბლი კანცელარიის მიდამოებში

დავით ბუხრიკიძე

კლასიკური რიტორიკისაგან თავისუფალ, ნახევრადჩაბნელებულ სცენაზე სამი ნახევრადშიშველი მამაკაცი ცეკვავს – აირწინაღებსა და სამფეროვან შავ-თეთრ-შინდისფერ ტრუსებში. ისინი შიშით ელიან, როდის დაიწყებს მაყურებელი სტვენას ან ტაშის დაკვრას, რადგან ორივე რეაქცია თანაბრადაა მოსალოდნელი. ხუთიოდე წუთის წინათ აქვე, მთელი თავისი "სამშვენისებით" როკავდა სტრიპტიზის პროფესიონალი მოცეკვავე ალა (ზუსტად ასეა მითითებული პროგრამაში, გვარის გარეშე).

არ გეგონოთ ეს ყველაფერი იატაკქვეშა ეროტიკულ კლუბში ხდებოდეს, ან ჩვენამდე ვერმოღწეული რიტუალური თეატრის სცენაზე. სოციალურ-ეროტიკული შოუ, რომლის სახელწოდებაა "პროვოკაცია", "თავისუფალი თეატრის" დამფუძნებელმა და მეპატრონემ ავთანდილ ვარსიმაშვილმა საკუთარ კარმიდამოში, მოულოდნელი ამპლიტუდითა და წესების დაცვის გარეშე დადგა – "ჰაიდ პარკის" მყვირალა ესთეტიკითა თუ სოციალურ-პოლიტიკური გამოხდომებით. როგორც ზოგადად, "პროვოკაციულ" თემას ეკადრება. უფრო მეტიც, კანცელარიის გვერდით მდებარე თეატრში, პრემიერაზე მისულ მინისტრებსა თუ სხვადასხვა ჯურის ჩინოვნიკებს რეჟისორმა ორ საათში დააკარგვინა უბიწო თეატრალური წარსული... თუმცა ამის შესახებ ოდნავ ქვემოთ.

მაყურებელს ცნობისმოყვარეობის გასაღვიძებლად პოლიეთილენის გრძელ ნაჭერს ურიგებენ და სიფხიზლისაკენ მოუწოდებენ. ეს გაფრთხილება მას მოგვიანებით გამოადგება, რათა გაფაციცებული ყურადღებისა და კარგი რეაქციის წყალობით სცენიდან ნასროლი კომბოსტოს ნარჩენები ან ვაშლის ნაფცქვენი აიცდინოს. განსაკუთრებული ხიფათი საგულდაგულოდ შერჩეული კოსტიუმების პატრონებს ელით: შესაძლოა მათი აკადემიურ-თეატრალური თავმოყვარეობა (საღამოს კოსტიუმებთან ერთად) სამმა საშუალო ასაკის არაპროგნოზირებადმა მსახიობმა შელახოს.

მაშ ასე, სამნი ერთ ნავში: მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრის ყოფილი და "თავისუფალი თეატრის" ახლანდელი პრიმა რამაზ იოსელიანი (მისი ამპლუა მერყეობს საეჭვო ხარისხის კომიკურობიდან გულწრფელ, მაგრამ სენტიმენტალურ მელოდრამატულობამდე); ერთდროულად გმირისა და საყვარლის ჰაბიტუსის მქონე ნიკო გომელაური (თავდაჯერებული მანერითა და ზარმაცი ძაღლის პლასტიკით); თეატრ "ძველ სახლში" "ჩაწერილი" სლავა ნათენაძე, რომელიც წარსულში ბირიუკოვი ყოფილა. (ამის შესახებ იგი ტკივილნარევი უშუალობით გვიყვება სპექტაკლში); პლუს სტრიპტიზის ხელოვნების სოლისტი ალა, რომელიც გამჭვირვალე ფარდის მიღმა ავტონომიურ რეჟიმში "მუშაობს".

ამგვარ ხულიგნობას ქართველი მაყურებელი ცხადია, ჩვეული არ არის. მისი ტაატით გამოზომილი რითმი და თეატრალური მგრძნობელობა ვერ ეგუება შემხვედრ აგრესიას, პროვოკაციას, ექსტრემალურ თამაშებს... მიუხედავად იმისა, რომ აგრესია ყოველდღე იღვრება ქუჩიდან, ტელეეკრანიდან, გაზეთებიდან. ქუჩა შემთხვევით არ გვიხსენებია. ეს სანახაობა-ჰეფენინგი სწორედ ზემოხსენებული ჰაიდ-პარკით არის შთაგონებული, ხოლო მეტი დამაჯერებლობისათვის ამის შესახებ აფიშაზეც მიგვითითებენ.

ამ "მყვირალა" სანახაობაში დრამატურგიულ ზიგზაგებს ტყუილად დაუწყებთ ძებნას. არც თეატრალური ფორმით ზარდაცემა გემუქრებათ. უმჯობესია მოქმედებაგინებას მიენდოთ და სოციალურ-პოლიტიკური შოუ გაიზიაროთ. მსახიობთა ტრიოს მიერ ნაირგვარი პროვოკაციებით გაჯერებული ოინბაზობა – პუბლიკის გაწუწვა, უროთი საათის დამსხვრევა, იმპროვიზირებული ბაასი მაყურებელთან, პოლიტიკური ტექსტი და ა.შ. – მხოლოდ იმიტომაა მოხმობილი, რომ წარმოდგენის ესთეტიკა და თავსმოხვეული აგრესია გაერთიანდეს. მოკლედ, მგელიც მაძღარი უნდა იყოს და ცხვარიც უვნებელი.

კანცელარიისაგან გამოსხივებული ავადმყოფური პოლიტიკური ვნებები ავთო ვარსიმაშვილმა იქვე მდებარე თეატრის სცენაზე ეროტიზმით ჩაანაცვლა. ალბათ, ამას უნდა მივაწეროთ სტრიპტიზის სეანსიც, რომელსაც სცენურ მოქმედებასთან არაფერი აქვს საერთო და რომელსაც რეჟისორის ჩანაფიქრით თერაპიული მნიშვნელობა აქვს. სხვა საკითხია, რამდენად "განკურნებადია" სოციალურ სიგიჟეში გამობრძმედილი მაყურებელი ამგვარი არაესთეტიკური სატყუარათი.

"თავისუფალ თეატრი", რომლის მოკლე და ჭრელი რეპერტუარი მაყურებელზე დამაბნეველად მოქმედებს ("მედეა", "ჯინსების თაობა ანუ დაგვიანებული რეკვიემი", "კომედიანტები"), მორიგ რთულადმოსანელებელ, თუმცა მარტივად ასახსნელ პრემიერას გვთავაზობს. სასჯელი და სიამოვნება "პროვოკაციაში" საერთო-სახალხო ხასიათისაა: გნებავთ იყვირეთ, გნებავთ გაიხადეთ...პასუხს არაფერზე აგებთ, ეს უბრალოდ კომპლექსებისაგან გათავისუფლებაა - ვარსიმაშვილის მეთოდით.



იური ლობოდინის ფოტო

## ამბები

### კასტინგი ევროპული ტელესერიალისთვის

რამდენიმე კვირაში თბილისში პირველი ევროპული ტელესერიალის შესარჩევი გადაღებები დაიწყება. პროექტში შვიდი ქვეყანა მონაწილეობს. ამ ეტაპზე საქართველოში შერჩეულია ორი ახალგაზრდა მსახიობი, ჯუნა მენაბდე და ალეკო თათარაშვილი. ისინი სერიალის მთავარი გმირები იქნებიან. ფილმის სამუშაო სახელწოდებაა "კარგი დრო, ცუდი დრო". პროექტის ორგანიზატორია კორპორაცია "ვოლდემირი", ერთ-ერთი პროდიუსერი კი, მაკა ასათიანის შოუმენი ვანიკო თარხნიშვილი იქნება.

### გასტროლები ოპერაში

დღეს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ცნობილი სომეხი საოპერო მომღერალი გეღამ გრიგორიანი, ერევნის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ახალგაზრდა სოლისტებთან ერთად, კონცერტს გამართავს. გრიგორიანი თბილისს 10-კაციანი ჯგუფით ეწვეია. შესრულდება არიები ვერდის, ბიზეს, როსინის, მოცარტისა და სხვათა ოპერებიდან. კონცერტში მონაწილეობს ლაღიძის სახელობის საქართველოს ტელე-რადიომაუწყებლობის სახელმწიფო ორკესტრი იური დავითიანისა და ვადიმ შუბლაძის დირიჟორობით. კონცერტის ორგანიზატორები არიან თბილისის ოპერის თეატრი და სომხეთის საელჩო საქართველოში.

### ჯილდოს შემდეგ - ციხე

მომღერალ დიონ ვორვიქს მაიამი-დეიდის სასამართლომ ბრალდება მოუხსნა. თუმცა, ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მომღერალმა ნარკოდისპანსერში მკურნალობა გაიარა და შიდსიან ბავშვებს თანხა გადაურიცხა. სასამართლოსთან მიღწეული შეთანხმების მიხედვით, ვორვიქს ასევე დაევალა, ახალგაზრდობისათვის გაევრცელებინა მიმართვა, რომელშიც ნარკოტიკების მავნე ზემოქმედებაზე ისაუბრებდა.

შეგახსენებთ, რომ ვორვიქი მაიამის საერთაშორისო აეროპორტში ბარგის შემოწმების შემდეგ დააკავეს – მას პატარა ხელჩანთაში 5 გრამი მარიხუანა აღმოუჩინეს. პოლიციის დასკვნით, დაკავების მომენტში 61 წლის მომღერალი ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ არ ყოფილა. ამ ინციდენტამდე ერთი დღით ადრე კი, ვორვიქი მუსიკაში გაწეული წვლილისთვის ორგანიზაცია The American Red Ribbon-მა დააჯილდოვა.

ვორვიქი, რომელიც უიტნი ჰიუსტონსაც ენათესავება, პოპულარული 60-იან წლებში გახდა, სიმღერებისთვის: Walk on By, I say a Little Prayer.

### ვიდეობიზნესის ახალი რეკორდი

ჰარი პოტერის სასწაულებმა დიდი ეკრანიდან ვიდეოკასეტებზე გადაინაცვლა. ფილმმა გაყიდვების რეკორდი მოხსნა, როგორც შტატებსა და იაპონიაში, ასევე დიდ ბრიტანეთში. პირველ სამ კვირაში "ჰარი პოტერის" ვიდეოკასეტების შემოსავალმა მსოფლიოს მასშტაბით, 400 მილიონი დოლარი შეადგინა. ეს კი უკვე რეკორდია.

"პოტერმა" ბრიტანეთში "ტიტანიკის" რეკორდიც მოხსნა. თუმცა, კვლავინდებურად წარმატებულ და მომგებიან პროდუქტად ითვლება "შრეკი" და "მეფე ლომიც".

### გულუხვი ბერგმანი

კინორეჟისორი ინგმარ ბერგმანი თავის ფოტოსურათებსა და ხელნაწერებს ახლადშექმნილ ფონდს გადასცემს. შვედეთის კინოს ინსტიტუტის წარმომადგენელი, იან გორანსონი ამ საარქივო მასალებს მნიშვნელოვან საჩუქარს უწოდებს. "საშუალება მოგვეცემა, ბერგმანის ფილმების შესახებ ამომწურავი კვლევა ვაწარმოოთ", - დასძენს გორანსონი. მართლაც, პირველ ეტაპზე რეჟისორის საჩუქარს მხოლოდ კვლევითი ფუნქცია ექნება, ფონდს ჯერ არ გადაუწყვეტია, მასალების რა ნაწილს გააცნობს საზოგადოებას. ცნობისათვის: 83 წლის რეჟისორი ამჯერად შვედეთის ტელევიზიისთვის 90 წუთიან სატელევიზიო დადგმაზე მუშაობს.

# ჯორჯ ლუკასი მომავალი სერიის პრემიერას სხვა პლანეტაზე გეგმავს

**"ვარსკვლავეთის ომები:" ეპიზოდი II. "კლონების შეტევა" - 2002**

*რეჟისორი: ჯორჯ ლუკასი, სცენარის ავტორი: ჯორჯ ლუკასი და ჯონათან ჰეილსი. ოპერატორი: დევიდ ტეტერსოლი, კომპოზიტორი: ჯონ უილიამსი. მთავარ როლებში: ევან მაკგრეგორი, ნატალი პორტმანი, ჰეიდენ კრისტენსენი, სემუელ ჯექსონი.*

თამარ მურვანიძე

უკვე ათი წელი გავიდა "ვარსკვლავეთის ომების" პირველი ეპიზოდის ეკრანიზაციიდან, ფილმისა, რომლის შექმნის იდეაც რეჟისორ ჯორჯ ლუკასს აკირა კუროსავას "დაფარული სიმაგრის" ნახვის შემდეგ დაებადა. გალაქტიკაში ათი წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ კინომანთა საყვარელი გმირები ობივან კენობი (ევან მაკგრეგორი), პადმი ამიდალა (ნატალი პორტმანი) და ანაკინ სქაიუოლკერი (ჰეიდენ კრისტენსენი) კვლავ ერთად არიან. ეს გმირები არჩევანის წინაშე დგანან და ამ არჩევანმა უნდა გადაწყვიტოს არა მარტო მათი ბედი, არამედ - რესპუბლიკის მომავალიც. მეორე ეპიზოდი, "კლონების შეტევა" უკვე თბილისის კინოთეატრებშიც გამოჩნდა.

ამ ფილმმა ამერიკაში პირველი უიკენდის განმავლობაში 61,2 მილიონი დოლარი მოიტანა და ფილმით შემოსული მთლიანი თანხა 202,5 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. დიდ ბრიტანეთში შაბათ-კვირას ფილმმა 5,9 მილიონი დოლარი მოაგროვა, მთლიანად კი - 21,3 მილიონი. საქართველოს მონაცემები ჯერჯერობით უცნობია.

როგორც მაყურებლები ამბობენ, ამაღელვებელია საერთოდ მთელი სურათი. "სიმართლე თუ გინდათ, "ვარსკვლავეთის ომების" არცერთი ნაწილი არ მინახავს. პირველი ეპიზოდის ერთ მონაკვეთს ტელევიზორში შევავლე თვალი. მეორე ეპიზოდის სანახავადაც იმიტომ წავედი, რომ საყოველთაო აჟიოტაჟმა ჩემზეც იმოქმედა და ვიფიქრე, ვიცოდე მაინც, რა ხდება-მეთქი. მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა", - აღტაცებას არ მალავს ერთი მნახველი, რომელიც, როგორც ნახეთ, თავიდან საკმაოდ სკეპტიკურად იყო განწყობილი ფილმის მიმართ.

თუ "ვარსკვლავეთის ომების მეორე ეპიზოდს" ერთი სიტყვით დავახასიათებთ, ყველაზე შესაფერისი სიტყვა "შთაბეჭდილება" იქნება და მნიშვნელობა არა აქვს როგორი განწყობით დატოვებთ დარბაზს. ფილმის დინამიკა, გრანდიოზული ეფექტები, თუ მცირე დეტალები ფანტასტიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს, კომპიუტერული გმირები კი ძალიან სასაცილონი არიან. უცხო პლანეტები და გალაქტიკათაშორისი სივრცეები ის სამყაროა, რომელიც ყოველთვის იპყრობდა ადამიანის ყურადღებას. განსაკუთრებული ინტერესითა და გაფაციცებით ფილმს, ბუნებრივია, თინეიჯერები უყურებენ. მშობელთა დიდ ნაწილს რომ შეეკითხო, ვარსკვლავურ გატაცებებს წიგნის კითხვა ურჩევნიათ, მაგრამ დროს მოიხელთებენ თუ არა, შვილებისგან მალულად ისინიც ამ ფილმისკენ აპარებენ თვალს.

ფილმის ეკრანებზე გამოსვლამდე ყველა ფიქრობდა, რომ მეორე ეპიზოდი დანარჩენი სერიების შემკვრელი, ერთგვარი საკვანძო რგოლი იქნებოდა, მაგრამ მაყურებლისთვის, და განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვის, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მათ თავად სანახაობა უფრო აინტერესებთ, ან ფილმის გადაღებებთან დაკავშირებული სალაღობო ფაქტები. მაგალითად, ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი, ჰეიდენ კრისტენსენი ინტერვიუებში გაუთავებლად ლაპარაკობდა გადაღების დროს მომხდარ კურიოზებზე. ყველაზე პოპულარული კურიოზია, თუ როგორ ეხეოდა შარვალი უხერხულ ადგილას თითოეული ნახტომის გაკეთებისას.

სხვათაშორის ერთი საინტერესო მოსაზრებაც გამოითქვა: ფილმი პატარა ეკრანზე უფრო კარგი სანახავიაო. იმასაც ამბობენ, მართალია კინოში არ დაგეძინებათ, მაგრამ ფილმს საწვავი აკლიაო. ლუკასს კიდევ 25 სერიის მასალა აქვს და მომავალში, შესაძლოა, საწვავიც იმდენი დაგროვდეს, რომ ახალი პრემიერა რომელიმე X-პლანეტაზე გაიმართოს. აი, მაშინ კი ფანები ნამდვილად სიხარულით გაგიჟდებიან.



ნატალი პორტმანი ფილმის ნიუ-იორკულ პრემიერაზე ახალი სვირინგით იწონებდა თავს

REUTERS



ჯორჯ ლუკასი ავტოგრაფებს ვერ აუდიოდა

REUTERS



ასე გამოეწყვნენ ინგლისელი ფანები ფილმის ლონდონური პრემიერისთვის

REUTERS

# ვუდი ჰარელსონის ჰოლივუდური ასოციაციები



REUTERS

ამერიკელ მსახიობ ვუდი ჰარელსონს პრობლემები ინგლისში შეექმნა. "სკოტლანდ იარდის" ცნობით, ის ტაქსის მძღოლის შეურაცხყოფისთვის დააპატიმრეს. ჰარელსონმა, რომელმაც ტაქსი გამთენიისას გააჩერა, ჯერ საკეტური დაამტვრია, მერე საფერფლე. შემდეგ კი სასწრაფოდ მეორე ტაქსში გადახტა და მძღოლს სწრაფად სიარული უბრძანა. "ჩემი მგზავრი ისე იქცეოდა, თავი ჰოლივუდში მეგონა. ვიცოდი, რომ უკან პოლიცია მოგვსდევდა და ამიტომ მეორე ტაქსში გადამჯდარ ჰარელსონს უკან მეც ავედევნე", - ყვება დაზარალებული მძღოლი. მსახიობი 1 ივლისამდე გამოსასყიდი თანხის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. ამასობაში, გაირკვევა კიდეც, წაუყენონ, თუ არა ჰარელსონს ბრალდება.

## იაპონური კროსვორდი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 4 | | | | | | | | | 4 | | | | | |
| | 4 | | | 2 | 1 | | | | | | | | | 1 | 2 | | | 4 | |
| | 1 | 2 | 5 | 3 | 1 | 7 | 3 | 2 | | | 2 | 3 | 7 | 1 | 3 | 5 | 2 | 1 | |
| 2 | 1 | 1 | 1 | 3 | 1 | 2 | 5 | 3 | | | 3 | 5 | 2 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 2 |
| 5 | 2 | 5 | 4 | 4 | 4 | 3 | 1 | 18 | 25 | 25 | 18 | 1 | 3 | 4 | 4 | 4 | 5 | 2 | 5 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 4 |
| | | | | | | 8 |
| | | | | 4 | 2 | 4 |
| | | | | | | 14 |
| | | 2 | 2 | 4 | 2 | 2 |
| | | | | | | 18 |
| 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 |
| | | | | | | 20 |
| | | | | 2 | 6 | 2 |
| | | | | | | 8 |
| | | | | 2 | 4 | 2 |
| | | | | | | 4 |
| | | | | | | 4 |
| | | | | | | 4 |
| | | | | 5 | 4 | 5 |
| 1 | 1 | 2 | 4 | 2 | 1 | 1 |
| | | | | 5 | 4 | 5 |
| | | 1 | 2 | 4 | 2 | 1 |
| | | | | 5 | 4 | 5 |
| | | 1 | 2 | 4 | 2 | 1 |
| | | | | 2 | 4 | 2 |
| | | | | 2 | 4 | 2 |
| | | | | 2 | 4 | 2 |
| | | | | 2 | 4 | 2 |
| | | | | | | 8 |

### წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხი

**თარაზულად**: 1. ბუდე; 2. მოლი; 3. კითარა; 4. დე; 5. ნემანი; 6. რომანი; 7. ულისე; 8. პანო; 9. რიგა; 10. იზა; 11. გავაზი; 12. კიკა; 13. კოპი; 13. დონორი; 15. უფალი; 16. გალი; 17. კინო; 18. ზიჩი; 19. აცე; 20. უნარი; 21. ხაზინადარი; 22. ე ალი; 23. ბილი; 24. სტუდენტი; 25. ემუ; 26. არი; 27. უმა; 28. იბერია; 29. ფორდი; 30. რიწა; 31. რტო; 32. ჩაჩი; 33. სინდიყი; 34. აურა; 35. ფაშა; 36. სირბილე; 37. ნოვატორი; 38. ინ ოგნიტო; 39. ქინ; 40. ოდა; 41. ვერი.

**შვეულად:** 42. კენზო; 43. სესია; 44. მირაჟი; 45. ებონიტი; 46. აუჩუ ი; 47. ოწინარი; 48. ამორა; 49. ფინალი; 50. დუბნა; 51. ალიზი; 52. ჩირი ა; 53. ლორი; 54. აყალო; 55. სკეტჩი; 56. ეგო; 57. სტარტი; 58. დეუ; 59. ცხაური; 60. ვარია; 61. აპოგეა; 62. დიანა; 63. ნირვანა; 64. ზნე; 65. დელანო; 66. მესია; 67. ოლქი; 68. მეგზური; 69. ნიტრო; 70. ყადი; 71. ალე; 72. მნე; 73. კოდა; 74. ოიდიპოსი; 75. ემირი; 76. როქი; 77. პანორამა; 78. მერი; 79. იარალი; 80. ომი; 81. კომბაინი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული იაპონური კროსვორდის პასუხი



## სატელევიზიო პროგრამები

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.50 სერიალი "პოლტერგეისტი"
10.50 მულტსერიალი
12.30 მუსიკა
12.40 სერიალი "ნიკიტა"
13.35 მხ.ფილმი
15.35 სიმფსონები
15.55 კუსტოს წყალქვეშა ოდისეა
16.50 მხ.ფილმი
18.00, 00.00 კურიერი
18.20 მხ.ფილმი
20.00 ჯეოპოპი
21.00 კურიერი PS
22.00 ფსიქო. მხ.ფ. "თავგრუდახვევა"
00.15 მხ.ფ. "მერი რაილი". მთ.როლებში: ჯულია რობერთსი, ჯონ მალკოვიჩი
02.00 ღამის ჯაზი

### პირველი არხი

08.00 მოამბე
08.15 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი"
08.40 "გემრიალად მიირთვით, ბავშვებო"
10.00 "დილის პაემანი"
11.00 "ექიმი აიბოლიტი"
11.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: ს.აფრიკა - სლოვენია
13.30 "ფქვენი უფლებები"
13.50 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: იტალია - ხორვატია
16.00 "თქვენთვის, თქვენზე და თქვენს შესახებ"
16.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: ბრაზილია - ჩინეთი
18.30 ნიკოლოზ დერიუგინის გაცილების შოუ-წარმოდგენა და ვარსკვლავთა მატჩი (რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან)
20.00 ტაიმაუტი
20.55 ქიმერიონი
21.35 მელომანია
22.15 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: იტალია - ხორვატია (ვიდეოჩანაწერი)
00.00 მოამბე
00.15 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.30 მხ. ფილმი "ქორწინება იტალიურად"

### მეორე არხი

18.30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი
20.30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი
22.15 "მოამბე" მეორე არხზე
22.30 მხ.ფილმი "სეიფების გამტანი"

### ევრიკა

10.00 მხ. ფილმი "ქალთევზები"
12.00 პროგრამა "სალონი"
13.30 ექიმი გვირჩევს
14.30 მუსიკა
15.00, 21.00 ვესტი
15.30 მულტფილმი
16.00 ლაბირინთი
16.30 სერიალი "საიდუმლო ნიშანი"
17.30 თქვენი ადვოკატი
18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 ცეროდენა ვარსკვლავები
20.00 თინეიჯერი
21.35 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში"
22.00 ...და ღმერთმა შექმნა ქალი
22.40 თეატრალური შეხვედრები
23.40 მსოფლიო სპორტი

### იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 ალსავალი
08.20, 10.05, 11.55, 20.20, 22.20, 23.55 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "საყვარელი"
10.15 მხ.ფ. "კრიმინალით მოვაჭრე"
20.25 მხ.ფ. "დუბლიორი"
22.30 მხ.ფ. "დაქირავებული მკვლელის დღიური"

### პირველი სტერეო

07.30 "ცხოვრება სიტყვაში"
10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
13.00 "ცენტრი" განმეორებით
14.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
14.45 "მო" განმეორებით
18.00 "სველი ხაზი" განმეორებით
19.00 მუსიკა
20.00 ჩაძირობანა
22.00 "პაპარაცები" განმეორებით
23.00 პრეს-პრესი
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ქურდობა ინგლისურად", "ამელი", "ოტელი "პარადიზო"
02.00 "ღამურა" მხ.ფ. "დანგრეული სასახლე". მთ. როლებში კლერ დეინსი, კეიტ ბეკინსეილი
03.30 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "მამაცი გული"
14.50 მხ.ფ. "შერკინება"
18.00 მხ.ფ. "პოლიციის აკადემია 6"
19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
19.20 ფილმის გაგრძელება
21.00 დოკ. ფილმი
22.00 მხ.ფ. "სეიფების მძარცველი"
00.20 მხ.ფ. "ტკბილი ნოემბერი"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
09.20 ლიმონი და ლიმონათი
09.35 მულტფილმი "ალექსი" მე-4 სერია
10.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა "დილა"
11.20 მხ.სერიალი "ჰორასი და თინა" მე-5 სერია
11.50 მხ. ფილმი "იაგური"
13.30, 17.00, 19.40 დისქავერი
14.00 მუსიკალური გადაცემა "ბელისიმო"
14.45, 17.45 მულტფილმი "მხიარული მელოდიები"
16.20 მთავარი თემა
18.00 დოკ. ფილმი "უცნობი ჩაპლინი" 1-ლი ნაწილი
19.00 გადაცემა "ჭკუის კოლოფი"
21.00 მსოფლიო ჩემპიონატის დღიური
21.10 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
22.00 მხ. ფილმი "ნოთინგ ჰილი". მთ. როლებში ჯულია რობერტსი
00.40 მხ.ფ. "ძირითადი ინსტინქტი" მთ. როლებში მაიკლ დუგლასი, შერონ სტოუნი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 მელოდრამა "მარადიული სიყვარულის ისტორია"
11.20 მულტფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ისტორიული ფილმი "ალექსანდრე დიდი"
14.25 "მზე აქ შემიჩერებია"
14.35 ფანტასტიკა "სიღრმეში ჩაშვება"
16.15 მულტფილმი "ჰერკულესი"
17.45 კომედია "ოქროს ხბო"1 სერია
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 "პრესდაიჯესტი"
19.40 "ყველანი ვართ პატარები"
19.50 კომედია "წმინდანი"
21.40 "ფოკუსი"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50 "პერსონა"
23.20 "Улово"
00.40 ისტორიული ფილმი "ბაუნტი"
03.30 დრამა "ამისტადი"

### VII არხი

17.30, 21.45,23.00,01,55 ანონსი
17.35,21.50 ამინდის პროგნოზი
17.55 აფიშა
18.00 რაგბი. ევროპის თასის ფინალი.
19.00 "აჩიკუდა"
19.25 "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით.
19.50 მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა
21.00 "ღამის კაპრიზი"
22.10 კალათბურთი. ნ.ბ.ა.
23.20 მხ.ფ.ჟანრებში: - "ერკიული და შერლოკი მაფიის წინააღმდეგ"
00.45 მუსიკალური ტაიმაუტი.
01.20 პრესის მიმოხილვა.

### ОРТ

07.40 х.ф. "ВЫШЕ РАДУГИ" 1-я с
09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости
09.10 "Незнайка на луне"
09.35 Следствие ведет Колобков
10.00 Слово пастыря
10.20 Играй гармонь, любимая!
11.10 Смехопанорама
11.45 Смак.
12.05 В мире животных
12.45 Здоровье
13.25 "Право на радиацию". Спецрепортаж.
13.45 ФУТБОЛ. ИТАЛИЯ-ХОРВАТИЯ
16.15 Дисней-клуб. 16.40 "Ералаш"
17.00 х.ф. "МОЙ ЛУЧШИЙ ДРУГ ГЕНЕРАЛ ВАСИЛИЙ, СЫН ИОСИФА"
19.20 "Песня года. Лето"
21.00 "Кто хочет стать милионером?"
22.00 Время
22.30 Что? Где? Когда? Финал
23.50 х.ф. "ФЕНОМЕН" (США)
02.10 х.ф. "ЖЕРТВА ЛЮБВИ".

### РТР

07.25 Мультфильмы.
08.50 Диалоги о рыбалке
09.20 "ПОВЕЛИТЕЛЬ ЗВЕРЕЙ"
10.15 Военная программа
10.30 Золотой ключ
10.50 Здоровье и жизнь
11.20 ФУТБОЛ. ЮЖНАЯ АФРИКА- СЛОВЕНИЯ
13.30 Доброе утро, страна!
13.55 Телеигра "Сто к одному"
14.50 Наука и техника
16.00, 21.00 Вести
16.20 ФУТБОЛ. БРАЗИЛИЯ-КИТАЙ
18.30 "ЮРИКИ"
19.00 Моя семья
19.55 Аншлаг
21.25 Зеркало
22.00 Фильм "ТАЙНЫ ЛОС-АНДЖЕЛЕСА" (США)
00.25 Дневник чемпионата мира по футболу
01.20 "ЯДЫ, ИЛИ ВСЕМИРНАЯ ИСТОРИЯ ОТРАВЛЕНИЙ"
03.30 Чемпионата мира по автогонкам "Формула-1". (Канада).

### НТВ

07.50 "ЗЕРКАЛО, ЗЕРКАЛО"
08.35 Ох, уж эты дети!
09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня
09.15 фильм "ГОСТЬЯ ИЗ БУДУЩЕГО"
10.20 Доктор Бранд. "Без рецепта"
11.20 "Чистосердчное признание"
11.50 "Женский взгляд"
12.25 Квартирний вопрос
13.25 фильм "МОЛОДАЯ ЖЕНА"
15.25 Путешествия натуралиста
16.05 Своя игра
17.25 Профессия -репортер
17.55 "Продолжение следует"
18.55 Док. сериал "Неизвестная планета"
20.45 фильм "СЫЩИКИ"
21.55 фильм "МЕРЦАЮЩИЙ" (США)
00.00 Суперпоединок: Тайсон против Холифилда
01.00 фильм "МИЛОСЕРДИЕ" (Канада).



# პატარა ბრიტანეთი

## ანუ ის, რაც დიდი ბრიტანეთიდან დარჩა



მისი უდიდებულესობის ტახტზე ასვლის 25 წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა მატჩი "ლიდსსა" და "აიაქსს" შორის.

ბიძინა მაყაშვილი

12 ივნისს ბრიტანეთის საელჩო თბილისში მისი უდიდებულესობის ოქროს იუბილეს აღნიშნავს. მე კი ვიცოდი, რაც ხდებოდა, მაგრამ მაინტერესებდა, თვითონ თუ იცოდნენ, ამიტომ აქაურ ინგლისელებს ვკითხე, რა იუბილეზეა-თქო ლაპარაკი. დარწმუნებით ვერავინ მიპასუხა. ზოგმა, ტახტზე ყოფნის 50 წლისთავიაო, ზოგმა – ალბათ 75 წლის გახდაო, ზოგმა - დედამისის ორმოცი იქნებაო, ზოგმა კიდევ – არ ვიცი, მაგრამ, ყოველ ზაფხულს, ამ დროს საელჩოში გვეპატიჟებიან და უფასოდ გვასმევენო. მოკლედ, ცოტა 20 ათასივით კი გამომდის, მაგრამ პირველ ვერსიას რომ მისწოლოდით, თქვენც დალევდით შამპანურს.

რაც შეეხება მონარქს, ის 76 წლის გახდა და ობოლის კვალობაზე არც ისე ცუდად გამოიყურება. როგორ გგონიათ, რატომ იყო ელისაბედ II სევდიანი დედამისის გასვენებაში? გგონიათ, მოხუცს მისტიროდა, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა კავკასიელი მთიელი დღეგრძელების უნიკალობის მითი? არაფერი შეგეშალოთ, მას სიკვდილი არ აშინებს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც რძალი – ეს ბიკინიანი დედა ტერეზა დაასაფლავა, ის ხომ ფაქტობრივად მეორედ ესწრება საკუთარი დაკრძალვის ცერემონიალს. არა, მას სხვა რამ აფიქრებს – ვის უნდა ჩააბაროს იმპერია?! ამ თინეიჯერ ბლერს, რომელსაც ერთი სული აქვს, პანაშვიდი მორჩეს, რომ პაბში გაიქცეს, ლუდით გასკდეს და თავისი ჟანგიანი გიტარა აჟღარუნოს, თუ ფლეიბოი ჩარლზს, რომელიც სამძიმარზე მოსულ ქალებს დეკოლტეში აშტერდება და ბებიამისზე კი არ ნაღვლობს, არამედ იმაზე, დედამაც ბებიასავით დიდხანს რომ იცოცხლოს, მეფობას როდისღა მოვესწრებიო?! ეს უილიამიც რომ არ უქნია ღმერთს! მგონი იმ სქელგავა ქალწულს, ბრითნი სპირსს უჟუჟუნებს თვალებს. გამომივიდა ეგეც ორლეანელი ჟანა დარკი. ამ კახპებმა ხომ სისხლი გაუშრეს იმპერიას! ეს ფილმები რაღამ გაახსენა?! ეტყობა, იმ ჯიუტმა ამერიკელმა ბიჭმა, მელ გიბსონმა, თავისი სეპარატისტული "მამაცი გულებით" და "პატრიოტებით" კინაღამ მთელი ვისკი არ დააკარგვინა თავის შოტლანდიიანად! ეს კიდევ არაფერი. ამასწინათ Billboard-ის ჰიტ-პარადი ნახა და ჯობდა არ ენახა, – პირველად 38 წლის განმავლობაში არც ერთი ინგლისური სიმღერა საუკეთესო ასეულში!

ესპანელებიც ძალიან გათავხედდნენ ამ გაზაფხულზე. ჯერ არის და ინგლისელების საუკეთესო საექსპორტო პროდუქტი სტივ მაკმანამანი "რეალს" მხოლოდ მეორე ტაიმში გამოჰყავს სათამაშოდ და ისიც 20 წუთით. მერე კიდევ ბეკჰემის ამბავი აიღეთ: სადა ჰყავს ელისაბედს ხუან კარლოსის ქვეშევრდომების დასამტვრევი ბიჭები! თანაც სწორედ მაშინ, ოქროს თასი რომ აქვთ ჩამოსატანი ხიროხიტოსგან!

ისე, 1966-შიც ხომ მოუხერხა ჩემპიონობა. ახლაც კარგად ახსოვს, თასის გადაცემის წინ როგორ შემოერტყა გარშემო ნიფხვისამარა დარჩენილი 11 ოფლიანი ბიჭი; როგორ იფურთხებოდნენ, გულმოდგინედ ისუფთავებდნენ ნესტოებს და ფამილარულად უტყაპუნებდნენ მხარზე სწორედ იმ ხელებს, რომლითაც ორი წუთის წინათ გენიტალიებს იფხანდნენ. მაინც კარგი დრო იყო. ვიღაცეები კი ამბობდნენ, კრიზისიაო, მაგრამ დღევანდელთან შედარებით სამოთხე იყო – მარტო "ბითლზს" რამდენი ფული შეჰქონდა ქვეყანაში! ახლა "ოაზისის" იმედზე ვერ იქნები – ამ იდიოტმა გალაჰერებმა, რომლებიც მის შვილებზე უარესი დარტყმულები არიან, მგონი დაშალეს ჯგუფი. ისევ ქალი თუ იხსნის იმპერიას. ნეტავ ის დაბრეცილი როულინგი რას შვრება? რით ვერ დაამთავრა მეხუთე "ჰარი პოტერი"?! ჯანდაბას, როგორც კი გამოსცემს და ქვეყნის ბიუჯეტი შეივსება, "ლედობას" მიანიჭებს და ბრიტანეთის იმპერიის ორდენს ჩამოჰკიდებს.

იმპერიაო?! სადღაა იმპერია – ოკეანეში მიმოფანტული ათიოდე არქიპელაგია, რომლებიც მოქცევისას წყლით იფარება. თუნდაც **გიბრალტარი** ავიღოთ. ესპანეთის უკიდურეს სამხრეთში მდებარე კლდე. გასაგებია, რომ ესპანელებს მისი უკან დარუნება უნდათ, მაგრამ 1967 წელს ჩატარებული რეფერენდუმით, მოსახლეობის 95 პროცენტს ბრიტანეთის მოქალაქეობა სურდა, რადგან მათ მოსწონდათ "ბითლზი". ცხადია, კრეიგ დევიდი არ მოუსმენიათ, თორემ დღეს ნამდვილად შეიცვლიდნენ აზრს.

**ფოლკლენდები**. არგენტინის პლაჟებთან მდებარე ქარიანი, არასტუმართმოყვარე კუნძულები. მსოფლიომ მათ შესახებ 1982 წელს გაიგო, როცა ორმა მემარჯვენე დიქტატორმა, გენერალმა ლეოპოლდ გალტიერიმ და მარგარეტ თეტჩერმა მათ სასიცოცხლო მნიშვნელობა მიანიჭეს, რათა საზოგადოების ყურადღება საკუთარ ქვეყნებში გამეფებული საეჭვო რეჟიმებიდან რაიმე სხვაზე გადაეტანათ. გალტიერი შეიჭრა ფოლკლენდებზე და მალვინებად მონათლა. შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთიდან 7450 მილით იყო დაშორებული, "ინგლისელმა ბიჭებმა" ის უკან დაიბრუნეს. ომში ორივე მხრიდან მხოლოდ 1000 ადამიანი დაიღუპა, რაც კუნძულების მოსახლეობის ნახევარს შეადგენდა.




სამეფო დაშვება.
დოუნესის ნაქარგი.

**ანგუილა**. სუბტროპიკული კუნძული კარიბის ზღვაში. მისმა მეზობელმა, სენტ კიტსმა 1967 წელს დამოუკიდებლობა მიიღო, მაგრამ ანგუილამ გაერთიანებულ სამეფოში დარჩენა არჩია და ახლა მისი მოსახლეობა აგრძელებს ჩივილს დიდი სიცხეების და იმის გამო, რომ Daily Mail-ს მხოლოდ მეორე დღეს ღებულობენ.

**კაიმანის კუნძულები**. ბრიტანეთზე დამოკიდებული უდიდესი ტერიტორიები კარიბის აუზში და მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ოფშორული ფინანსური სამოთხე: სამ კუნძულზე განთავსებულია 560 ბანკი და 360 სადაზღვევო კომპანია. ქვეყნის ბიუჯეტის ძირითადი წყაროა ჰალსტუხების გაყიდვიდან შემოსული თანხები.

**ჯერსი**. ნორმანდიის სანაპიროსთან მდებარე ძროხების საბალახო მდელო, რომელზეც განლაგებულია რამდენიმე სასტუმრო. ფრანგული ამინდის და ბრიტანული სამზარეულოს ფანტასტიური ნაზავი. გააჩნია საკუთარი კანონმდებლობა და საგადასახადო სისტემა. იქ ძალიან გულმოდგინედ ირჩევენ, ვინ უნდა შეუშვან კუნძულებზე (გამონაკლისს წარმოადგენდნენ ნაცისტები მეორე მსოფლიო ომის დროს).

**გერნსი**. ჯერსის უარესი ვერსია, მაგრამ იმდენად პატარა, რომ იქ ჩასულს მხოლოდ ერთი ერთეული ხელბარგის ჩატანის უფლება აქვს.



მისი უდიდებულესობის პორტრეტი ენდრიუ ლოგანმა 1992 წელს შექმნა,

**ბრიტანეთის ვირგინიის კუნძულები**. არქიპელაგი კარიბის ზღვაში; არ აგერიოთ აშშ-ს ვირჯინიის კუნძულებში, რომელიც იქვეა, მაგრამ ბევრად უკეთესი და დიდია: იქ ამერიკელებს 53 მოქალაქე ჰყავთ, ბრიტანელბს კი მხოლოდ 40. არ ეკუთვნის რიჩარდ ბრანსონს, მაგრამ, ცხადია მცდელობა ექნებოდა.

**კუნძული მენი**. პატარა კუნძული ირლანდიის ზღვაში. 1765 წელს ბრიტანელებმა 70 ათას ფუნტად შეიძინეს. თუმცა, უძრავ ქონებაზე ბუმის გამო, დღეს უფრო ძვირი უნდა ღირდეს.

**მონსერატი**. პატარა ვულკანი კარიბის ზღვაში. მის შესახებ მარტო ის არის ცნობილი, რომ იქ ხმისჩამწერი სტუდიაა.

ცოტა უცნაური კი არის – ამხელა ტერიტორიები, ასეთი ტრადიციების ქვეყანა და ეროვნული დღესასწაული არ აქვთ; აი ისეთი, როგორც სხვებს – დამოუკიდებლობის, განთავისუფლების, რევოლუციის, ან რაიმე მსგავსი დღე. მეორეს მხრივ, საიდან ექნებათ – მგონი ათასი წელია ბრიტანეთი არავის დაუპყრია. იმიტომ კი არ იპყრობდნენ, რომ ვერ ახერხებდნენ, უბრალოდ, ვის რაში სჭირდებოდა ეს ზღვით შემორტყმული რევმატიული საძოვრები, რომლის ყველაზე დიდი დამსახურება კაცობრიობის წინაშე გიჟი ძროხების კულტივირებაა. ბრიტანელებმაც რომ ნახეს, არავინ გვიპყრობსო, აიღეს და თვითონ დაიპყრეს მთელი მსოფლიო. ახლა კი მსოფლიო ქვეყნების უმეტესობის ეროვნული დღესასწაულები მათგან განთავისუფლების დღეებია.

ამასობაში ბრიტანელებმა ის მოახერხეს, რომ რომ ძალით დააპყრობინეს თავი აშშ-ს. ამ საქმეში კი შეუფასებელი წვლილი ტონი ბლერს მიუძღვის. ჰოდა, იქნებ ბლერის პრემიერ-მინისტრად არჩევის დღე გამოაცხადონ ბრიტანელებმა ეროვნული დღესასწაულის დღედ და დაარქვან მას დამოკიდებულების დღე.



ჰარი პოტერი - ბრიტანეთის ეკონომიკის იმედი.


"ჩადოს" კოლექციიდან REUTERS


პრეზიდენტის ძმისშვილი პოდიუმზე REUTERS

# პირველი ამერიკელი, რომელიც პარიზმა მიიღო

რალფ რუჩი – ეს სახელი ბევრს არაფერს გვეუბნება. თუმცა,მას მოდის სამყარო მალე გაიცნობს. რუჩი პირველი ამერიკელი დიზაინერია, რომელიც პარიზში მაღალი მოდის კოლექციის საჩვენებლად მიიწვიეს.

რუჩის მოდელების პრეზენტაცია გაიმართება 11 ივლისს სასტუმრო D'Evreux-ში, სადაც 2002 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციების ჩვენებაა დაგეგმილი. ფილადელფიელი რუჩი მოდაში, შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფიიდან და ლიტერატურიდან მოხვდა – ამ საგნებს ის თემფლის უნივერსიტეტში გადიოდა. თუმცა, მალე რუჩის შთაგონება კრისტობალ ბალენსიაგას ნამუშევრები გახდა და ყოფილი ფილოსოფოსიც ნიუ-იორკში გადაბარგდა. პარიზში წარსადგენი კოლექცია "ჩადოზეა" აგებული (ჩადო ძველიაპონური ჩაის სმის ცერემონიაა) და ჰარმონიულობას, სიწმინდეს, ელეგანტურობას უსვამს ხაზს. "ჩადო ის სამყაროა, რომელშიც ჩვენ, ადამიანები, ვილვიძებთ და ვვითარდებით. ეს არის მუდმივი გამოღვიძების სამყარო, რომელიც მომავლისკენ გზას გვიჩვენებს", - განმარტავს დიზაინერი. საინტერესოა, ასევე აღიქვამენ თუ არა რალფ რუჩის ჩანაფიქრს პარიზელებიც.

# ლორენ ბუში სამოდელო კარიერის ზღვარზე

აშშ-ს პრეზიდენტის ძმიშვილი, მანეკენის კარიერის პარალელურად, მოდელების შექმნითაც დაინტერესდა. არ არის გამორიცხული, დამოუკიდებელი იდეები ლორენს პოდიუმზე გასვლის პირველი დღეებიდანვე აწუხებდეს. თუმცა, თავისი ხელით შექმნილი სამოსით საზოგადოების წინაშე ის პირველად ამ კვირაში წარსდგა. CFDA-ს დაჯილდოების ელიტარულ ცერემონიალზე მთელი საზოგადოების ყურადღების ცენტრში ის სწორედ საკუთარი დიზაინით შეკერილი ლურჯი კაბის წყალობით მოხვდა.

ჟურნალისტებს კი განუცხადა: "ამ კაბის იდეა თავში მოულოდნელად მომივიდა და გადავწყვიტე, ბედი მეცადა".

ლორენ ბუში ტომი ჰილფიგერის მოდელია. ის ცერემონიალზე სწორედ ტომისთან ერთად გამოჩნდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ, თავად ჰილფიგერის გარდა, მისი მოდელები იმ საღამოს არავის ემოსა.

ჯილდოები კი ასე გადანაწილდა: ნარცისო როდრიგეზი ქალების საუკეთესო დიზაინერად აღიარეს. მარკ ჯაკობსმა იგივე ჯილდო მამაკაცების განხრით მოიპოვა. წლის ტალანტად კი კალიფორნიელი რიკ ოუენსი დაასახელეს. მოდის სამყაროში გაწეული ღვაწლისთვის ჯილდო 63 წლის კარლ ლაგერფილდს გადაეცა.

საღამო ჭეშმარიტად ვარსკვლავური იყო: ჰილარი ქლინთონი ოსკარ დე ლა რენტას თანხლებით მოვიდა, პენელოპა კრუსს კომპანიონობას რალფ ლაურენი უწევდა. საღამოს მომხიბვლელ მანდილოსნებს ძირითადად მარკ ჯაკობსი ემოსათ... ცერემონიალის დასრულების შემდეგ ვარსკვლავებმა გადანაცვალეს დისკო-ბარში, სადაც მხიარულება თითქმის დილამდე გრძელდებოდა.


თანამედროვე ხელოვნების ფესტივალიდან REUTERS

# ავანგარდული „დოკუმენტა„ ახალ ტექნოლოგიებს იყენებს

დღეს გერმანიაში თანამედროვე ხელოვნების გამოფენა "დოკუმენტა" იხსნება. შოუზე ზეთის ტილოების ნაცვლად ვიდეო და ფოტო მასალაა წარმოდგენილი. თემატურად კი პლანის და ახლო აღმოსავლეთის საკითხები ჭარბობს.

შეგახსენებთ, რომ "დოკუმენტა" 1955 წლიდან მოყოლებული, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ უკვე მეთერთმეტედ ტარდება. ევროპული ხელოვნების კალენდარზე ის, ვენეციის ბიენალეს შემდეგ, უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. კრიტიკოსების აზრით, წლევანდელი ფესტივალი ისე გადატვირთულია ვიდეო და ფოტო მასალებით, რომ კინოფესტივალს უფრო ჰგავს, ვიდრე მსოფლიო ავანგარდული ხელოვნების ზეიმს. ჩინელი ხელოვანი სამ გიგანტურ მონიტორზე აგრესიული მომენტებით სავსე ვიდეოთამაშს წარმოადგენს, რომლის თამაშიც გამოფენის სტუმრებსაც შეუძლიათ. მეორე დარბაზში ექვს ტელეეკრანზე ნაჩვენებია, თუ როგორ ირწევა წყალზე ნაგავი... ჩილელი ალფრედო ჯაარის გამოფენა კი რამდენიმე ჰოლში იშლება. ჩაბნელებული კორიდორები უზარმაზარი პროჟექტორით განათებული კედლით მთავრდება. "ჩვენ წარმოსახვების სიმრავლე გვაბრმავებს. ჩემი პროექტი ცდილობს, ჩვენი უუნარობა დაგვანახოს", - ასე განმარტავს თავისი ქმნილების არსს ჯაარი. "დოკუმენტას" ყველაზე დიდი გამოფენა პალესტინის თემას ეთმობა. ზოგიერთი ფოტომასალა კი სიღარიბეს და სხვა სოციალურ პრობლემებს ასახავს.

თუმცა, ამდენი ავანგარდული იდეის მიუხედავად, აზრთა ყველაზე მეტ სხვადასხვაობას, სავარაუდოდ, ავსტრიელი ხელოვანის, რობერტ ჯელინეკის წამოწყება გამოიწვევს. ის აპირებს ქალაქის სკვერებში პლანის 70 ათასი ნერგი დარგოს. პოლიციამ ავსტრიელი უკვე გააფრთხილა, მაგრამ ჯელინეკს პარკების "გამწვანების" სურვილი მაინც არ დაკარგვია. "მთავარი იდეა ხელოვნებას უკავშირდება. თორემ, მე არც პლანის და არც ნარკოტიკის აქტივისტი ვარ", - აცხადებს ავსტრიელი.

წელს "დოკუმენტა" 15 სექტემბრამდე გასტანს.





# ქართველიშვილები

## სკოლა

ბიძინა მაყაშვილი

ჩემი სახელია გიორგი ქართველიშვილი. მე ვცხოვრობ თბილისში. თბილისი არის მზიური საქართველოს დედაქალაქი. ის მდებარეობს მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზე. მამაჩემი მესაფლავეა. ეს ძალიან სასარგებლო სამუშაოა, რადგან რამდენი ადამიანიც იბადება, ზუსტად იმდენივე კვდება. დედაჩემი ფოსტალიონია. ესეც ძალიან სასარგებლო სამუშაოა, რადგან ის ყოველდღე, კვირის გარდა, ურიგებს მოსახლეობას გაზეთებს (ამ გაზეთებს ჩვენი ოჯახი ტუალეტშიც იყენებს), წერილებს და სიხარულს. ჩემი და ხუთი წლის არის და ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით, როცა საწოლშია. ის ყოველდღე დადის კიროვის სახელობის საბავშვო ბაღში. მე ვსწავლობ 1372ა საშუალო სკოლის მეექვსე-მესამე კლასში. მე ყველა საგანში ფრიადი მაქვს ფიზკულტურის გარდა, იმიტომ რომ, ფორმის მაისურს ნახვრეტი აქვს. თუ ფრიადოსანი გავხდები, მამა ფერად რადიოს მიყიდის. მე ყველა პედაგოგი მიყვარს, განსაკუთრებით კი ინგლისურის მასწავლებელი დებორა კარლოვნა; იმიტომ რომ, მას ყველაზე მოკლე კაბა აცვია და არც ულვაშები აქვს. ოჯახში ჩვენი ყველაზე საყვარელი საჭმელია მარილიანი მოხარშული მაკარონი, ხოლო ჩემი საყვარელი ხილია კიტრი, იმიტომ რომ, როგორც დედაჩემი ამბობს, მასში ბევრი ვიტამინია და თანაც გარეგნულად ძალიან ჰგავს ბანანს. ჩვენ ცხრა სართულიანი სახლის ბოლო სართულზე ვცხოვრობთ და როცა წყალი არ მოდის, სახურავიდან ვაგროვებთ ხოლმე. ჩვენ გვაქვს ერთნახევარი ოთახი და პატარა აივანი. აივანს ზამთრობით მაცივრად ვიყენებთ, ზაფხულობით – კურორტად. გასული კვირაც ისევე კარგად გავატარე, როგორც ყველა სხვა. დედა სახლში დარჩა და სადილისთვის მაკარონის ხარშვა დაიწყო, მამამ კი მე და ჩემი და ვაკის პარკში წაგვიყვანა. პარკის კიბეებზე სკოლის ამხანაგი შემხვდა (ალბათ ისიც ახლა ჩემსავით წერს თემას:"როგორ გავატარე ეს კვირა"), რომელმაც პირიდან კევი გამოიღო და ნახევარი მიწილადა. ხუთი წუთის ღეჭვის შემდეგ კევის ნახევარი ჩემ საყვარელ დაიკოს გავუყავი. ატრაქციონებთან რომ მივედით, კარუსელის გამშვები მამის კლასელი აღმოჩნდა, რომელიც 23 წელი არ ჰყავდა ნანახი. მათ ისე გაუხარდათ ერთმანეთის ნახვა, რომ კარუსელის ძიამ სხვა ბავშვები გაყარა კარუსელიდან და მხოლოდ მე და ჩემ დას ჩაგვირთო; თვითონ კი არყის დასალევად პარკის კაფესკენ გაემართნენ. კარუსელზე ორნახევარი საათის ტრიალის შემდეგ ჩემ დას ღებინება დააწყებინა. ოთხი საათის შემდეგ მეც იგივე პროცესი დამეწყო. საბედნიეროდ ჩვენი ტანჯვის მეხუთე საათზე დენი გამოირთო. უკვე საკმაოდ ბნელოდა, მაგრამ ჩვენ მაინც მოვახერხეთ მამაჩემის და მისი ამხანაგის პოვნა. მათ ეძინათ ახლომდებარე ბუჩქებში საკუთარი ნარწყევის და არყის ბოთლების გარემოცვაში. ჩვენ გავაღვიძეთ მამა და სახლში წავედით. დედას ძალიან გაუხარდა ჩვენი დანახვა და ყველანი ძალიან ბედნიერები ვიყავით. სანამ ცივ მაკარონს მივირთმევდით, რადიოში ვუსმენდით მეორე დღის ტელე-პროგრამას. აი, ასე საინტერესოდ გავატარე ეს კვირა დღე.

გაგრძელება შემდეგ შაბათს







# „ბოჰემა„ ლონდონური წვიმის ფონზე

ლონდონის ოპერის სამეფო სახლმა გადაწყვიტა, მარტო მდიდრების სმენა აღარ დაატკბოს. ამ მიზნით ქოვენთ გარდენზე, თეატრის უკან მდებარე მე-19 საუკუნის სკვერში უფასო წარმოდგენები ეწყობა. პირველად მსგავსი ექსპერიმენტი 1987 წელს ჩატარდა, როცა ქოვენთ გარდენზე პუჩინის "ბოჰემის" სანახავად მაყურებელს კაპიკიც არ გადაახდევინეს. მაშინ როდოლფოს მთავარ როლს პლაჩიდო დომინგო ასრულებდა. წელს კი მის ნაცვლად მექსიკელი რამონ ვარგასი თამაშობს.

"ბოჰემის" პირველი წარმოდგენა ლონდონური წვიმის ფონზე წარიმართა. თუმცა, ოპერის მოსმენის სურვილი იმხელა იყო, რომ პუბლიკას დაშლა არც უფიქრია. "აქ ჩვეულებრივ წარმოდგენებზე ბალკონის ბილეთიც კი 40 ფუნტი ღირს. საზოგადოების უდიდესი ნაწილი ამ თანხას ვერ იხდის. ასე რომ, ეს წამოწყება ნამდვილად ყველას მოგვწონს", - აცხადებს პატრიცია, რომელიც იქვე, ფლიტ სტრიტზე ერთ-ერთ ოფისში ბუღალტრად მუშაობს. რა თქმა უნდა, ქოვენთ გარდენის წარმოდგენებს თავისებურ განწყობას და მიმზიდველობას ფანტასტიკური დარბაზიც ძენს. თუმცა, პუბლიკა ღია ცის ქვეშ ჩატარებული სანახაობითაც კმაყოფილია. ოპერის ბოლომდე აღქმაში მაყურებელს ეხმარება დიდი ეკრანიც, რომელზეც სცენას სხვადასხვა რაკურსით უჩვენებენ.



*ლონდონის ოპერის სამეფო სახლი*

REUTERS



რეჟისორი და მეტყველების პედაგოგი მანანა ბერიკაშვილი ლევან ხერხეულიძის ფოტო

# როგორ ჟღერს ყოფითი ქართული

## კინოენის სიძნელეები

ნინო სვანიძე

დაახლოებით 3-4 წელია, რაც ქართულმა ტელეარხებმა უცხოური ფილმების ქართულად გახმოვანების მისია იტვირთეს. ეს ბუნებრივი და გარდაუვალი პროცესი, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში მანამდე საკმაოდ მწირი გამოცდილება ჰქონდა, უმალ იქცა საზოგადოების განსჯის საგნად. რა დასამალია, რომ მაყურებელთა დიდი ნაწილი ქართულად აჟღერებულ ფილმებს ამრეზით უყურებს. მიაჩნიათ, რომ ქართული კინოენა ყურს ეხამუშება. ზოგი თარგმანის ხარისხს უჩივის, ზოგიც – გახმოვანების რანგს. ვილაცეები უფრო მეტ კატეგორიულობასაც იჩენენ და ამბობენ, რომ ქართული, რუსულთან შედარებით, საერთოდ მოუქნელი ენაა და ამიტომაც ჟღერს თარგმანში ცუდად.

ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ანეკდოტებად ქცეულ ძველ კინოთარგმანებთან შედარებით (სამაგალითოდ ამ ფრაზების გახსენებაც საკმარისია: "თავს ნუ იკატუნებთ, კლოს", ან "დაუტყლაშუნე, კრის"), დღეს კინოტექსტის თარგმანი გაცილებით სოლიდურად ჟღერს, თუმცა საზოგადოების ახლანდელი აზრიც არაა უგულველსაყოფი. მაყურებელს უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად აქვს, ოლონდ ყოველივე ეს მთარგმნელებისა და გამხმოვანებლების უუნარობით, ან ქართული ენის ვითომ უსაშველო მოუქნელობით ვერ აიხსნება.

ქართულ სალიტერატურო ენას არც მოქნილობა აკლია და არც ლექსიკური სიმდიდრე, ოლონდაც ლიტერატურა ლიტერატურაა, თეატრი – თეატრი, კინოს კი, აღმოჩნდა, რომ სულ სხვაგვარი, თავისებურად უშუალო და ბუნებრივი, ყოველდღიური სალაპარაკო ენა უფრო უხდება.

როგორია ეს ყოველდღიური, სალაპარაკო ქართული? არა სლენგი – უბრალო ქუჩური ჟარგონი, არამედ თავაზიანობის ფარგლებში საურთიერთო, უშუალო, ყოფითი ენა. საერთოდ თუ არსებობს იგი ამ სახით, რატომ ვერ დამკვიდრდა იგი კინოში, ან პირიქით, შეუძლია თუ არა კინოს ასეთი ენის ყოველდღიურ მეტყველებაში დამკვიდრება. რა გავლენას ახდენს ეს ყოველივე ინტონაციასა და საუბრის მანერაზე და საერთოდ, სად მკვიდრდება ეს ენა.

ამ საკითხებზე ვესაუბრეთ რეჟისორსა და მეტყველების პედაგოგს მანანა ბერიკაშვილს. თავისი მოსაზრება გაგვიზიარა კინომცოდნე და გადაცემა "ფსიქოს" ავტორმა გოგი გვახარიამაც.



კინომცოდნე გოგი გვახარია ლევან ხერხეულიძის ფოტო

**მანანა ბერიკაშვილი**: "მე ვიზიარებ იმ აზრს, რომ ქართული ენა, ჩვენივე ხასიათის შესატყვისად, თავისთავად თეატრალიზებული ენაა, რუსული ბევრად მიწიერია. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენმა სალაპარაკო ენამ რეალურად განიცადა რუსულის გავლენა და ალბათ უკვე ინგლისურის გავლენასაც განიცდის. ყოველდღიური სამეტყველო ქართული რუსული ბარბარიზმებითაა სავსე, რაც თუნდაც თარგმანში გამორიცხულია. ჩვენი ყური კი, ისეა ამ ბარბარიზმებს შეჩვეული, რომ წმინდა ქართული სიტყვები გვეხამუშება. უცხოური კინოს ქართულად გახმოვანებას საქართველოში ძალიან ცოტა ხნის ტრადიცია აქვს და, ბუნებრივია, დახვეწას საჭიროებს. სრულიად ვეთანხმები იმ მაყურებელთა აზრს, ვინც კინოენისგან მეტ ბუნებრიობას მოითხოვს. არ შეიძლება კინო-ფილმის ტექსტი თეატრალური სპექტაკლის ტექსტივით ჟღერდეს. კინო მსხვილი ხედის ხელოვნებაა და არაბუნებრიობას, ყოფისაგან მოწყვეტას ვერ გუობს. ქართულად გახმოვანებულ უცხოურ ფილმებში, მსახიობების მეტყველებაში მართლაც ისმის ხოლმე არაბუნებრივი, თეატრალურად პათოსური ინტონაციები. ეს ალბათ იმის ბრალიცაა, რომ ჩვენ კინომსახიობები არ გვყავს. საქართველოში არ არსებობს კინოს ინსტიტუტი. ყველა ქართველი მსახიობი კინოში თეატრიდან მიდის. მსახიობების ინტონაციაზე, ალბათ, ტექსტის გაუმართაობა – არაბუნებრიობაც მოქმედებს. კარგად მესმის, რომ მთარგმნელებისთვის დიდი სირთულეს წარმოადგენს სალიტერატურო ენასა და ქუჩურ მეტყველებას, რუსულ ბარბარიზმებსა და ქართულ ტერმინებს შორის კინოსათვის მისაღები ბუნებრივი შუალედის გამონახვა, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ქართველებმა ქართული ცუდად ვიცით – ნაკლებს ვკითხულობთ. თუკი ოთარ ჭილაძე და გურამ დოჩანაშვილი ახერხებენ სალიტერატურო ენის ასე ლამაზად გაუშუალებას, ჩემი აზრით, კინოენასაც ეშველება.

ძნელი სათქმელია, კინოსა და პოპულარული სატელევიზიო გადაცემის საშუალებით უნდა დამკვიდრდეს ყოფითი ენა, თუ პირიქით – ყოფამ უნდა შეიტანოს თავის ენა კინოსა და ტელევიზიაში. ალბათ ეს ორმხრივი პროცესი უნდა იყოს, ოლონდ, ვფიქრობ, ამ მხრივ თანამედროვე მწერლობასაც დიდი ფუნქცია აკისრია. საერთოდ, განათლების გარეშე – ის ყოფითი, უშუალო ენაც მდაბიურ მეტყველებას უფრო დაემსგავსება. დღეს, ზოგი გასართობი არხი თითქოს უშუალო მეტყველებისა და ინტონაციების დანერგვას ცდილობს. ჩემი აზრით, მათი სამეტყველო ენა და ინტონაციები ვერაფერ ახალს ვერ დაამკვიდრებს, რადგან თავადაა – მაპატიეთ ამ გამოთქმისთვის – ჩვენში გავრცელებული გაუნათლებელი და მდაბიოდ-ფამილიარული მეტყველების გადმომღერება. ამ ტიპის რუსულ გადაცემებს თუ დავაკვირდებით, ტელეწამყვანების უშუალობის მიღმა მათ განათლებასა და გემოვნებასაც დავინახავთ. სამწუხაროდ, ჩვენ ყველაზე მეტად ეს გვაკლია..."

**გოგი გვახარია**: "ფსიქოში" წარმოდგენილ ფილმებს მე თვითონ ვთარგმნი და თავადვე ვახმოვანებ. ბუნებრივია, კინოენა სრულიად განსხვავდება სალიტერატურო ენისგან და გაცილებით უშუალო უნდა იყოს. პირადად მე, აუცილებლად მიმაჩნია, რომ ფილმის მთარგმნელს კინო კარგად ესმოდეს. ვფიქრობ, მთარგმნელი თითოეული პერსონაჟის ხასიათსაც უნდა ითვალისწინებდეს და ამის მიხედვით ირჩევდეს – იტყოდა თუ არა, ესა თუ ის პერსონაჟი ამა თუ იმ სიტყვას, გამოიყენებდა თუ არა შესაბამის გამოთქმას. რასაკვირველია, ქართული ენის კარგად ცოდნაც ფრიად მნიშვნელოვანია. საერთოდ, კარგად გადათარგმნილ და გახმოვანეულ ფილმზე ბევრი ადამიანი უნდა მუშაობდეს. ამის შესაძლებლობები დღეს ჩვენ არ გვაქვს, ამიტომაც, ფილმს როცა ვთარგმნი, არაოფიციალურად მაინც ვამოწმებ ხოლმე ზოგიერთ ჩემთვის საეჭვო სიტყვას ან გამოთქმას ფილოლოგ მეგობრებთან, ან თანამშრომლებთან.

ზოგიერთი ფილმის სპეციფიკაც. არსებობს, მაგალითად ასეთი ფრანგი რეჟისორი ერიკ რომერი. მის ფილმებში თითოეულ სიტყვას, სიტყვების კომბინაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ფრანგული, მოგეხსენებათ, ძალიან კონკრეტული ენაა, ნიუანსებზე აგებული, ამიტომ ხშირად, ასეთი ფილმის გადმოქართულებისას, სიტყვების მორგებას ვერ ვასწრებ, რადგან ერთ ფრანგულ სიტყვას სამი ქართული სიტყვა უნდა მივუსადაგო. კიდევ ვიმეროებ, ქართულის მცოდნე კონსულტანტი და კინოში გარკვეული მთარგმ ნელი ერთობლივად უნდა მუშაობდნენ.

უშუალო, ყოველდღიური ენის დამკვიდრების თვალსაზრისით, ჩვენი მიზანიც სწორედ ისაა, რომ ეთიკის ფარგლების დაცვით, ყველა თაობისთვის მისაღებ, ყველასთვის გასაგონ ენაზე ვისეაუბროთ.

რუსულ ბარბარიზმებსა და ქართულ მეტყველებაში უკვე დამკვიდრებულ არაგრამატიკულ გამოთქმებს რაც შეეხება, მომხრე ვარ – კინომ ცოცხალი ენიდან უფრო ისარგებლოს. მაგალითად – სიტყვა «юбка»-ს თარგმნისას "ქვედაბოლოს" გამოყენებას, ნაცვალსახელის ხმარებას ვამჯობინებ – "ქვედაბოლო გაიხადე"-ს ნაცვლად "ეგ გაიხადე"-ვამბობ. არადა, რა მოხდა, - თუ ენაში რეალურად დამკვიდრდა რაიმე რუსული სიტყვა?! ვფიქრობ, ტრაგიკული ამაში არაფერია. სპარსული და არაბული კალკი თუ შევითვისეთ, რუსულმა რაღა დააშავა?! თუნდაც ისევ ქართული სიტყვა იყოს. პირადად მე, "გამარჯობა, ძვირფასო ტელემაყრებლებო" - უფრო მაღიზიანებს, ვიდრე ცოცხალი და უფრო ბუნებრივი – "გამარჯობათ"... არსებობს ისეთი გამოთქმები, რომლებსაც ცოცხალი მეტყველება ბუნებრივად ითვისებს და არა მგონია, ამ მოვლენასთან ბრძოლა საჭირო იყოს. ეს რეალური პროცესია. სასაუბრო და უშუალო ქართული ენის ფორმებს ალბათ დროთა განმავლობაში ცხოვრება კინოს მიაწვდის და კინოც თავის მხრივ განავითარებას საყოფაცხოვრებო ენას...

გადათარგმნილ ფილმში ინტონაციის არაბუნებრიობა იმის ბრალიცაა, რომ ქართველ მსახიობებს სპეციალური კინოგანათლება არ გააჩნიათ. მაინც მგონია, რომ, სანამ გახმოვანებას დაიწყებდნენ, მსახიობებმა რეჟისორი და თავიანთი პერსონაჟიც უკეთ უნდა გაიცნონ. მაგალითად, ფასბინდერი ბრეხტის ესთეტიკის მატარებელი რეჟისორია. მის ფილმებს ირონიული პათეტიკა უხდება კიდეც. ამავე დროს, არსებობს ფილმები, სადაც ინტონაციის თეატრალიზება ყოვლად დაუშვებელია.

სხვათა შორის, ჩვენი მაყურებელი ერთის მხრივ კინოში არაბუნებრივი ენის წინააღმდეგია, მეორეს მხრივ კი – თამამი გამოთქმების გამოყენებას უარყოფს. ბევრს დღემდე ეხამუშება მაგალითად, ფილმში უკანალის ნაცვლად შესაბამისი სიტყვის ხმარება, მე კი მგონია, რომ პირველი ვარიანტი უფრო სასაცილოდ თან არაბუნებრივად ჟღერს. გარკვეულ სირთულეს ესეც ქმნის. გასათვალისწინებელია

საერთოდ, ჩემი ოცნებაა - ფილმები სუბტიტრებით გადაითარგმნოს. დღეს ამის შესაძლებლობა არ გაგვაჩნია – ძვირი ჯდება, თორემ, რა სჯობს – როდესაც მსახიობის ნამდვილი ხმა ისმის. თან უცხო ენის შესასწავლად ამაზე კარგი საშუალება არ არსებობს. გარდა ამისა, ამით, გახმოვანებისას ინტონაციურ უხერხულობასაც ავიცდენდით... ტიტრის ენის დახვეწაც უფრო უმტკივნეულოდ მოხდებოდა."



კადრი ფილმიდან



კადრი ქუჩიდან ლევან ხერხეულიძის ფოტო

# მისი უდიდებულესობა ბუფეტი

ანა კორძაია-სამადაშვილი



მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში ბაქოს რკინიგზის სამმართველოში მომუშავე აპოლონ მონასტირსკიმ თბილისში სამი სახლი ააშენა. ერთი ახლანდელი ბოჭორიშვილის ქუჩაზე დგას, მეორე – აღმაშენებელზე, 38-ე საშუალო სკოლასთან, მესამე კი – ციმაკურიძეზე. თუმცა ეს უკანასკნელი თავად მონასტირსკებს ყველაზე უბადრუკად მიაჩნდათ, მისი ბედი ძალიან ჰგავს ამ ძველი ოჯახის ბედს.

აპოლონ მონასტირსკის მეუღლე იყო ქალბატონი ფელიცია, ასევე პოლონელი, თავადის ქალი. ის ცნობილი ექიმი ყოფილა, ამიტომ ციმაკურიძის, იმხანად ანაგის ქუჩაზე აშენებულ სახლში, რომელიც საუკუნის დასაწყისის თბილისის გზამკვლევში იმ დროს უკვე დაქვრივებული ფელიცია მონასტირსკაიას სახლადაა მოხსენებული, საავადმყოფო იყო გახსნილი.

ფელიციას ოთხი შვილი ჰყავდა: კლავდია, ვლადიმერი, გერმანე და ევსტათი. 1914 წელს კლავდია მენინგიტისგან გარდაიცვალა, და იმ დღიდან მონასტირსკების ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა: ქალბატონმა ფელიციამ შვილის სიკვდილი ვერ გადაიტანა და ორი დღის შემდეგ თავი მოიკლა, დედა-შვილი ერთად დაკრძალეს. ობლად დარჩენილ სამ ვაჟს მეურვეები დაუნიშნეს. სწორედ ამ მეურვეების წყალობა იყო, რომ მონასტირსკებმა სამივე სახლი დაკარგეს – მეურვეები გადასახადებს თავს არიდებდნენ.

რამდენიმე წლის შემდეგ უფროსმა ძმამ, ვლადიმერმა, ყოფილი საავადმყოფოს გამოსყიდვა შეძლო. ვინაიდან ევსტათი 1916 წელს დონის როსტოვში დაიღუპა, გერმანე კი ყირიმში გადავიდა საცხოვრებლად, სახლი ვლადიმერის ოჯახს დარჩა.

ვლადიმერმა უკრაინელი ნადეჟდა პეტრეს ასული ზოლოტჩენკო ითხოვა ცოლად. 1920 წელს გაუჩნდათ ქალიშვილი, რომელსაც გარდაცვლილი მამიდის პატივსაცემად კლავდია დაარქვეს. მეორე ქალიშვილის სახელი, დონარა, მამის რევოლუციური მრწამსის შედეგი იყო - дочь освобожденного народа. ქ-ნი ნადეჟდა ყვებოდა, რომ დიდი ხნის განმავლობაში ვერ იმახსოვრებდა ქალიშვილის სახელს, კედელზე ჰქონდა წარწერა გაკრული.

30-იანი წლებიდან მონასტირსკების სახლში შესახლება დაიწყო. პირველ სართულზე 4-5 ოჯახი ცხოვრობდა ხოლმე. შესახლებული ოჯახები ხშირად იცვლებოდნენ, ხოლო როგორ შვენის სახლს კომუნალური არსებობა, თავადაც მოგეხსენებათ.

ამასობაში მონასტირსკაიას ქალები გათხოვდნენ. კლავდია გაყვა გიორგი სიმონიანს, დონარა - ლევან ბერუჩაშვილს. კლავდია, ლევანი და გიორგი ერთად სწავლობდნენ სამედიცინო ინსტიტუტში და ომშიც ერთად წავიდნენ.

კლავდია ბელორუსიის პირველ ფრონტთან ერთად ბერლინამდე მისულა და მხოლოდ 1967 წელს შეძლო ვაჟთან ერთად თბილისში დაბრუნება.

1995 წელს უკანასკნელმა მონასტირსკაიამ, ქალბატონმა კლავდიამ, საქართველო დატოვა, სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრა და იქ გარდაიცვალა. სახლი ციმაკურიძის ქუჩაზე სუთიძეებმა შეიძინეს.

1999 წელს ციმაკურიძის ქუჩაზე მდგარი აივნიანი სახლის კაპიტალური რემონტის დროს მუშებმა საძირკველში ჩაყოლებული მონეტები ამოიღეს. ხურდა ფულს ოჯახისთვის ბარაქა უნდა მოეტანა. რუსულ მონეტებთან ერთად იქ სპარსული ფულიც აღმოჩნდა – აპოლონ მონასტირსკის ბაქოური წარსულის კვალი. სახლის ყოფილი მფლობელის თქმით, კუთხეებში ოქროს ფული იყო ჩადებული, მაგრამ კუთხეების ნგრევამდე საქმე არ მისულა. სახლის ახლანდელი მფლობელები, ქეთევან კორძახია და ირაკლი სუთიძე, სიამოვნებით ყვებიან თავიანთი სახლის ამბავს.

ცხადია, ცნობილი მხატვრისა და ხელოვნებათმცოდნის საცხოვრებელი ფერწერული ტილოებითაა დამშვენებული და ეს თავისთავად ძალიან შთამბეჭდვია. სტუმრად მისული მოხიბლული დარჩებით მისი ზღაპრული ცხოველებით, კეთილმოსურნე დევებით, ჯადოსნური ჟღალი ქალებით. აქ ისინი სულ სხვაგვარად გამოიყურებიან, ვიდრე საგამოფენო დარბაზში – არაოფიციალურად. ამ "შინაურობის" განცდას ისიც ხელს უწყობს, რომ დევებისა და მისი ცოლების მეზობლად ირაკლის ცხენების, კავკასიური ნაგაზის თუთასა და მისი მრავალრიცხოვანი ლეკვების ფოტოპორტრეტები კიდია.

სახლში ერთგვარი შუასაუკუნეობრივ-მონასტრული სული ტრიალებს და ის არაფრით გავს ახალგარემონტებულ სამყოფელს: შვიდი მეტრის სიმაღლის შესასვლელი ასიმეტრიული სარკმელით, უხეშად შელესილი კედლები, იდუმალი განათება. სამზარეულოს სრულიად მოულოდნელი იერი აქვს, ინტერიერში ლურჯი ფერი ჭარბობს და რატომღაც ბავარიული სოფლის სამზარეულოს ასოციაციას იწვევს.

წლების განმავლობაში ხელიდან ხელში გადამავალი სახლის ცალკეული ნაწილები სრულიად სავალალო მდგომარეობაში იყო – ჩამოშლილი კედლები, წაქცეული კიბე, გაფუჭებული სახურავი. სწორედ ამის გამო მრავალი რამ მთლიანად გადასაკეთებელი გახდა: გაუქმდა ეზოში შესასვლელი თაღი, მეორე სართულის კუთხის ოთახში გაკეთდა სააბაზანო ("კალიგულას აბაზანა", როგორც მას მეგობრები უწოდებენ ხოლმე). მაგრამ ორი ოთახი და აივანი ხელუხლებელი დარჩა – სახლის წარსულის პატივსაცემად და იმის გამო, რომ უფრო ლამაზს ვერავინ გააკეთებდა.

**ირაკლი სუთიძე**: "რემონტის დროს სახლიდან უამრავი ნაგავი გავიტანეთ. ერთ რამეში ძალიან შევცდით – სართულებს შორის მიწა ავიღეთ, ვითომდა ჭერის ასამაღლებლად. ახლა ზევიდან ყოველი ნაბიჯის ხმა ისმის, მაგრამ რაღას ვიზამთ."

მეორე სართულის დერეფანში ქეთევან კორძახიამ ყვავილნარი გააკეთა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი გვიმრაა – უზარმაზარი და ხასხასა მწვანე.

**ქეთი კორძახია**: "რომ გავივლი ხოლმე, ვეხვევი და შევძახი: "ჩემო ყველაზე ლამაზო!" ამიტომაა ასეთი".

სახლის ყოფილ მფლობელთან საუბარში გაირკვა, რომ მონასტირსკებსაც ათასგვარი მცენარე ჰქონდათ შუშაბანდში გახარებული. გაირკვა ისიც, რომ აივნის რიკულები მდგმურების შესახლებამდეც გატეხილი იყო და ტყუილად ვაბრალებდით ამას რევოლუციურ შემართებას.

მონასტირსკების ჩამომავალის, ქ-ნ ნატალია ბერუჩაშვილისა და ქეთევან კორძახიას საუბარი ჩემთვის სრულიად გაუგებარი კითხვით დასრულდა: "ყური მიგდეთ, ის ისევ იქაა, მისი უდიდებულესობა ბუფეტი?" გაირკვა, რომ აღარ, ბუფეტის კვალს ვერ მივაგენით, არადა, ძალიან გვინდოდა ეს ნაშთი ძველი დიდებისა ჩვენი მკითხველისათვის გაგვეცნო.







ლევან ხერხეულიძის ფოტოები

# ქრის რი

**51 წლის ქრის რიმ გიტარა პირველად 19 წლის ასაკში აიღო. მისი სადებიუტო სინგლი, Fool (If You Think It`s Over) ჰიტი გახდა ატლანტიკის ორივე მხარეს და "გრემის" ჯილდოზე იყო წარდგენილი. მისი 80-ანი წლების ალბომს, Road To Hell უდიდესი კომერციული წარმატება ხვდა წილად, შარშან კი მეცხრამეტე დისკი – King Of The Beach გამოუშვა. ის ცხოვრობს ბერკშირში მეუღლე ჯოანთან და ქალიშვილებთან – 18 წლის ჯოზეფინასთან და 12 ქლის ჯულიასთან ერთად. ჯოზეფინამ, რომელიც მამამისის ადრეული ჰიტის გმირი იყო, წარმატებით დაამთავრა კოლეჯი. ის თვითონ ქმნის თავის T-შირთებს და იმედოვნებს, რომ მოდის ინდუსტრიაში დასაქმდება.**

**ქრისი**:"ყველა ჩემი ცუდი თვისება მაშინ გაქრა, როცა ჯოზი დაიბადა. სმას და ნარკოტიკებს თავი დავანებე – ძალიან სწრაფად გავაცნობიერე, რომ მარტო ჩემს თავზე არ უნდა მეფიქრა. ცხოვრება ახალ საფეხურზე ავიდა.უკვე აღარ შემეძლო კონცერტიდან სახლში დაბრუნება და გაუთავებლად იმაზე ლაპარაკი,თუ რა ეფექტური სოლო შევასრულე გიტარაზე. უფრო მნიშვნელოვანი იყო ბავშვის საწოლთან ჩამემუხლა და მენახა, რამე ხომ არ სჭირდებოდა.

მას შემდეგ, რაც ჩემს ცოლს, ჯოანს შევხვდი, სულ მინდოდა, მამა გავმხდარიყავი. მიუხედავად იმისა, რომ ტინეიჯერული ასაკიდან ერთად ვართ, ოჯახს მაინც შედარებით გვიან მოვეკიდეთ – ის 34 წლის იყო, მე – 33-ის. ვიცოდით, რომ ეს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა ჩემს კარიერას; განსაკუთრებით ბავშვი. ველარ ვიყიდიდი პატარა თვითმფრინავს, ან 100 ათას ფუნტიან იახტას, მაგრამ ეს არაფერი იყო ოჯახურ ბედნიერებასთან შედარებით.

საბოლოოდ მეოჯახის ძლიერი იმიჯი დამიმკვიდრდა, ხალხი დამცინის კიდეც. მათი თქმით ჩვეულებრივი მოსაწყენი მამაკაცი ვარ, მაგრამ ეს არ მაღელვებს. ინდუსტრიაში, რომელშიც ვმოღვაწეობ, უამრავი მამაკაცი სახლში თითქმის არ იმყოფება ხოლმე, მაგრამ ასეთი თამაშები აღარ მაინტერესებს. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მე მორალის სადარაჯოზე ვდგავარ; მე არ ვცდილობ ვუქადაგო სხვებს, რომ მათ გადახედონ თავიანთ ურთიერთობებს. მართალი გითხრათ, მაგრად მკიდია, თუ როგორ წამართავენ სხვები თავიანთ ცხოვრებას.

მიჭირს, აგიხსნათ, რა ხდება ჩვენს ოჯახში. ჯოზისთვის არასდროს ვყოფილვარ მკაცრი მშობელი. ვცდილობ მისთვის უფროსი ძმა ვიყო. აშკარად ვგრძნობ,რომ ჯოზისთვის ადვილია ჩემთან ლაპარაკი ისეთ პრობლემატურ თემებზე, როგორიცაა ნარკოტიკები და ბოიფრენდები. მან იცის, რომ მე არ დავიწყებ ჩვეულებრივ მამობრივ სისულელეებს.

თუ ერთ საღამოს სახლში ვინმე კოხტაპრუწა ბიჭთან ერთად მოვა, საკმარისია თვალებში ჩავხედო ჯოზის, რომ მივხვდე – ბედნიერია, თუ არა. შემდეგ ბიჭს გავიყვან გარეთ და წყნარად ავუხსნი, რა მოელის, თუ ჩემს ქალიშვილს აწყენინებს. და თუ აღმოჩნდა, რომ საკმაოდ ბებერი ან სუსტი ვარ მისთვის, მაშინ მოიძებნება უამრავი ადმიანი, რომლებიც ამას ჩემს მაგივრად გააკეთებენ. მე ნახევრად იტალიელი ვარ, ნახევრად – ირლანდიელი, ასე რომ, ნებისმიერი ბიჭი, რომელიც ჯოზისთან გაისეირნებს, მკურნალობის სრულ კურსს გაივლის.

მეც და ჯოანიც მტკიცე ოჯახებიდან ვართ. ექვსი და-ძმა მყავს. სანამ მუსიკოსი გავხდებოდი, საოჯახო ბიზნესით ვიყავი დაკავებული – მამაჩემს იტალიური სანაყინე ჰქონდა.

დედაჩემი ჯოზის დაბადებიდან მეოთხე დღეს გარდაიცვალა. იმ დღიდან ჩემი ახალი ცხოვრება დაიწყო. მე და ჯოანი სამშობიაროდან პირდაპირ ჩრდილო-აღმოსავლეთში, პანაშვიდზე გავემგზავრეთ. იქიდან ექვსი კვირით გერმანიაში უნდა წავსულიყავი გასტროლებზე. მახსოვს, ჩემთვის ვფიქრობდი, თუ ღმერთი ამ ექვს კვირას გადამატანინებს, სისულელეებს აღარასოდეს გავაკეთებ მეთქი. ჩემის აზრით, მშობლებმა ძლიერი ემოციური ინფორმაცია ჩამინერგეს, რომელსაც ახლა, ბავშვების აღზრდისას ვიყენებ. მაგალითად, ძალიან სერიოზულად მოვეკიდე ქორწინების იდეას. როცა მღვდელი ამბობს, "სიკვდილამდე" და მსგავს სიტყვებს, მე ყველაფერი მჯერა. უამრავი დანგრეული ოჯახია ირგვლივ და ეს იმიტომ ხდება, რომ ხალხი ამას სერიოზულად არ უდგება. მათ ჰგონიათ, რომ დასალევი და BMW ყველაფერია. მერე ამის გამო იტანჯებიან.

ჯოზი ის ადამიანი არ არის, ვისაც მოვლილი სახლი და ახალი სამზარეულო აინტერესებს. მასზე ვერ იტყვი, შინაური ცხოველიაო – მას თავისი ხელოვნება და მოდა უყვარს. მე არ ვაპირებ ფულის ფანტვას ყველა მისი გადარეული იდეის განსახორციელებლად, მაგრამ ნათქვამი მაქვს, რომ თავის პრინციპებს არსდროს უღალატოს; არც მამაჩემს და არც მე ამის საშუალება არ გვქონდა.

ჯოსიმ ბევრი რამ უნდა ისწავლოს ჩემი, მუშათა კლასისთვის დამახაიათებელი ძველმოდური წარსულიდან. მოდის სამყაროში რომ მოხვდეს, ბევრი უნდა იმუშაოს. მან უნდა დაივიწყოს, რომ მამამისი ქრის რია; ჩემი იმედით არ უნდა იყოს – მხოლოდ ასე მიაღწევს მიზანს.

მან ისიც მშვენივრად იცის, რომ ცრემლებად დავიღვრები, როცა სახლიდან წასვლას გადაწყვეტს. მე ხომ მაშინაც კი ვიცრემლები, როცა ის მაკიაჟს იცლის. ასეთ რამეებში ძალიან სუსტი ვარ.

მე მგონი, დაბადებიდან ტესტოსტერონის ნაკლებობას განვიცდი. შეიძლება ამიტომაც მიყვარს ქალების ოჯახურ გარემოში ცხოვრება. მიყვარს სითბო, რომელიც მათ შემოაქვთ ბინაში, მიყვარს მათ საუბარში ჩართვა. ჩემ სამ ქალს უნდა ვუმადლოდე, რომ დღეს ცოცხალი ვარ."

**ჯოზეფინა**: „მამა უფროა მეამბოხე, ვიდრე მე. არასდროს მიდის საქმე იქამდე, რომ მეგობრებთან ერთად ბარში ან კლუბში მომინდეს გაპარვა, რადგან მას თვითონ დავყავარ ასეთ ადგილებში. სწორედ ის მთავაზობს კიდევ ერთ ჭიქა დასალევს და მე კი სახლში წასვლას ვითხოვ დაძინების მოტივით.

პატარობისას ისეთი ცხოვრება მქონდა, როგორსაც ბავშვები სკოლის დამთავრების შემდეგ თუ აღწევენ ხოლმე. მამაჩემს დავყვებოდი ტურნეებზე. ვესწრებოდი კონცერტებს, წვეულებებს; ვხვდებოდი სხვა როკ-ვარსკვლავებს – ბავშვისთვის ეს წარმოუდგენელი რამ იყო. მაგრამ, როცა თინეიჯერი გავხდი, თანატოლებთან ურთიერთობის პატარა პრობლემა გამიჩნდა. მანამდე, მთელი ცხოვრება მუსიკალურ ბიზნესში დასაქმებული ხალხი მერტყა გარშემო და მათთან ლაპარაკი უფრო მიადვილდებოდა, ვიდრე ბავშვებთან.

ჩემს ამხანაგებს უყვართ ჩვენთან სტუმრობა და მამაჩემთან ლაპარაკი. ვითომ ჩემთან მოდიან, სინამდვილეში კი მთელი საღამო სამზარეულოს მაგიდასთან მამაჩემს ელაპარაკებიან. ბევრი მათგანი პატივისცემით ეკიდება მის ნათქვამს და მის საქმიანობას. მათ კარგად იციან , რომ მუსიკალურ ბიზნესში ბევრი ნარკოტიკი იყო, ამიტომ ყურადღებით უსმენენ მის რჩევებს. ისე, მგონი მამაჩემსაც მოსწონს ბავშვებთან ურთიერთობა. ადრე მასწავლებლებიც უცნაურად იქცეოდნენ მამას მიმართ. როცა ავად გავხდებოდი, სკოლის ექთანი დღეში ათჯერ მაინც გვირეკავდა სახლში მხოლოდ იმიტომ, რომ ავტომოპასუხეზე მამაჩემის ხმა გაეგო. ეს ყველაფერი ცოტათი მაღიზიანებდა.

ახლა ვხვდები, რა ფრთხილად უნდა შეარჩიო მეგობრები, როცა შენი მშობლები მუსიკოსები არიან, ტელევიზიაში მუშაობენ, ან მსგავს საქმეს აკეთებენ. ბევრს იმიტომ უნდა ჩემი გაცნობა, რომ მამაჩემს შეხვდეს.ერთხელ ერთმა ბიჭმა მითხრა, რომ სწორედ ამიტომ მხვდებოდა. გულახდილი საქციელის მიუხედავად, ის მაინც მოვისროლე. უკვე მესმის, რატომ ირჩევენ ცნობილი პიროვნებები საამხანაგოდ სხვა ცნობილ ადამიანებს – ასე უფრო დაცულები არიან. სინამდვილეში მამაჩემი ვერ იტანს, როცა "სახელგანთქმულად" და "ვარსკვლავად" მოიხსენიებენ. ხანდახან ის ქრის რიზე მესამე პირში ლაპარაკობს.

ის კარგად ახერხებს, რომ ფრთები არ გამომებას. ცხადია, დროდადრო შოუბიზნესის ხალხთან სიარული კარგია, მაგრამ მამასგან ვიცი, რომ ამ სამყაროში ხშირად ბინძური ამბები ხდება. მან ეს თავისთავზე გამოსცადა.

ვიცი, არიან ადამიანები, რომლებიც ელოდებიან მომენტს, რათა გამაშავონ მხოლოდ იმიტომ, რომ მამაჩემის შვილი ვარ. თუნდაც სტელა მაკარტნი ავიღოთ. ხალხის მიხედვით მან იმიტომ ჩაიგდო ხელში კარგი სამსახური, რომ პოლის შვილია. თუნდაც სიმართლე იყოს, როგორ გგონიათ – გუჩი დიზაინერად მხოლოდ მამისის გამო აიყვანდა? ბალხი თვლის, რომ მამა გზას მიკვალავს, მაგრამ რა ვქნა? ვერაფერს ცუდს ვერ ვხედავ იმაში, რომ მაღალი პროფესიონალიზმის გამო, მამაჩემი დიდ ფულს აკეთებს.

სინამდვილეში მამა ძალიან უფრთხილდება ფულს. მან გამაგებინა, რომ ფული არ არის გადასაყრელი. ის ვერ იტანს უაზრო ფლანგვას.

მშობლებთან ყოფნა მიყვარს; მიყვარს მათთან ერთად არდადაგების გატარება. ისინი დისკომფორტს არ მიქმნიან. სულ მიკვირს, როგორ შეძლეს ამდენ ხანს ასეთი თბილი ურთიერთობების შენარჩუნება. ჩემს კლასში,თუ არ ვცდები, მშობელთა 50 პროცენტი გაცილებულია, მუსიკალურ ინდუსტრიაში კი ეს რიცხვი მგონი 90 პროცენტს აღწევს. რომ არა მშობლები, ალბათ ქორწინებისადმი რწმენას დავკარგავდი. ძირითად ვერც ვგრძნობ, რომ მშობლები მყავს; ისინი უფრო უფროსი მშობლები არიან და მე და ჯულიას "ძლიერი მშობლიური გრძნობით" არ გვახრჩობენ."











# სალი

აიზეკ აზიმოვი

სალი ტბისკენ მიმავალ გზას მიუყვებოდა, მე ხელი დავუქნიე და დავუძახე. ყოველთვის მსიამოვნებდა მისი დანახვა. რა თქმა უნდა, სხვებიც მომწონდა, მაგრამ სალი უდავოდ, ყველაზე მომხიბლავი იყო მთელს კომპანიაში. ხელი რომ დავუქნიე, სვლას უმატა. მის მოძრაობაში არაფერი იყო ვულგარული. ასეთი რამ არასოდეს ახასიათებდა. უბრალოდ ოდნავ მოუმატა სიჩქარეს რომ ეჩვენებინა, რომ მასაც გაუხარდა ჩემი დანახვა.

ჩემს გვერდით მდგომ ადამიანს მივუბრუნდი და ვუთხარი:

- ეს სალია.

მან გამიღიმა და თავი დამიკრა. მისის ჰესტერის მოყვანილი იყო.

- ჯეიკ, ეს მისტერ გელჰორნნია, - გამაცნო მან - თუ გახსოვთ, წერილი რომ გამოგზავნა, შეხვედრა რომ გთხოვათ?

სინამდვილეში, მისის ჰესტერმა მშვენივრად იცოდა, რიმ ის წერილი არ წამიკითხავს. ფერმაზე მილიონი საქმე მაქვს და ფოსტაზე დროის დაკარგვა ნამდვილად არ შემიძლია. მისის ჰესტერი ამისთვის დავიქირავე. ის ახლოს ცხოვრობს და იოლად უმკლავდება ფოსტით მოსულ ათას სისულელეს და, რაც მთავარია, მოსწონს სალი და დანარჩენები. არის ხალხი, ვიზეც იგივეს ვერ იტყვი.

- დიდად სასიამოვნოა თქვენთან შეხვედრა, მისტერ გელჰორნ, - ვუთხარი მე.

- რაიმონდ ჯ. გელჰორნი, - დააზუსტა მან და ხელი გამომიწოდა.

ზორბა კაცი იყო, ნახევარი თავით ჩემზე მაღალი და მხარბეჭიანი. ასაკით ორჯერ უმცროსი იქნებოდა, - ასე, ოცდაათი წლის. გულმოდგინედ გადავარცხნილი ორად გაყოფილი შავი თმა და აკურატულად შეკრეჭილი თხელი ულვაში ამშვენებდა. ყბები ისე ჰქონდა გამოზნექილი, გეგონებოდა, ყბაყურა სჭირსო. კინოში რომ ეთამაშა, ავაზაკის როლი მოერგებოდა, ამიტომაც დავასკვენი, რომ ცუდი კაცი არ უნდა ყოფილიყო. კინოს ნდობა ყოველთვის შეიძლება, თუკი იცი როგორ მიუდგე საკითხს.

- მე მქვია ჯეიკობ ფოლკერსი, - მივუგე - რით შემიძლია გემსახუროთ?

გამიღიმა.

- თუ შეიძლება, მიამბეთ ცოტა რამ თქვენი ფერმის შესახებ.

ზურგსუკან მოახლოებული სალის ხმა მომესმა და ხელი გავიშვირე. ის შემეხო და მისი ფრთის მკვრივი, გლუვი ზედაპირის შეგრძნებამ მტევანი გამითბო.

- ლამაზი ავტომობილია, - თქვა გელჰორნმა.

სალი იყო 2045 მოდელის კაბრიოლეტი ჰენის-კარლტონის პოზიტრონული მოტორით და არმატის შასით. არსად მინახავს მისნაირი დახვეწილი და პროპორციული ფორმები. ამ ხუთი წლის წინ მოიყვანეს ჩვენს ფერმაში, - ჩემი საყვარელი მანქანა იყო და ყველა კონსტრუქციული გაუმჯობესებით მყავდა აღჭურვილი. ამ ხუთი წლის განმავლობაში არავინ მჯდარა მის საჭესთან.

- სალი, - ვუთხარი და ნაზად მოვუთათუნე ხელი, - გაიცანი მისტერ გელჰორნი.

სალის მოტორის ხმა ერთი ტონით შეიცვალა. ყოველთვის დიდი ყურადღებით ვუსმენ ხოლმე ჩემი მანქანების ხმას. ამ ბოლო დროს თითქმის ყველა ავტომობილის ძრავში ისმოდა კაკუნი, და ზეთის გამოცვლა სრულებით არ აუმჯობესებდა მდგომარეობას. მაგრამ ამჯერად, სალის მოტორი უნაკლოდ მუშაობდა.

- ყველა თქვენს მანქანას არქმევთ სახელს? - მკითხა გელჰორნმა.

დამცინოდა. მისის ჰესტერს კი, არ უყვარს, როცა ჩვენს ფერმას დასცინიან. ამიტომ გესლიანად უთხრა:

- რა თქმა უნდა, რამეთუ მანქანებსაც თავიანთი ინდივიდუალურობა გააჩნიათ, ასე არ არის, ჯეიკ? ყველა სედანი ბიჭია, ხოლო ყველა კაბრიოლეტი - გოგო. - გელჰორნს კვლავ გაეცინა.

- და ცალ-ცალკე გარაჟებში ათავსებთ, ქალბატონო? - მისის ჰესტერმა გამანადგურებელი მზერა ესროლა.

გელჰორნი მე მომიტრიალდა:

- შეიძლება, ცალკე დაგელაპარაკოთ, მისტერ ფოლკერს?

- გააჩნია, რის შესახებ - მივუგე - რეპორტიორი ბრძანდებით?

- არა, სერ. სავაჭრო აგენტი ვარ. ის, რაზეც უნდა გესაუბროთ, საგაზეთო თემა არ არის. გარწმუნებთ, საიდუმლოს შენახვაში მეც ვარ დაინტერესებული.

- მაშინ, მოდით, გზას გავუყვეთ. ცოტა მოშორებით სკამია და ჩამოვსხდეთ.

სკამისკენ გავეშურეთ. მისის ჰესტერი წავიდა, სალი გამოგვყვა.

- წინააღმდეგი ხომ არ იქნებით სალი რომ შემოგვიერთდეს? - ვკითხე გელჰორნს.

- არა, რა თქმა უნდა. იმედია, არავის გაანდობს ჩვენს საიდუმლოს, ასე არ არის? - მას გაეცინა საკუთარ ხუმრობაზე. მერე სალის რადიატორზე გადაუსვა ხელი. სალის ძრავმა მკვეთრად უმატა ბრუნთა რიცხვს და გელჰორნმა სასწრაფოდ უკან დაიხია.

- უცხო ხალხს ვერ ჰგუობს - ვუთხარი მე.

დიდი მუხის ქვეშ სკამზე ჩამოვსხედით. აქედან მოჩანდა პატარა ტბა და მის უკან მდებარე ჩვენი საკუთარი ტრეკი. თბილოდა და მანქანების უმრავლესობა სასეირნოდ იყო გამოსული. გზაზე სულ ცოტა, ოცდაათი ავტომობილი მოძრაობდა. ამ სიშორიდანაც კი მშვენივრად ჩანდა როგორ აკეთებდა ჯერემი ჩვეულ ფანდს - უკნიდან ეპარებოდა რომელიმე ძველ მოდელს, შემდეგ უმატებდა სიჩქარეს, უსწრებდა და ცხვირწინ უმუხრუჭებდა. ორი კვირის წინ მოხუცი აგნუსი ტრასიდან გადააგდო. დავსაჯე, - ორი დღით გამოვურთე მოტორი, მაგრამ ამან არ უშველა: ჯერემი სპორტული მანქანაა და ამ ტიპის ავტომობილები ძლიერ აღგზნებულები არიან.

- გისმენთ, მისტერ გელჰორნ, - ვუთხარი მე.

მან სიტყვა ბანზე ამიგდო:

- რა კარგია თქვენთან, მისტერ ფოლკერს.

- უბრალოდ ჯეიკი დამიძახეთ.

- კეთილი, ჯეიკ. რამდენი მანქანა გყავთ?

- ორმოცდათერთმეტი. ყოველწლიურად ერთი-ორი ახალი გვემატება. ერთ წელს ხუთიც კი შემოგვემატა. თანაც, ჯერ არც ერთ არ დაგვიკარგავს, ყველა მუშა მდგომარეობაშია. თხუთმეტი წლის გამოშვების მატ-ო-მოტის მოდელიც კი გვყავს, - ეს ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ავტომობილი-რობოტია.

ბებერი მეტიუ. ახლა, დროის დიდ ნაწილს გარაჟში ატარებს, - ის ხომ პოზიტრონული ავტომობილების ბაბუაა. როცა ისინი პირველად გამოჩნდნენ გაყიდვაში, მანქანა-რობოტების ყოლა მხოლოდ ბრმა ვეტერანებს, პარაპლეგიით დაავადებულებს და შტატის გუბერნატორებს შეეძლოთ. მაგრამ ჩემი უფროსი - სემსონ ჰერიჯი საკმაოდ მდიდარი იყო, რომ ყველა აკრძალვისთვის გვერდი ექცია და ასეთი მანქანა ეყიდა. მაშინ მასთან მძღოლად ვმუშაობდი.

იმ დღეებს რომ ვიხსენებ, თავს მოხუცად ვგრძნობ. ის დროც კი მახსოვს, როცა ქვეყანაზე ერთი ბეწო ტვინის მქონე მანქანაც კი არ არსებობდა. მე უსიცოცხლო ჯართს დავატარებდი, რომელსაც ყოველ წამს მართვა ჭირდებოდა. ასეთ მანქანებში ყოველწლიურად ასობით ათასი ადამიანი იღუპებოდა.

ავტომატიკამ მდგომარეობა გამოასწორა. პოზიტრონული ტვინი, ბუნებრივია, ადამიანისაზე ბევრად სწრაფად მუშაობს და უკეთ მართავს ავტომობილს. შენ ჯდები მანქანაში, კრეფ მისამართს და დანარჩენ საქმეს მანქანა აკეთებს.

ახლა ჩვენ ეს ჩვეულებრივ ამბად მიგვაჩნია, მაგრამ, გახსოვთ, როგორი აყალმაყალი ატყდა, როცა ძველი ავტომობილების მართვის ამკრძალავი კანონი გამოვიდა? კანონმდებლებს როგორ არ ლანძღავდნენ, ხან კომუნისტებს უძახდნენ, ხანაც ფაშისტებს, მაგრამ ახალი წესების მეოხებით გზებზე მოძრაობა უსაფრთხო გახდა, სიკვდილიანობა შემცირდა, ხოლო მოსახლეობის დიდ ნაწილს იოლი და სწრაფი გადაადგილების საშუალება მიეცა. რა თქმა უნდა, ავტომობილი-რობოტი ჩვეულებრივზე ათჯერ ძვირი ღირდა და უმრავლესობას არ ჰქონდა მისი ყიდვის სახსრები. ამიტომაც გამოვიდა წარმოებაში ავტომატობუსები. საკმარისი იყო შესაბამის ფირმაში დარეკვა და რამდენიმე წუთში რობოტი-ომნიბუსი ამუხრუჭებდა თქვენს კართან. მართალია, თანამგზავრებთან ერთად გიწევდათ მოგზაურობა, მაგრამ რა არის ამაში ცუდი?

სემსონ ჰარიჯს კი, პირად სარგებლობაში ჰყავდა მანქანა-რობოტი. მაშინ მას ჯერ არ ერქვა მეტიუ. წარმოდგენაც კი არ შემეძლო, რომ ერთ მშვენიერ დღეს ის ათეულობით სხვა მანქანათა შორის, ფერმის უხუცესად მოგვევლინებოდა და მე ვიქნებოდი მათი ზედამხედველი. მაშინ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ პურს მართმევდა და ამიტომაც მძულდა იგი. ერთხელაც ვკითხე პატრონს:

- მეტი აღარ გჭირდებით, მისტერ ჰერიჯ?

- ნუ გეშინია, ჯეიკ. ხომ არ გგონია, რომ ბოლომდე მივენდობი ამ ნივთს? საჭესთან შენ დარჩები.

- კი, მაგრამ ის ყველაფერს თვითონ აკეთებს, მისტერ ჰერიჯ. გზას ის უყურებს, რეაგირებს დაბრკოლებებზე, ხალხზე, სხვა მანქანებზე, იმახსოვრებს გზას...

- ასე ამბობენ. სულ ერთია, ყოველი შემთხვევისათვის საჭესთან იჯექი.

საოცარია, როგორ შეიძლება გარდაისახოს სიძულვილი სიყვარულად. მალე ავტომობილ-რობოტს მეტიუს ვუძახდი და დროის დიდ ნაწილს მასთან ვატარებდი, - ვაპრიალებდი და ვეფერებოდი. იმისათვის, რომ პოზიტრონული ტვინი ფორმაში იყოს, საჭიროა, მხოლოდ მან აკონტროლოს მანქანის მექანიკური ნაწილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძრავი დღედაღამ უნდა მუშაობდეს. ცოტა ხნის შემდეგ უკვე ხმაზე შემეძლო მივმხვდარიყავი, როგორ გრძნობდა თავს მეტიუ.

მას,Yთავისებურად, ჰერიჯიც შეეთვისა. აბა სხვა ვინლა უნდა ყვარებოდა: მესამე ცოლთან გაყრილი იყო, ხუთი შვილი და სამი შვილისშვილი უკვე მკვდარი ჰყავდა. ასე რომ, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ მთელი თავისი ქონება მან პენსიაში გასული მანქანებისთვის ფერმის შესაქმნელად გვიანდერძა. ფერმისა, სადაც მეტიუ უნდა ყოფილიყო ავტომობილების კეთილშობილი ოჯახის მამამთავარი.

ეს ჩემი ცხოვრების აზრად იქცა. ცოლი არც კი მომიყვანია. შეუძლებელია ერთდროულად ორ ოჯახზე ზრუნვა.

თავიდან, პრესას სასაცილოდ არ ეყო ფერმის ამბავი, მაგრამ ცოტა ხანში თავი დაგვანებეა. შესაძლოა, არ გქონდეთ მანქანა-რობოტის ფული და მთელი ცხოვრება ავტომატობუსებში გაატაროთ, მაგრამ, მერწმუნეთ, შეუძლებელია არ გიყვარდეს ავტომობილი-რობოტი.

ამიტომაც გვიანდერძა ბევრმა უმემკვიდრეო მფლობელმა თავისი ავტომობილი.

ეს ყველაფერი ავუხსენი გელჰორნს.

- ორმოცდათერთმეტი მანქანა! დიდი ფულია! - თქვა მან.

- თითოეულის ფასი, სულ ცოტა, ორმოცდაათი ათასია. - მივუგე - ახლა კი უფრო მეტიც ეღირება: ტექნიკურად ბევრი რამ გავუუმჯობესე.

- ალბათ, ძალიან ძვირი ჯდება ფერმის შენახვა.

- რა თქმა უნდა. მართალია, ფერმა საქველმოქმედო დაწესებულებაა, და ეს საგრძნობლად ამცირებს გადასახადს, თანაც ახლად შემოსულ ავტომობილს, ჩვეულებრივ, თავისი ფონდი გააჩნია. მიუხედავად ამისა, სახსრები ყოველთვის შეზღუდული მაქვს, - ხარჯი დღითიდღე მატულობს.

- და რამდენი წელი შეალიეთ ამ საქმეს?

- ბევრი, მისტერ გელჰორნ. ოცდაცამეტი.

- ჩემი აზრით, ჯეიკ, არც თუ ისე ბევრს იღებთ ამხელა შრომის სანაცვლოდ.

- არც თუ ისე ბევრს? თქვენ მე მაოცებთ, მისტერ გელჰორნ. მე სალი და კიდევ ორმოცდაათი სხვა მანქანა მყავს.

ღიმილისაგან თავი ვერ შევიკავე. სალი ისე ბზინავდა, თვალს აგატკივებდა. სწორედ ამ დროს მის საქარე შუშას ქინქლა შეასკდა და სალიც იმ წუთშივე საქმეს შეუდგა: ინჟექტორით სპეციალური სითხე შეისხა შუშაზე და საწმენდი აამუშავა, ისე, რომ წვეთიც არ დაცემია მის პრიალა მწვანე კაპოტს.

- არასოდეს მინახავს, ასეთი რამ - თქვა გელჰორნმა.

- ვერც ნახავდით, - მივუგე. - მხოლოდ ჩემი მანქანებია აღჭურვილი ასეთი მოწყობილობით. ისინი ზრუნავენ გარეგნობაზე, უყვართ კოპწიაობა. სალის ცვილის მილაკიც კი აქვს და თავს სარკესავით იპრიალებს. ფულს თუ ვიშოვი, დანარჩენ გოგოებსაც გავუკეთებ ასეთ მოწყობილობას. თავგადახდილი მანქანები ძალიან პატივმოყვარეები არიან.

- თუ გაინტერესებთ, მე გეტყვით, როგორ შეგიძლიათ ფულის შოვნა.

- რა თქმა უნდა, მაინტერესებს. როგორ?

- თვითონ არა თქვით, რომ ნებისმიერი მანქანა-რობოტი ორმოცდაათი ათასი ღირს? თავს ვდებ, რომ ზოგიერთი ექვსნიშნა ციფრსაც მიუკაკუნებს.

- მერე რა?

- არასოდეს გიფიქრიათ, ერთი-ორი ცალის გაყიდვაზე?

- თქვენ არასწორად გამიგეთ, მისტერ გელჰორნ. მე არც ერთი მათგანის გაყიდვა არ შემიძლია. ისინი ჩემი კი არა, ფერმის საკუთრებაა.

- კი, მაგრამ ფული ხომ სწორედ ფერმას მოხმარდება?

- წესდებაში წერია, რომ ჩვენთან მოხვედრილი მანქანის გაყიდვა არ შეიძლება.

- მოტორი?

- არ მესმის, რას გულისხმობთ.

გელჰორნმა პოზა შეიცვალა და ნდობით აღსავსე ტონით თქვა:



- მოდით, ჯეიკ, გაგიმარტავთ სიტუაციას. იაფ კერძო მანქანა-რობოტებზე დიდი მოთხოვნილებაა. ხომ მართალია?

- ეგ ყველამ იცის.

- თანხის ცხრა მეათედს მოტორის ფასი შეადგენს. დავუშვათ, რომ ვიცი, სად შეიძლება ძარის შოვნა. ისიც კი ვიცი, სად შეიძლება ავტომობილი-რობოტების კარგ ფასად გაყიდვა, - ოც-ოცდაათ ათასად იაფის, და ორმოცდაათ ათასად ძვირი მოდელების. მე მხოლოდ მოტორები მჭირდება. გასაგებია?

- არა, მისტერ გელჰორნ. - ყველაფერი გასაგები იყო, მაგრამ მინდოდა, ბოლომდე ეთქვა სათქმელი.

- რა არის გაუგებარი? ჯეიკ, როგორც ჩანს კარგი მექანიკოსი ბრძანდებით. თქვენ შეგიძლიათ მოხსნათ მოტორი და სხვა მანქანაზე გადააყენოთ ისე, რომ ვერავინ შეამჩნიოს განსხვავება.

- ეს არაეთიკურია.

- თქვენ ხომ არაფერს ავნებთ მანქანას. შეგიძლიათ, ძველი მოდელები დაშალოთ, მაგალითად, მატ-ო-მოტი.

- პოზიტრონული ტვინით აღჭურვილ მანქანებში მოტორი და ძარა ერთ ორგანიზმს წარმოადგენს. ძრავი შეჩვეულია თავის ძარას და უბედური იქნება სხვა სხეულში.

- კარგი, მართალი ბრძანდებით, ჯეიკ. ეს იგივეა, თქვენი ტვინი რომ რომ სხვა ქალაში მოათავსონ. გგონიათ, არ მოგეწონებათ?

- არა. არ მომეწონება.

- ახალგაზრდა ათლეტის სხეულში რომ გადაიტანონ, ამაზე რას იტყვით, ჯეიკ? უკვე აღარ ხართ ახალგაზრდა. ნუთუ არ გამოიყენებდით ასეთ შესაძლებლობას? ნუთუ არ გინდათ, ისევ ოცი წლის გახდეთ? აი, რას ვთავაზობ თქვენს პოზიტრონულ მოტორებს. ისინი ბოლო კონსტრუქციის ახალ სხეულებს შეიძენენ.

გამეცინა.

- ეს უაზრობაა, მისტერ გელჰორნ. სულაც არ მინდა გაახალგაზრდავება, თუკი მთელი ცხოვრება ისევ ორმოების თხრა და შიმშილობა მომიწევს... შენ რას ფიქრობ, სალი?

სალის ორივე კარი გაიღო და დაიხურა.

- ეს რას ნიშნავს? - იკითხა გელჰორნმა.

- სალი ასე იცინის.

გელჰორნმა ნაძალადევად გამიღიმა. მივხვდი, რომ ჩემი სიტყვები მხოლოდ ცუდ ხუმრობად მიიჩნია.

- ლოგიკურად იმსჯელეთ, ჯეიკ. მანქანა იმისთვისაა შექმნილი, რომ ადამიანს ემსახუროს. უამისოდ უბედური იქნება.

- არა მგონია.

ის ადგა და ნელა მიუახლოვდა სალის.

- გამარჯობა, სალი, წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ცოტა რომ გამატარო?

სალიმ ბრუნთა რიცხვს უმატა და უკან დაიხია.

- ნუ აძალებთ, მისტერ გელჰორნ. ცოტა მშიშარაა.

ჩვენგან ასი იარდის მოშორებით ორი სედანი მოდიოდა. გაჩერდნენ. როგორც ჩანს ჩვენ გვიყურებდნენ. მე ეს არ მადარდებდა, - სალის ვაკვირდებოდი.

- დამშვიდდი, სალი, დამშვიდდი. - თქვა გელჰორნმა. მერე უეცრად წინ გახტა და კარებს დაეჯაჯგურა. კარი, რა თქმა, უნდა არ გაიღო.

- ერთ წუთის წინ ღია არ იყო? - გაუკვირდა.

- ავტომატური საკეტია. სალი ზედმეტად მორცხვია.

გელჰორნმა უკან დაიხია და ხაზგასმით წარმოთქვა:

- ზედმეტად მორცხვი მანქანა გადახდილი სახურავით არ უნდა დადიოდეს. - მერე სამი-ოთხი ნაბიჯი გადადგა უკან, გამოქანდა, მანქანაში ჩახტა და ძრავი გამორთო.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სალის მოტორი პირველად გაჩერდა.

მგონი, ვიყვირე, მაგრამ უკვე გვიანი იყო. გელჰორნმა ხელით მართვის რეჟიმი ჩართო და კვლავ დაქოქა მანქანა. სალი გაცოცხლდა, მაგრამ უკვე აღარ იყო თავისუფალი. გელჰორნი გზისკენ გაემართა. სედანები კვლავ იქ იდგნენ. ნელა დაიძრენ ადგილიდან, ყოველივე ეს მათთვის გამოცანა იყო. ერთს ჯუზეპე ერქვა, მეორეს - სტივენი. მუდამ ერთად სეირნობდნენ. ორივე ახალი მოყვანილი იყო, მაგრამ ის კი იცოდნენ, რომ აქ მანქანებს არ მართავენ.

გელჰორნი მათ უახლოვდებოდა და როცა სედანები მიხვდნენ, რომ სალი არ აპირებდა გაჩერებას, უკვე გვიანი იყო. სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ, სალიმ კი მათ შორის ელვასავით ჩაიქროლა. სტივენმა ღობე გაარღვია და ტბისკენ ჩაგორდა. ჯუზეპე გზის პირზე გადავიდა და გაჩერდა.

სანამ სტივენი გზაზე ამოვიყვანე, გელჰორნი დაბრუნდა.

კარი გააღო და გადმოვიდა. თან ძრავი მეორედ გამორთო.

- აი, - თქვა მან, - მგონი, ეს მოუხდება.

თავი შევიკავე.

- რას ერჩოდით სედანებს?

- მეგონა გზას დამითმობდნენ.

- ეგრეც მოიქცნენ. ერთმა ღობე გაანგრია.

გაგრძელება შემდეგ შაბათს

ნომრის სტუმარი

# გავძლოთ ორშაბათამდე...





*პრეს-ომბუდსმენი ორშაბათისთვის ემზადება*

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

**ნოდარ ლადარია – დაიბადა სოხუმში. დაამთავრა კელასურის საშუალო სკოლა, თსუ ფიზიკის ფაკულტეტი - მაღალი ენერგიების ელემენტარულ ნაწილაკთა სპეციალიზაცია; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დაუსწრებელი ასპირანტურა; თბილისის სასულიერო აკადემია; რომის უნივერსიტეტი "გრეგორიანა"- პონტიფიკალური აღმოსავლური ინსტიტუტი; არის საეკლესიო მეცნიერებათა დოქტორი; იტალიური ენისა და ლიტერატურის დოცენტი; ლივერპულის სამეცნიერო საზოგადოების "Ordained Scientists" წევრ-კორესპონდენტი, რომში კულტურული ასოციაციის "Granum Sinapis" დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი; დავით ანდღულაძის სახელობის ქართული ვოკალური კულტურის განვითარების ფონდის გამგეობის წევრი და არასამთავრობო ორგანიზაცია "უფლებადაცვითი ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი. სრულყოფილად ფლობს რუსულ და იტალიურ ენებს, იცის ინგლისური, ფრანგული, ესპანური, გერმანული და ლათინური ენები. ჰყავს მეუღლე, რუსუდან ლადარია და ორი შვილი - 18 წლის ელენე, რომელიც "ნიკოლაძეში" სწავლობს. კონსტანტინე, რომელიც სკოლის მოსწავლეა, წერს მოთხრობებსა და ლექსებს...**

მაია ჭალაგანიძე

*ნოდარ ლადარია ჩვენს გაზეთში ომბუდსმენი იქნება. ანუ, ყოველ ორშაბათს "24 საათს", კერძოდ კი B ბლოკს (პოლიტიკის-ეკონომიკის გარდა ყველაფერს) მიმოიხილავს. სანამ ვინმე დააპირებს ჩვენს მიმოგანხილვას, ამას ჩვენივე ძალებით მოვახერხებთ და თანაც ისე, რომ არ არის გამორიცხული, ვინანოთ საკუთარი წამოწყება.*

**- ბატონო ნოდარ, როგორ გესმით, რა არის გაზეთისთვის ომბუდსმენი და რა მოთხოვნებს უყენებთ პრესას?**

- ასე მგონია, პრესაში ომბუდსმენი უფლებათა დაცვის სფეროდან შემოვიდა. ჩემი აზრით, ეს არის პიროვნება, რომელსაც საზოგადოება ენდობა. იგი მკითხველის პოზიციიდან შეაფასებს გამოშვებული ბეჭდვითი ორგანოს ხარისხს. ყოველდღიური გაზეთი, უპირველეს ყოვლისა, პრელევანტური ინფორმაციის მომტანი და ამავე დროს გასაგებად მოწოდებული უნდა იყოს. მკითხველს არ უნდა გაუჭირდეს მისი ათვისება იმ სიტუაციაში, რაშიც ის ჩვეულებრივ კითხულობს გაზეთს, მან უნდა აღზარდოს მკითხველი... ჩამოუყალიბოს გემოვნება.

**- ხარისხი?**

- ხარისხი სამივე მოთხოვნაში იგულისხმება, ის ცალკე მოთხოვნა არ არის.

**- მაინც მგონია, რომ რაც დღეს ქართულ პრესაში ხდება, სრულიად ნორმალური მოვლენაა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყველანაირ გაზეთს ჰყავს თავისი მკითხველი, არ უნდა იყოს პრესის ასეთი სიჭრელე გასაკვირი. ჩვენი გაზეთის გამოცემაც ლოგიკურად მომწიფებული იყო... თვისობრივად ახალი ტიპის გაზეთი, რისი ამბიციაც გვაქვს, აკლდა საზოგადოებას. რასთან ასოცირდება თქვენთვის სიტყვა პრესა?**

- ამბიცია აუცილებელი პირობაა შემოქმედებისათვის. მე სრულიად ვეთანხმები ფრანგ მხატვარს გუსტავ დორეს, რომელმაც თქვა, რომ "ადამიანი უნდა იყოს თავმდაბალი წარმატებაში და არა ჩანაფიქრში." რაც შეეხება ამ გაზეთს... ჩემთვის პრესის იდეალური ორგანო თავის დროზე "ლიტერატურნაია გაზეტა" იყო, აი ის, რაც 70-80 წლებში გამოდიოდა. რაც შეეხება საქართველოს პრესას, ასე გეტყვით – გაზეთებს მე არ ვკითხულობ. არ მაინტერესებს...

**- აბა, რატომ ხდებით საგაზეთო ომბუდსმენი?**

- იმიტომ, რომ მთელი ცხოვრება მინდოდა, საქმე მქონოდა სიტყვასთან. ეს სფერო, გარკვეული აზრით, საკუთარი თავის გამოსახატავად მჭირდება. ვფიქრობ, რომ კარგი შედეგი სწორად მიმართული პირადი ინტერესით მიიღწევა, ანუ, ამ საქმეში ჩემი ინტერესები მამოძრავებს.

**- ჩვენ, საბჭოთა სტუდენტებს, კერძოდ ჟურნალისტებს - იდეოლოგიის მუშაკებად გვზრდიდნენ. დღეს არ არსებობს იდეოლოგია და გამოდის, აღარც მისი მუშაკები არსებობენ... საშიშია თუ არა დღეს იყო ჟურნალისტი, მე ვგულისხმობ იმას, რომ მათ ინფორმაციისა და ხალხის ცნობიერებაზე ზემოქმედების მძლავრი იარაღი უპყრიათ ხელთ...**

- შემოვიფარგლები კულტურის სფეროთი, ანუ იმით, რისი მიმოხილვაც მევალება თქვენს გაზეთში. კულტურას იდეოლოგია აქვს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა იგი სახელმწიფოს. ეს იდეოლოგია გემოვნება და ნიჭიერებაა. ჟურნალისტი გზამკვლევი უნდა იყოს მკითხველისთვის იმაში, თუ რა არის მართლაც ღირებული. იგი პროფესიულად წინ უნდა აღუდგეს უნიჭობას. ერთი მხრივ უნდა დაეხმაროს მას, ვინც ეძებს და მეორე მხრივ, არ უნდა გაუშვას ის, ვინც ულირსია.

გეთანხმებით, სახიფათოა... როცა საზოგადოებრივ აზრთან გაქვს შეხება, აუცილებლად კომპეტენტური უნდა იყო. იმიტომ, რომ კომპეტენტური ადამიანი არასოდეს ულალატებს თავის თავს და არ იქნება ბოროტი. ჟურნალისტის უნდა ეშინოდეთ.

**- მათგან, ვინც დღეს მოვლენათა შეფასებას ცდილობს, ვის აქვს გამძაფრებული სატირის შეგრძნება?**

- თვითონ ამ ტერმინის *(სატირა)* დისკრიმინაცია საბჭოთა დროს მოხდა. საკმაოდ რთულია სახელის მოძებნა... მოდით, ამას სარკაზმი დავარქვათ, ანდა, კიდევ უფრო ფართოდ, თამაში - ჭეშმარიტების ჩარჩოებში მოქცეული თამაში. შემიძლია პირდაპირ დაგისახელოთ ასეთი ადამიანი... ეს არის გოგი გვახარია. ამ ადამიანმა სამოქალაქო სიმამაცე გამოიჩინა. მან მოიპოვა თავისი ადგილი საზოგადოებაში ისე, რომ ერთი წუთითაც არ უზრუნია ამ საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის.

**- სამოქალაქო საზოგადოება - ეს ახლა ძალზე აქტუალურია... ჩემი აზრით, მომრავლდნენ სამოქალაქო საზოგადოების პროდუქტი ადამიანები, ყველას ანალიზის პრეტენზია აქვს, შეუძლია ეს თუ არა. არიან ისეთებიც, ვისთვისაც ეს ცნება ძვირფასია... თქვენ რომელ რიგს მიეკუთვნებით?**

- ცოტ-ცოტა ორივეს. ჩემთვის ნამდვილად ძვირფასია სამოქალაქო საზოგადოების ევროპული სოციალობის, კულტურისა და ცივილიზაციის ძირითადი პრინციპები. მაგრამ სრულიად შესაძლებელია, გარკვეულ სიტუაციებში ატავისტი გამოვჩნდე.... სინამდვილეში საშიში არაფერია. ჩვენს ირგვლივ მხოლოდ გულწრფელი ადამიანები არ არიან. მე ძალიან მეშინია ადამიანების, რომლებიც ვერ ტყუიან, რომლებიც საერთოდ არ სვამენ, ჩემთვის ეს გაუგებარია, ისევე, როგორც წრეგადასული ლოთობა. მეშინია ადამიანებისა, რომლებიც ძალიან იდეურები არიან. ადამიანს უნდა შეეძლოს, საკუთარ თავს დროებით მაინც შეხედოს დისტანციიდან. ეს, სხვათა შორის, სამოქალაქო საზოგადოების მესვეურებსაც ეხება.

**- თქვენთან ამოვიკითხე - "უკან დახევას თან სდევს გაფართოება. ამ დროს მხედველობაში ახალი ელემენტი შემოდის..." თუ გჩვევიათ უკან დახევა...**

- ბევრჯერ გამომიცვლია ჩემი ცხოვრება. ერთხელ, როდესაც ფიზიკოსობას დავანებე თავი და სასულიერო აკადემიაში ჩავაბარე, შემდეგ - როცა რომში გადავედი და მივხვდი, რომ ჩემთვის ღვთისმეტყველება შესწავლის ობიექტია და მესამე, როცა იტალიანისტი გავხდი. ყოველი ეს ცვლილება გარკვეულ უკან დახევასთანაა დაკავშირებული. უნდა დამენახა, რას ვაკეთებ და როგორ... გარკვეული იმედები მაქვს ჩემს მოღვაწეობასთან ამ გაზეთშიც...

**- არის ეს თქვენთვის მეოთხე ცვლილება?**

- ჯერ არ ვიცი, მაგრამ შესაძლოა ამან კიდევ ერთი უცნობი კარი გახსნას... ეკლესიასტეში ნათქვამია, რომ არის დრო ქვათა სროლისა და ქვათა შეკრებისა... ომბუდსმენი არის ადამიანი, ვინც იკრებს იმით, რომ ისვრის...

## "24 საათის" გარდა...

**- რა დაგრჩათ აფხაზეთში, როგორი იყო ეს ომი თქვენი ოჯახისათვის?**

- აფხაზეთში დამრჩა მამა. ის ახლაც ცხოვრობს სოხუმში. დედა აქ, ჩემთან არის. მამა აფხაზია, მაგრამ ეს არ ნიშნავს რაიმე სეპარატისტულს...იგი პოლიტიკისგან ყოველთვის შორს იყო. მთელი ცხოვრება დაცურავდა. დაიწყო მატროსობით და დაამთავრა გემის კაპიტნობით. ახლა პორტში დარაჯად მოეწყო და საკმაოდ მძიმედ ცხოვრობს. თუმცა, უფრო მძიმედ დედა ცხოვრობს. ისე მოხდა, რომ მისთვის ლტოლვილის დახმარების მიღება ცხოვრების ერთადერთ საზრისად იქცა. დახმარების მიღება მას აძლევს შეგრძნებას, რომ ის საზოგადოების წევრია. გარკვეული თვალსაზრისით ის ამ დახმარებიდან დახმარებამდე არსებობს.

**- თქვენ 1993, 1994, 1997 წლებში რეგულარულად მონაწილეობდით მოსკოვის საპატრიარქოსა და ვატიკანის არაოფიციალურ მოლაპარაკებებში... როგორ მოხვდით უფლებამოსილ პირად, რა მოლაპარაკებები იყო ეს და რა შედეგებს მიაღწიეთ?**

- ოფიციალური სტატუსი ამ მოლაპარაკებებს არ ჰქონია და ორ ეკლესიას შორის ნორმალური, ადამიანური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, გარკვეული კონფლიქტების მოგვარების საქმეს ემსახურებოდა *(მაშინ უკრაინაში კათოლიკებსა და მართლმადიდებლებს შორის ტერიტორიული დავა იყო)*. ეს ეხებოდა კულტურულ გაცვლებს, ფულად დახმარებას და ა.შ. ამას რეგულარული და ოფიციალური ხასიათი არ ჰქონდა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ პეტერბურგის სასულიერო აკადემია იტალიის ქალაქ ტრანტუში კონფერენციას ატარებდა, სადაც იქაური მეგობრის რეკომენდაციით თარჯიმნად მოვხვდი. როგორც ჩანს, პროფესიულად გავართვი თავი ჩემს მოვალეობას და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელთა ნდობა დავიმსახურე. ერთხელ, როცა მოსკოვის სასულიერო აკადემიის რექტორი იყო მოწვეული ვატიკანის კულტურის საბჭოს პრეფექტთან, მეუფემ მითხრა, ახლა შენ ილაპარაკე, თორემ ჩემთვის უცხო პოლიტიკას წავაწყდიო...

**- ბანალური შეკითხვა - რატომ იტალიური?**

- მიზეზიც საკმაოდ ბანალური იყო - გატაცებული ვიყავი იტალიური ოპერით.

**- მუსიკალურ სამყაროსთანაც თქვენი დამოკიდებულება გაქვთ.**

- არსებობს ასეთი შესანიშნავი არასამთავრობო ორგანიზაცია "დავით ანდღულაძის სახელობის ქართული ვოკალური კულტურის ფონდი", რომლის თავმჯდომარე მაესტრო ნოდარ ანდღულაძეა. ვარ გამგეობის წევრი. ვადგენ და რედაქტირებას ვუკეთებ იტალიურ ტექსტებს, იქნება ეს კომპაქტ-დისკი თუ ბუკლეტი, ან სხვა რამ საჭირო ტექსტი სანოტო რვეულში; ვუხსნი ვოკალისტს ტექსტებს... მაესტროსთან მუშაობა ერთი სიამოვნებაა. კონსერვატორიაში იტალიურ ენას ვასწავლიდი...

## "მე ვიცი, სად იწყება ჩემი გონება, მაგრამ არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე, სად მთავრდება იგი"

*ეს კოტე ლადარიამ დაწერა. მას სრული ბედნიერებისათვის ჭირდება დიდი ტახტი, რომ იწვეს და იფიქროს, ხანდახან წეროს და სხვა არაფერი აკეთოს... კომპიუტერული თამაშებიც მისი დიდი გატაცებაა... იტალიური ჯერ არ იცის, რადგან სხვა ენების შესწავლით არის დაკავებული.*

**- კოტე, სად იწყება ადამიანის გონება?**

- ჩემი აზრით, ავტორები ასეთ საკითხებზე არ უნდა ლაპარაკობდნენ, მკითხველს განსჯის საშუალება უნდა მიეცეს, ყველამ თავისებურად უნდა გაიგოს. სიმართლე რომ ვთქვა - კონკრეტული არაფერი მიგულისხმია.

**- ეს რომ წავიკითხე, ვიფიქრე, აი, ადამიანი, ვინც იცის, სად იწყება გონება...**

- ეს არის ერთ-ერთი ლექსიდან, რომელიც მოხუც მეზღვაურზეა... მთელი ცხოვრება ზღვაზე გაატარა. მისი გონება ზღვიდან იწყება... *(გაგახსენდათ კოტეს გემის კაპიტანი ბაბუა, ახლა რომ სოხუმში მარტო ცხოვრობს და პორტის დარაჯია?)*. გონება მთავრდება იქ, როცა კვდები და ამიტომ არ მინდა ვიცოდე.

**- რას კითხულობ, როგორი ავტორები გიყვარს...**

- ავტორები არა, მაგრამ ამას წინათ ფილიპ დიკის რამდენიმე რომანი წავიკითხე და ძალიან მომეწონა. ფანტასტიკურ რომანებს წერს...

**- გავლენას ხომ არ ახდენს შენს ნაწერებზე?**



*ელენე ლადარია*



*კოტე ლადარია*

- უბრალოდ, შთაგონებას მაძლევს... მე ისე კარგად არ ვწერ, რომ ვინმეს მივბაძო.

**- რა არის თავისუფლება?**

- თავისუფლება? ერთხელ თემა დავწერე თავისუფლებაზე და ისე გამომივიდა, რომ სულაც არ არის კარგი... არ ვიცი, ვისი სიტყვებია, მაგრამ მე ვეთანხმები: თავისუფლები ვხდებით მაშინ, როდესაც ყველაფერს ვკარგავთო. ჩემი აზრით, არ არის კარგი... მაგ თემას რომ ვწერდი, მამაჩემს ვკითხე, შენ ხარ-მეთქი თავისუფალი? არაო, მიპასუხა. ერთ-ერთი მიზეზი კი მე და ელენე ვიყავით... განა კარგია, რომ ჩვენ არ ვიყოთ მიზეზი?

**- ბატონო ნოდარ, თქვენ როგორ უყურებთ თქვენი შვილის ნაწერებს. საკმაოდ ბევრს ფიქრობს და მომეჩვენა, მძიმე დასკვნებს აკეთებს...**

- ვერიდები ამაზე ფიქრს, რადგან იმას, რასაც წერს და იმას, თუ როგორი ადამიანია, ერთმანეთთან ვერ ვაკავშირებ. მე ეს კი არ მაშინებს, არამედ მანუგეშებს, რადგან ეს კავშირი რომ დავინახო, მაშინ მე შემეშინდება.

**კოტე:** ვერ გავიგე, რატომ...

- რასაც შენ წერ, ჩემთვის იმდენად ტრაგიკულია... ურთიერთობაში საკმაოდ მსუბუქი ხარ. არ არის ძნელი შენთან კონტაქტი. თუ არ ლაპარაკობ, მხოლოდ იმიტომ, რომ საჭიროდ არ თვლი ამას...

**კოტე:** თუ ლაპარაკი არ მეხერხება, და თუ მთელი დღე სახლში არაფერს ვაკეთებ, მაშინ დავწერ რაღაცას *(მამამისივით თავის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა)* და უფრო მნიშვნელოვანი გავხდები მისთვის, ვინც წაიკითხავს, მე ასე მგონია...

## "ყველაფერს ვხატავ - მამის გარდა"

*ეს კი ელენეა, ნიკოლაძეში სწავლობს და არ იცის, გამოვა მხატვარი თუ არა... სახლში უყურებს დეტექტივებს და არ რეცხავს ჭურჭელს. მამასთან ერთად უკრავს ოთხ ხელში და არასდროს არ მიაქვს თავისი სკამი ინსტრუმენტთან.*

**- რატომ არ ხატავ მამას?**

- არ მიჯდება, არ ისვენებს. სულ კომპიუტერთან ზის.

**- ხომ გახსოვს, როგორი გამოხედვა აქვს, როგორ იცინის – ზეპირად დახატე.**

- ეგრე არ არის, რემბრანტი ხომ არა ვარ?

**- რაზე კამათობთ სახლში?**

- ძირითადად კომპიუტერთან დაჯდომაზე.

**- დედა... რა როლს თამაშობს ის თქვენს ცხოვრებაში?**

- მისი როლი უფრო არ იგრძნობა. დედა დაგეხმარება, გიყიდის რამეს, გააკეთებს ყველაფერს ისე, რომ მე ვხატო, მამა კომპიუტერთან იჯდეს და კოტემ არაფერი აკეთოს... მე დედას და მამას ერთი და იგივე რამეზე არ ველაპარაკები, განსხვავებულ თემებზე ვესაუბრები...

▪ ▪ ▪

დანარჩენს ყოველ ორშაბათს იხილავთ თქვენც და უფრო დიდი მოლოდინით – ჩვენ.



*ეს კი ბატონი ნოდარია ელენეს შესრულებით. დროს იხელთა და ჩვენი საუბრისას დახატა.*